შუქისა და ლუკმაპურის შოვნის მოლოდინში A2

როგორ უნდა განხორციელდეს დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 3 ივლისი, 2004 წელი. №156 (705) | ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

### ვინ რას უწუნებს თბილისის ახალ ბიუჯეტს?



29 ხმა 9-ის წინააღმდეგ - დედაქალაქის 2004 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია. 70 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტი გუშინ საკრებულოს წევრთა დავისა და მორიგი დაპირისპირების მიზეზი გახდა.

A4

უცხოეთი

### ყინული დაიძრა



გუშინ წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტით აღინიშნა, რომელიც, შესაძლოა, კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული კრიზისის დასასრულის დასაწყისიც აღმოჩნდეს.

A5

საზოგადოება

### ზღაპარი პატარა ლიახვის ხეობაში



გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ცხინვალის რეგიონის კიდევ ორ სკოლაში ჩაიტანა 10 000 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა, სახელმძღვანელოები, სასკოლო თვალსაჩინოებები და სასკოლო საკანცელარიო საქონელი.

A6

სამართალი

### მანგანუმის უკანონო მოპოვების მცდელობაში შევარდნაძის გუნდის წევრებს ადანაშაულებენ

A7

ამინდი

| | 3/7 | 4/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 33 |
| ქუთაისი | 32 | 34 |
| ბათუმი | 29 | 30 |
| სოხუმი | 29 | 30 |
| ფოთი | 30 | 32 |
| თელავი | 29 | 31 |
| ზუგდიდი | 31 | 33 |
| გორი | 28 | 31 |
| ახმეტა | 29 | 32 |
| ჭიათურა | 32 | 34 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3313 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4821 |
| რუბლი | 0.0661 |

# "საქართველო სრულიად გახსნილია დიალოგისთვის"



*მოსკოვში ჩასვლისთანავე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასის" საკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია გამართა.*

**"ბოლო პერიოდში საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებიც. თებერვალში, პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის შემდეგ, ჩვენ საკმაოდ წინ წავიწიეთ მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში,"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და ჩამოთვალა ის სფეროები, რომელშიც წარმატებით თანამშრომლობენ საქართველო და რუსეთი. საქართველოს პრეზიდენტს არ გამოუტოვებია ნაყოფიერი თანამშრომლობა აჭარაში შექმნილი კრიზისის დასაძლევადაც. **"საერთო ჯამში, ცხადად ჩანს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა საკმაოდ პოზიტიურად ვითარდება,"** - დასძინა საქართველოს მეთაურმა.

მიხეილ სააკაშვილს დიდი იმედი აქვს, რომ ის დიალოგი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტთან პირველი შეხვედრისას დაიწყო, ამ არაფორმალური შეხვედრისას ახალ იმპულსს შეიძენს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## როგორ ინაწილებენ ფუნქციებს და მცირე თანამდებობებს კომიტეტებში

თამარ მჭედლიშვილი

*პარლამენტის მიერ მიღებული კანონების აღსრულებაზე კონტროლი, კომიტეტებში სამუშაო ჯგუფების შექმნა, დეპუტატთა საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრა - ასეთი განწყობით იწყებდა საქმიანობას წინა, 1999-2003 წლის მოწვევის პარლამენტი. თუმცა ეს სამუშაო გეგმა მხოლოდ ქაღალდს შემორჩა - პოლიტიკურ ორთაბრძოლებს აყოლილი დეპუტატები თუ პოლიტიკური ჯგუფები გაცილებით სერიოზული პრობლემით - ძალთა ხელახალი გადანაწილებით იყვნენ დაკავებულები. ამჯერად, როგორც დეპუტატები ირწმუნებიან, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თავისი მთავარი და ძირითადი ფუნქციით - საკანონმდებლო საქმიანობით იქნება დაკავებული.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## ხმაურიანი სპეცოპერაცია ბულაჩაურის ქუჩაზე

თბილისში გუშინ დილით დაწყებული ხმაურიანი სპეცოპერაციები გვიან ღამით, ბულაჩაურის ქუჩაზე ძალოვანთა მიერ ჩატარებული სპეცღონისძიებით დასრულდა. ძალის დემონსტრირება, ამჯერად, უშიშროების სამინისტრომ მოახდინა - ამ უწყების ყურადღების ცენტრში "რეკეტიორთა ინსტიტუტი" მოექცა. უშიშროების სამინისტროს კონსტიტუციური წყობილების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ნიღბებით სახედაფარულ და შეიარაღებულ სპეცრაზმელთა მიერ "გზის გასუფთავების" შემდეგ, ბულაჩაურის ქუჩაზე მდებარე იმ საცხოვრებელ სახლში შეაღწიეს, რომელშიც სპეცოპერაციის ობიექტი ზვიად მამალაძე ცხოვრობდა.

მამალაძის სახლზე ძალოვანებმა შტურმი მოულოდნელად მიიტანეს - ჯერ ფანჯრის მინები და კარები შეამტვრიეს და სახლში ამ მეთოდით შეცვივდნენ. თუმცა, როგორც მამალაძეების მეზობლები აცხადებენ, ძალოვანებს სახლში შესვლის ნებართვა მამალაძეებისგან არ მოუთხოვიათ და, შესაბამისად, მათთვის წინააღმდეგობაც არავის გაუწევია. სახლში მცირეწლოვანი ბავშვიც იმყოფებოდა, რომელმაც მომხდარი ფაქტის გამო ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო. სპეცრაზმელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ზვიად მამალაძის მეუღლეს, რომელიც ღონისძიების დროს სახლში შესვლას ლამობდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროსტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განემარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თბილისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# რეგიონული პრესა - ევროკავშირის ყურადღების ობიექტი



ელჩი ჰეიკი ტალვიტიე მიესალმა პროექტში მონაწილე გაზეთებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტმა" (IWPR) გუშინ პროექტის - "საქართველოს მედიის განვითარება და სამოქალაქო ანგარიშვალდებულება" - პრეზენტაცია გამართა.

პროექტი რეგიონული პრესის განვითარებას ითვალისწინებს და ევროსაბჭოს მიერ ფინანსდება. "ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტს" იმ ხუთი რეგიონული გაზეთის შერჩევა დაევალა, რომლებიც სამი წლის განმავლობაში ევროსაბჭოსგან დახმარებას მიიღებენ. შერჩევისას მთავარი კრიტერიუმი გაზეთის დამოუკიდებლობა და გაზეთის მენეჯერის პროფესიული უნარ-ჩვევები გახლდათ. გასაუბრებისა და გაზეთების მდგომარეობის ადგილზე შესწავლის შემდეგ, "ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტმა" ხუთი რეგიონული გაზეთი შეარჩია: "ახალი გაზეთი" (ქუთაისი), "გაზეთი ბათუმელები" (ბათუმი), "სპექტრი" (გურჯაანი), "ხალხის გაზეთი" (გორი) და სამცხე-ჯავახეთი - "სამხრეთის კარიბჭე"(ქართული და სომხური ვერსიები).

"რეგიონებში ჟურნალისტებს ძალიან მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა. მოხარული ვიქნებით, თუ რეგიონული პრესის განვითარებაში ჩვენს წვლილს შევიტანთ. ჩვენ მიერ შერჩეული გაზეთები დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან თავიანთ საქმეს და ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ მათ ხელს," - აცხადებს "ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" დირექტორი, პროექტის ხელმძღვანელი მარგარიტა ახვლედიანი.

გუშინდელ პრეზენტაციას, სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, ელჩი ჰეიკი ტალვიტიეც ესწრებოდა. მან გამარჯვებული გაზეთების წარმომადგენლებს წარმატება მიულოცა და შემდგომში დახმარებას დაჰპირდა.

*24 საათი*

# ყოფილ მაღალჩინოსანთა დაუსაბუთებელი ქონების დაყადაღება გრძელდება

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტი ყოფილ მაღალჩინოსანთა დაუსაბუთებელი ქონების დაყადაღებას აგრძელებს. თბილისის საოლქო სასამართლოს დადგენილების საფუძველზე გუშინ დააყადაღეს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსის ლევან კენჭაძის ქონება - მარი ბროსეს ქუჩაზე მდებარე სასტუმროს ერთი მეხუთედი, რომელიც მისი დის, ნუნუ კენჭაძის სახელზე იყო რეგისტრირებული.

გასულ კვირას სააღსრულებო დეპარტამენტმა დააყადაღა აღნიშნული სასტუმროს მიწის ნაკვეთის ერთი მეხუთედიც, რომელიც ასევე ნუნუ კენჭაძის სახელზე იყო რეგისტრირებული. უკვე დაყადაღებულია უშიშროების გენერლის თბილისში, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე სახლი და ასევე, სოფელ დიღომში და საგურამოში მდებარე აგარაკები.

შეგახსენებთ, რომ კენჭაძეს გენერალური პროკურატურა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალს უყენებს, რაც სამიდან რვა წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

საუბარია ანტიტერორისტული ცენტრის მიერ უვარგისი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ჩამოწერაზე. გამოძიება მიიჩნევს, რომ იარაღი შპს "კავკასიონი-1-ს" გადაეცა.

ლევან კენჭაძის, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის, აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილისა და საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბორის სარალიძის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შუამდგომლობებით პროკურატურამ შესაბამის რაიონულ სასამართლოებს გასულ კვირას მიმართა.

*24 საათი*

# სსფ-ს აღმასრულებელი დირექტორი ქართველ ბიზნესმენებს შეხვდა

პარასკევს, "გადამხდელთა კავშირში" გაერთიანებულ ბიზნეს-ჯგუფებს სსფ-ს აღმასრულებელი დირექტორი იერუნ კრემერსი შეხვდა, რომელიც თბილისში ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა "გადამხდელთა კავშირის" აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კრემერსის ბიზნესმენებთან შეხვედრით დაინტერესება საბოლოოდ დაამსხვრევს სტერეოტიპებს ბიზნესის მტრად მონათლული სავალუტო ფონდის შესახებ.

**"სავალუტო ფონდსა და ბიზნესს შორის დღემდე არსებული ბარიერი უნდა მოიხსნას და მეწარმეებს სსფ-ს მიმართ ნდობა გაუჩნდეთ,"** - თქვა მან.

ისაკაძე აღნიშნავს, რომ კრემერსმა გამოხატა სსფ-ს პოზიცია, რაც მომავალში ბიზნესმენებთან მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ამასთან, კრემერსმა "გადამხდელთა კავშირში" გამართულ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ბიზნესი ბიუჯეტის შევსების ერთადერთი წყაროა და, შესაბამისად, ბიზნეს-ჯგუფი ანგარიშგასაწევი ძალაა.

*24 საათი*

# ხმაურიანი სპეცოპერაცია ბულაჩაურის ქუჩაზე

პირველი გვერდიდან

ზვიად მამალაძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა ერთი საათის მანძილზე მიმდინარეობდა.

მამალაძის ერთ-ერთი მეზობლის განცხადებით, ბინის ჩხრეკას იგი მოწმის სტატუსით დაასწრეს. მისივე განცხადებით, სამართალდამცველებმა მამალაძის სახლში მიიყვანეს ტაქსის მძღოლი, რომელმაც მამალაძის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. საუბარია ფულის გამოძალვაზე. მამალაძის ბინიდან გამოსულმა ტაქსის მძღოლმა ჟურნალისტებთან კომენტარზე კატეგორიული უარი განაცხადა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სამართალდამცველები გუშინ კომენტარს არ აკეთებდნენ. თუმცა, არსებული ინფორმაციით, ზვიად მამალაძე, თავის დროზე, "იოსებიძელების საძმოს" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და, სავარაუდოდ, კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებთან იყო დაახლოებული. სამართალდამცველთა კულუარული ინფორმაციით, ზვიად მამალაძე საბურთალოს რაიონში რეკეტიორის სტატუსით სარგებლობდა.

უშიშროების სამინისტროს კონსტიტუციური წყობილების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა რეკეტიორთა წინააღმდეგ ერთი ხმაურიანი ოპერაცია ცოტა ხნის წინ გარდაბანშიც ჩაატარეს და გარდაბნის სოფელ ბირლიკის რეკეტიორი - შახმარდამ გასანოვი დააკავეს.

*24 საათი*

# შუქისა და ლუკმაპურის შოვნის მოლოდინში

არის ერთი ძველი ანეკდოტი იმის თაობაზე, რომ ჩვენებური ჯეელი უარს ამბობს ოკეანისგადაღმელი ქალის შერთვაზე, დროის სხვადასხვაობის მიზეზით: ცხოვრებას ვერ ავაწყობთ, მე რომ დავიძინებ, ის გაიღვიძებს და პირიქითო.

ჩვენს დროებაში ეს პრობლემა აღარ არსებობს. ოზურგეთელებსაც მაშინ უწევთ ფხიზლობა, როცა ამერიკაში გაგანია შუადღეა. ეს ჰარმონია კი ელექტროენერგიის მიწოდების ბოლოდროინდელმა გრაფიკმა მოგვიტანა.

თუ გინდა ელექტროენერგიით ისარგებლო, ღამღამობით უნდა დაუდარაჯდე, საქმეს ჩაუღრმავდე და გული იმით დაიმშვიდო, რომ ზუსტად იმ დროს შენი ოკეანისგადაღმელი კოლეგაც, შენსავით სახე და ხატი ღვთისა, არ არის უქმად.

რაშია განსხვავება? ბევრ არაფერში. მხოლოდ იმაში, რომ ოკეანეგადაღმელი სემი თუ ჯონი წაღმართად ცხოვრობს, ჩვენ კი - უკუღმა, ანუ უკუღმართად. ახლა ვინმემ მითხრას, თუ როგორ შეიძლება ელექტროენერგიის გარეშე აღორძინდეს ეკონომიკა, იმუშაონ ისედაც კანტიკუნტად შემორჩენილმა ფაბრიკა-ქარხნებმა, და მე ვიტყვი, რომ მისი კონცეფცია ეკონომიკური განვითარებისა ზღაპრულია და ესადაგება ოზურგეთის დღევანდელობას.

დასრულდა ხვნა-თესვის სეზონი და საბოლოო მონაცემებით, ოზურგეთის რაიონში 500 ჰექტარზე (ეს დაახლოებით 2500 ოჯახია) მეტი სავარგული მიწა დარჩა დაუხნავ-დაუთესავი. ეს კი მცირემიწიანი რაიონისათვის ძალზე დიდი ციფრია. რაიონულმა გამგეობამ სესხები კი გასცა ცალკეულ სოფლებზე ხვნა-თესვის სამუშაობის საწარმოებლად, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი აღმოჩნდა. ხელმოკლეობამ, ტექნიკისა და საწვავის სიძვირემ ბევრ ოჯახს ხელი აალებინა ერთწლიანი კულტურების დათესვაზე, თუმცა ვინც დახნა და დათესა, იმასაც არა აქვს განაღდებულ-გალაღებული ცხოვრება. ერთი ტომარა აზოტოვანი სასუქი უკვე 17 ლარი ღირს და დღესავით ნათელია, რომ მისი ღირებულება, ერთწლიანი კულტურების სავეგეტაციო პერიოდის მოახლოებასთან ერთად, კიდევ მოიმატებს. უსასუქოდ დარჩენილი ისედაც გამოფიტული მიწა კი დაუხნავ-დაუთესავზე მეტ მოსავალს არ იძლევა. მიწა ყველგან მიწაა და სასუქს ითხოვს, გინდა ნაყიდს, გინდა ნაჩუქარს.

რამდენი ცრემლი გვიღვრია ამ ცოტა ხნის წინ. ე.წ კაპქვეყნებში მასობრივი უმუშევრობის აღმაშფოთებელი სტატისტიკის მოსმენით. თუმცა ყურმოკვრით ვიცოდით, რომ იქაური უმუშევარი (დროებითიც და მუდმივიც) ჩვენს მომუშავეზე მსუყედ ცხოვრობდა. ჩვენთან ყველა მუშაობდა. თითოოროლა თითით საჩვენებლი უმუშევარი იყო, ისეთი, მუშაობა რომ არ სურდა. ახლა კი სად უნდა იმუშაოს ოზურგეთელმა კაცმა თუ ქალმა, როცა არანაირი ნაშთი არ არის დარჩენილი საკონსერვო, საბურავებისა და რეზინის წარმოების ქარხნებიდან. ხორცისა და რძის, ჩაის ნატურალური კონცენტრატების, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატებიდან; ავტო-ტექ მომსახურების სადგურებიდან მხოლოდ კედლებია დარჩენილი. ჩაის ფაბრიკების უმეტესობა უმოქმედოა, ისევე როგორც აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის უარმაზარი კომპლექსი, სადაც ახლა ერთ პატარა ოთახში 10-თეთრიანი ლიმონათის საამქრო ფუნქციონირებს. უცხოელმა მეპატრონემ ასევე ერთ პატარა საამქროდ აქცია ყოფილი მაღაროთა სამმართველოს ქარხნებიც. კიდევ კარგი, პროფილი მაინც შეუნარჩუნდა ნაწილობრივ. ფაქტობრივად უმუშევარია სოფელიც. მეჩაიეების მხოლოდ 10-12 პროცენტია ამჟამად დასაქმებული, თუ შეიძლება დასაქმებულად ჩაითვალოს ადამიანი, რომელიც მიზერულ ანაზღაურებაზე მონასავით შრომობს.

წლევანდელმა უამინდობამ, წლების მანძილზე ნიადაგგამამდიდრებელი სასუქების მწვავე დეფიციტმა, შხამ-ქიმიკატებით შეწამვლისა და სხვა ენტომოლოგიური ღონისძიებების იგნორირებამ შედეგად მოიტანა ის, რომ წლევანდელი პროგნოზით მეციტრუსეობაში უნაყოფო წელიწადი იქნება.

ეს ყველაფერი კი ოზურგეთის რაიონის ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენდა და ეს ხერხემალი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. სეზონურად მომუშავე რამდენიმე ჩაის ფაბრიკა, აგრარული ბაზარი, სავაჭრო ქსელი, ბენზინგასამართი სადგურები არის ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი შემავსებლები. ერთადერთი სტაბილური და შედარებით მსხვილი გადამხდელია შპს "ტონუსი", სადაც დირექტორი ამირან ჩხაიძე თეთრი ყვავივით გამოირჩევა წითელ დირექტორებს შორის, კბილებით დაიცვა და მთლიანად შეინარჩუნა ქაოსისა და განუკითხაობის წლებში საწარმოს უძრავ-მოძრავი ქონება და წარმოების გაფართოებაზეც ზრუნავს.

ოზურგეთში ღამით შუქის, დღისით კი ლუკმაპურის შოვნის მოლოდინით ცხოვრობს ძალიან ბევრი ადამიანი და ერთადერთი იმედის თვალით შესცქერის ახალ ხელისუფლებას, რადგან ძველმა ვერაფერი უსაშველა.

*თამაზ ხარაიშვილი,*
*ოზურგეთიდან*

# ნანა კაკაბაძე მოლაშვილს პოლიტპატიმრად მიიჩნევს



"ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებენ.

ვახო ხაჩაპურიას ფოტო

**"ჩვენს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოში კვლავ გამოჩნდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირები... ადამიანის უფლებების დარღვევათა შემთხვევები საქართველოში კრიტიკულ ზღვარს აღწევს: ჩვენი სამართალდამცველების მუშაობის განუყოფელ ნაწილადაა ქცეული მოქალაქეთა უკანონო დაკავებები და დაპატიმრებები (იარაღის ან ნარკოტიკული ნივთიერებების "ჩადების" გზით), პროცედურების უხეში დარღვევებით წარმოებული სხვადასხვა ოპერაციები, სახელმწიფო რეკეტი, რაც დაკავშირებულია დაპატიმრებული ყოფილი ჩინოვნიკებისათვის გამოსასყიდის გამორთმევასთან და ამ გზით მათ გათავისუფლებასთან",** - განაცხადეს გუშინდელ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენლებმა. მათი აზრით, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, ბათუმელი სტუდენტი ლაშა ჩახვაძე, აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი კუპრაშვილი პოლიტიკური მოტივით არიან დაკავებულნი.

ნანა კაკაბაძის აზრით, სულხან მოლაშვილის დაპატიმრების მიზეზი არის ის უცხოური გრანტები, რომელიც საქართველოში შემოვიდა და უგზოუკვლოდ დაიკარგა. როგორც ქალბატონი კაკაბაძე აცხადებს, ხელისუფლებას აშინებს პიროვნება, რომელიც ამ სოლიდური თანხის შესახებ ყველანაირ ინფორმაციას ფლობს. ნანა კაკაბაძეს ეეჭვება, რომ სულხან მოლაშვილი წინასწარი დაკავების საკანში ელექტროშოკით და სიგარეტის ნამწვავებით აწამეს. კაკაბაძის თქმით, სულხან მოლაშვილი ამის საჯაროდ გაცხადებას თავს არიდებს.

**"ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" საქართველოში არსებული ვითარების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას დაუგზავნის საერთაშორისო ორგანიზაციებს. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები საკუთარ ხელისუფლებას აფრთხილებენ: "საქართველოში ცოტა ვინმე თუ ელოდა, რომ ხალხის მხარდაჭერითა და დემოკრატიის ლოზუნგებით მოსული ხელისუფლების პირობებში საზოგადოებაში კვლავ გაჩნდებოდა პოლიტიკური პატიმრების პრობლემა. ჩვენ ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ დემოკრატიულ ღირებულებებთან მიმართებაში ასეთი დამოკიდებულების გაგრძელების შემთხვევაში იგი ძალიან სწრაფად დაკარგავს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას".**

*24 საათი*

# დავით მირცხულავა საპყრობილეში

სემეკის ყოფილი თავმჯდომარის დავით მირცხულავასთვის ჩატარებული სამედიცინო კვლევის პასუხი უკვე ცნობილია. სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით მირცხულავას სტაციონარული მკურნალობა არ ესაჭიროება, - ასეთი დასკვნა გამოიტანა ექიმთა კონსილიუმმა, რომლის შემადგენლობაში იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები შედიოდნენ.

კონსილიუმმა მირცხულავას აპარატული კვლევის შედეგები განიხილა. ექიმთა დასკვნით, მირცხულავას მეორე ხარისხის ჰიპერტონიული დაავადება აწუხებს. არ დადასტურდა ეჭვი გულის კორონალური დაავადების არსებობის თაობაზე. ავადმყოფს აქვს, აგრეთვე, შარდის ბუშტის არასპეციფიკური ანთება, რომლის მედიკამენტური მკურნალობაც №7 საპყრობილეში ჩაუტარდება. სამედიცინო კონსილიუმის დასკვნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა მეშვიდე საპყრობილეში დარჩება.

მირცხულავა ამ დროისთვის თბილისის N7 საპყრობილეში იმყოფება. მას სამედიცინო კვლევა 30 ივნისს კარდიოლოგიურ ცენტრში ჩაუტარდა, რის შემდეგაც იგი უკან, N7 საპყრობილეში დააბრუნეს.

სემეკ-ის ყოფილი თავმჯდომარე, ენერგეტიკის ექსმინისტრი დავით მირცხულავა წინასწარ პატიმრობაში გასული წლის დეკემბრიდან იმყოფება. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე გენერალურ პროკურატურაშია აღძრული და მისი გამოძიება დასრულდა, საქმის მასალებს ამჟამად დაცვის მხარე ეცნობა.

მირცხულავას პატიმრობის ვადა 16 ივლისს იწურება. ამ დრომდე პროკურატურამ დაცვის მხარისათვის საქმის გაცნობა და საქმის სასამართლოში გაგზავნა უნდა მოასწროს.

*მედია-ნიუსი*

# აპარატის ხელმძღვანელი სასამართლოში ჩივის

ყოფილი განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელის ლალი მოროშკინას განცხადებით, აღნიშნული აპარატის გაუქმების შესახებ ოფიციალური სამართლებრივი აქტი ჯერ არ მომზადებულა, თუმცა უცნობმა პირებმა აპარატის ოფისი თვითნებურად დაიკავეს, რის გამოც 15 თანამშრომელს თანამდებობრივი უფლებამოსილება უკანონოდ შეუწყდა.

ლალი მოროშკინა აპარატის თანამშრომლებისა და საკუთარი უფლებების დაცვას სასამართლოში სარჩელის შეტანით აპირებს, ხოლო ვითარებაში გარკვევასა და დახმარებას პრეზიდენტ სააკაშვილს სთხოვს.

**"დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი აპარატის უფლებამოსილების უკანონოდ შეწყვეტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს,"** - განაცხადა მოროშკინამ.

*მედია-ნიუსი*

# ტამიშთან დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გუშინ, 1993 წლის 2 ივლისს აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს სოფელ ტამიშთან დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა, რომელსაც შეიარაღებული ძალების მოქმედი და ყოფილი ხელმძღვანელები, ასევე, გარდაცვლილთა ახლობლები დაესწრნენ.

თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა გივი იუკურიძემ გვირგვინებით შეამკეს ვაზიანის ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე მემორიალი, რომელზეც სოფელ ტამიშთან დაღუპული "შავნაბადას" ბატალიონის 67 სამხედრო მოსამსახურის სახელი და გვარია ამოტვიფრული.

გარდა ამისა, შავნაბადას ეკლესიის მოძღვარმა მამა შიომ ბრიგადის ტერიტორიაზე მოქმედ ეკლესიაში გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე საჩვენებელი წვრთნებით დასრულდა, რომლის დროსაც მე-11 ბრიგადის ჯარისკაცებმა ვერტმფრენებით დესანტირება განახორციელეს. "შავნაბადას" ბატალიონმა 1993 წლის 2 ივლისს, ტამიშში რუსეთის სამხედრო დესანტის გადმოსხმის დროს, 67 მეომარი დაკარგა. ტამიშთან ბრძოლებს კობა კობალაძე ხელმძღვანელობდა.

ამ დღესთან დაკავშირებით, ჩუღურეთის რაიონში, ჩიტაიას ქუჩაზე მდებარე სკვერს "შავნაბადას" ბატალიონის დაღუპული ლეიტენანტის კახა ხვედელიძის სახელი მიენიჭა და იქ მემორიალი დაიდგა. სკვერის გახსნაზე თავდაცვის უწყების მოქმედი ხელმძღვანელები არ მისულან. მათ ნაცვლად, სკვერის გახსნას თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე და ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი კობა კობალაძე დაესწრნენ, რომელთაც მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

*ინტერ-პრესი*

# საქართველო "ეგმონტის" წევრი ქვეყანა ხდება

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ეგმონტის ჯგუფში გაწევრიანდა. ეს გადაწყვეტილება ჯგუფის წევრმა სახელმწიფოებმა ლონდონში ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს. მას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნიკა გეგუჩაძე უპრეცედენტოს უწოდებენ. **"ეს არის პირველი შემთხვევა "ეგმონტის ჯგუფის" ისტორიაში, როცა ქვეყანა, სადაც მხოლოდ ერთი წელია ფუნქციონირებს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, მიღებული იქნა ესოდენ პრესტიჟული გაერთიანების წევრად,"** - აღნიშნა ნიკა გეგუჩაძემ.

"ეგმონტის ჯგუფი" შეიქმნა 1995 წელს და დღეისთვის 94 ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურს აერთიანებს. ჯგუფის შექმნის ძირითადი მიზანი იყო ტერორიზმის, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ბრძოლა, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პროგრამის ხელშეწყობა. **"ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა ამიერიდან უფრო აქტიური გახდება და საქართველო ამ ბრძოლაში მსოფლიოს თანამეგობრობასთან ერთად ჩაერთვება"** - განაცხადა მანაგაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, საქართველო მზად არის ებრძოლოს ფულის გათეთრებას და გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რასაც მას ეგმონტის ჯგუფის წევრობა აძლევს. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ნიკა გეგუჩაძის განმარტებით, ეგმონტის ჯგუფში გაწევრიანების შემდეგ საქართველოს შესაძლებლობა ექნება, მსოფლიოს ამგვარი ტიპის სამსახურებისგან ტერორიზმის, ნარკოტიკებისა და იარაღით ვაჭრობის, აგრეთვე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციები მიიღოს. ეგმონტის ჯგუფში წევრობისათვის საქართველოს საწევროს გადასახადის გადახდა არ მოუწევს. როგორც გეგუჩაძემ აღნიშნა, ფინანსური მონიტორინგის სამსახური უკვე აქტიურად თანამშრომლობს პროკურატურაში შექმნილ სპეციალურ ჯგუფთან, რომელსაც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა ევალება და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ აღმოჩენილ დარღვევებს სწავლობს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში დღეს, აკადემიის სასწავლო პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ ხასან ბასრი ასლანის საროტაციო ვადის დასრულებასთან დაკავშირებული ღონისძიება გაიმართება. პოლკოვნიკი ასლანი პოლკოვნიკ ხუსეინ უზუმს მოვალეობას საზეიმო ვითარებაში გადააბარებს. ღონისძიებას საქართველოს მთავრობის წევრები და საქართველოში აკრედიტებული, უცხოეთის ქვეყნების სამხედრო ატაშეები დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მესამე დღეა, სოჭის საზღვაო პორტის საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლები საქართველოს 40-მდე მოქალაქეს რუსეთის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევენ. პარლამენტარ თამაზ დიასამიძის ინფორმაციით, მას სოჭიდან საქართველოს მოქალაქეთა ის ჯგუფი დაუკავშირდა, რომელიც ბათუმიდან სოჭში კატარღა "მიხეილ სვეტლოვით" ჩავიდა და რომელსაც სოჭის პორტის საიმიგრაციო სამსახური, გაურკვეველი მიზეზების გამო, პორტის ტერიტორიიდან გასვლის საშუალებას არ აძლევს. "მათ საბუთები წესრიგში აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საიმიგრაციო სამსახური საქართველოს მოქალაქეებს რუსეთის ტერიტორიაზე არ უშვებს. ეს უფრო პოლიტიკურ გაუგებრობას ჰგავს,"- აღნიშნა დიასამიძემ მგზავრების მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მისივე ინფორმაციით, სოჭის პორტში მყოფი მგზავრების მდგომარეობა მძიმეა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გუშინ, ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი ბრუნო ჰალერი და ევროპის საბჭოს გენერალური დეპარტამენტის დირექტორი ვოიცეხ სავიცკი ეწვივნენ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი თბილისში საქართველოს საპარლამენტო ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეებს შეხვდება. წინასწარი ინფორმაციით ვიზიტის მიზანი საქართველოს პარლამენტისთვის ტექნიკური დახმარების გაწევაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და საპარლამენტო დელეგაცია 3 ივლისს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მე-13 სესიაზე მონაწილეობის მისაღებად შოტლანდიაში, ედინბურგში გაემგზავრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი და ონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით საგანელიძე მთავრობის სხდომებზე მაჟორიტარი დეპუტატის საათის შემოღებას ითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** გუშინ, დაახლოებით 21.00 საათზე, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიიდან ორი ჭურვი ფრონეს ხეობაში, სოფელ ავნევში ჩამოვარდა. ერთი - სოფლის ხიდთან, მეორე კი ადგილობრივი მკვიდრის რამაზ კვინიკაძის საცხოვრებელ სახლთან აფეთქდა. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. "იქიდან გამომდინარე, რომ ჭურვები საკმაოდ შორი მანძილიდან იყო ნასროლი, ჩვენ ზნაურის მილიციის ხელძღვანელობას დავუკავშირდით. მათი განცხადებით, ჭურვების გადმოსროლა სოფელ ფრინევში არსებულ სამხედრო პოლიგონზე მიმდინარე წვრთნების შედეგად მოხდა. ისინი ჩვენთან საუბრისას მხოლოდ ამგვარი კომენტარით შემოიფარგლნენ," - განაცხადა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# როგორ ინაწილებენ ფუნქციებს და მცირე თანამდებობებს კომიტეტებში

პირველი გვერდიდან

გუშინ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტის სხდომა სწორედ საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრას მიეძღვნა. იმის გამო, რომ ახალი რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტში ქვეკომიტეტების ინსტიტუტი აღარ არსებობს, კომიტეტმა სამუშაო ჯგუფები შექმნა, თუმცა, როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ედვარდ სურმანიძემ განაცხადა, ამ სამუშაო ჯგუფებს დაახლოებით იგივე დატვირთვა ექნებათ, რაც თავის დროზე ქვეკომიტეტებს.

მოკლედ, გუშინ კომიტეტის წევრებმა ფუნქციები გადაინაწილეს და თანამდებობებიც დაირიგეს. მართალია, ეს თანამდებობები მხოლოდ "ლოკალური" მნიშვნელობისაა და პრივილეგიები კომიტეტის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ ცხადია, რომ თანამდებობა გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. მით უფრო, რომ სულ მალე პარლამენტში კომიტეტის საქმიანობა პარლამენტის ყურადღების ცენტრში მოექცევა, რადგან ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საბოლოო განსაზღვრა და რეალური თვითმმართველობისთვის აუცილებელი კანონის მიღება ყველაზე აქტიურ საკანონმდებლო ქმედებებს სწორედ ამ კომიტეტისაგან მოითხოვს.

სანამ სამთავრობო კომისიაში ტერიტორიული მოწყობის მოდელს დაამუშავებენ, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის წევრები შედარებით "პროზაული" საქმიანობით დაკავდებიან.

სწორედ ამ მიზნით, კომიტეტში შეიქმნა რვა სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონკრეტულ მიმართულებებზე პასუხისმგებელი იქნება.

მათ შორისაა: **რეგიონული პოლიტიკის საკითხებთან მუშაობის ჯგუფი (ხელმძღვანელი ბადრი ხატიძე), საქართველოს თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის ჯგუფი (ხელმძღვანელი ჯაბა მაღლაკელიძე), ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის ჯგუფი (ხელმძღვანელი სანდრო თაბაგარი), მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პარლამენტში გრძელდება "რევოლუციონერთა" დაკმაყოფილება თანამდებობებით.*

**კულტურული განვითარების საკითხების ჯგუფი (ხელმძღვანელი ნოდარ საბანიძე), საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ჯგუფი (ხელმძღვანელი ქამალ მურადხანოვი), კომიტეტის გამგებლობას მიკუთვნებული საკანონმდებლო საკითხების შესრულების ანალიზისა და კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებების დამატებების შეტანისა და კამიტეტში შემუშავებული და შემოსული სხვა კანონპროექტების განხილვა-დამუშავებისა და დასკვნებისა და შენიშვნების მომზადების ჯგუფი (ხელმძღვანელი რატი სამყურაშვილია. აქვე დავძენთ, რომ ჯგუფის სახელწოდების გადმოცემისას სტილი დაცულია), პეტიციების, მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების, აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობების პირთა ინფორმაციებისა და შემოწმებათა განხილვის ჯგუფი (ხელმძღვანელი სოფიო ლარცულიანი), საპარლამენტო კონტროლის ჯგუფი (ხელმძღვანელი ლაშა მინდელი).**

სხვათა შორის, საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა ამ ჯგუფების ხელმძღვანელთა შერჩევის პრინციპი. ქამალ მურადხანოვი არასამთავრობო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების ჯგუფის ხელმძღვანელად იმიტომ აირჩიეს, რომ მას ახლო წარსულში არასამთავრობო სექტორში საქმიანობის უდიდესი გამოცდილება ჰქონია და, როგორც თავად ამტკიცებს, შესანიშნავად იცის ინგლისური, ფრანგული და სლოვენური ენები (იგი, როგორც აღმოჩნდა, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა სათვისტომოს ხელმძღვანელი იყო, თუმცა, მეორე მხრივ, რა საერთო აქვს სათვისტომოს რეგიონულ პოლიტიკასა და თვიმმართველობის პრობლემებთან, ოდნავ გაუგებარია).

"კომიტეტის გამგებლობას მიკუთვნებული საკანონმდებლო საკითხების შესრულების ანალიზისა და კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებების დამატებების შეტანისა და კომიტეტში შემუშავებული და შემოსული სხვა კანონპროექტების განხილვა-დამუშავებისა და დასკვნებისა და შენიშვნების მომზადების ჯგუფის" ხელმძღვანელი რატი სამყურაშვილი კი ახლო მომავალში დისერტაციას დაიცავს და მისი საკანდიდატო თემა სწორედ თვიმმართველობასა და რეგიონულ პოლიტიკას დაუკავშირდება. ასე რომ, იგი ორ საქმეს ერთდროულად გააკეთებს - თან ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე იმუშავებს, თან საკუთარ სამეცნიერო კარიერაზეც იზრუნებს. პარალელურ რეჟიმში მუშაობა კი სამყურაშვილს იმის საშუალებას მისცემს, რომ დისერტაციისთვის აუცილებელი ინფორმაცია პარლამენტის მეშვეობით თავისუფლად მოიძიოს და იგივე ინფორმაცია საკანონმდებლო საქმიანობისთვისაც გამოიყენოს. ასეთი მიდგომა კი ჩვენ იმის იმედს მოგვცემს, რომ მის მიერ კურირებული მიმართულება პარლამენტში არ მიფუჩეჩდება.

ლაშა მინდელს საპარლამენტო კონტროლის განხორციელება წარსული გამოცდილების წყალობით მიანდეს (იგი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე იყო და მან საკმაოდ კარგად იცის, ადგილებზე რამდენი კანონი "მუშაობს"). სოფიო ლარცულიანი კი, როგორც მანდილოსანი, მოქალაქეების გასაჭირს უფრო კარგად გააცნობიერებს.

მოკლედ, კომიტეტის საკადრო პოლიტიკის თავისებურებების მიუხედავად, დეპუტატები საკმაოდ სერიოზულ საქმეებს შეეჭიდნენ. იმედია, მათი სულისკვეთება არ განელდება და წინა მოწვევის პარლამენტის მსგავსად, მათი სადეპუტატო საქმიანობა მხოლოდ ქაღალდზე დეკლარირებული არ იქნება.

## ნინო ბურჯანაძე ქუთაისში ბიუროს ხსნის



*სანამ პარლამენიტის თავმჭდომარე რწმუნებულს ხვდებოდა, გარემოვაჭრეებმა ოფისის წინ მოიყარეს თავი.*

ბექა სისაური
ქუთაისიდან

გუშინ ქუთაისში მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო გაიხსნა. ამიერიდან ქუთაისელებს საჭირბოროტო საკითხების შესახებ ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირება აღნიშნული ბიუროს საშუალებით შეეძლებათ. პარლამენტის თავმჯდომარე უფრო შორს მიდის და ქუთაისში პარლამენტის წარმომადგენლობის გახსნასაც აპირებს, სადაც ბიუროს გამსვლელი სხდომების ჩატარებაც იქნება შესაძლებელი. ბიუროს გახსნას ნინო ბურჯანაძეც დაესწრო.

შენობა, რომელშიც მაჟორიტარის ბიურო განთავსდა, ქალაქის ცენრში მდებარეობს. პირველ სართულზე სახალხო დამცველის რწუნებულის ოფისია განთავსებული, მაჟორიტარის ბიუროსთვის კი მეორე სართულის გარემონტებაა დაგეგმილი. მანამდე წარმომადგენლობა პირველ სართულზე, რამდენიმე ოთახში განთავსდება.

**"ბიუროს ამუშავების შემდეგ, ქუთაისელები უკეთ იგრძობენ მაჟორიტარის მიერ განხორციელებულ საქმიანობას. ეს იქნება ადგილი, სადაც მოსახლეობა საკუთარ პრობლემებზე პასუხებს მოისმენს. ამავე დროს, გადავწყვიტეთ, რომ გაერო-ს განვითარების პროგრამასთან ერთად, გავაკეთოთ პიონერული პროექტი, დასავლეთ საქართველოში გავხსნათ პარლამენტის წარმომადგენლობა. საერთოდ, ქუთაისთან მიმართებაში ძალიან ბევრი გეგმები გვაქვს, მოხარული ვარ, რომ უახლოეს ხანში ქუთაისის ცენტრალური გზა გაკეთდება, იგეგმება წყლის პრობლემების მოგვარებაც, ვმუშაობთ სხვა მიმართულებითაც,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

სანამ პარლამენიტის თავმჯდომარე ახალ ოფისში პრეზიდენტის რწუნებულს ხვდებოდა, ქუთაისის ცენტრალური უბნებიდან რამდენიმე დღის წინ აყრილმა გარემოვაჭრეებმა, ოფისის გარეთ მოიყარეს თავი. ისინი მერიის მიერ გარევაჭრობის აკრძალვას აპროტესტებდნენ და ბაზრობაზე გამოყოფილი ადგილებით უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. შესაბამისი გახლდათ მათი ლოზუნგებიც: "ლამაზი ქალაქი მშიერი ხალხის ხარჯზე", "მოგვეცით სიცოცხლის უფლება!".

**"ჩვენი მოთხოვნაა, რომ ქალაქის ცენტრში ერთი ნორმალური შენობა გამოგვიყონ, სადაც ყველა ჩვენგანი მოვთავსდებით. ამჟამად ცენტრალურ ბაზარში გამოგვიყვეს ადგილი, მაგრამ კარტოფილის და ხახვის გვერდით ტანსაცმელი როგორ გავყიდოთ? თანაც იქ ანტისანიტარიაა, ვირთხებმა და ტარაკნებმა ტანსაცმელი შეგვიჭამეს. ხომ შეიძლებოდა ჩვენთვის ჯერ ნორმალური ადგილები მოენახათ, ქუჩიდან მერე ავეყარეთ?"** - აცხადებდნენ გარე მოვაჭრეები.

ნინო ბურჯანაძე ბიუროდან გამოსვლისას გარემოვაჭრეებს შეხვდა და პრობლემების მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდა. **"ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის რომ ეს ხალხი უადგილოდ არ დარჩეს და უჯახში პურის ფული მიიტანონ,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. პარლამენტის თავმჯდომარის დაპირებებით შეგულიანებულმა გარემოვაჭრეებმა, თავიანთ ადგილებზე დაბრუნება სცადეს. თუმცა, მათ მონდომებას პოლიციამ და ქუთაისის მერიის წარმომადგენლებმა მალევე გამოაცალეს საფუძველი და ძველი ადგილების დაკავების საშუალება არ მისცეს.

# "საქართველო სრულიად გახსნილია დიალოგისთვის"

პირველი გვერდიდან

განსაკუთრებულ პრობლემათა შორის მიხეილ სააკაშვილმა სავიზო რეჟიმი დაასახელა და იქვე აუწყა მოსკოვურ მედიას, რომ მალე საქართველო ცალმხრივად გაამარტივებს სავიზო რეჟიმს: **"პირველ რიგში, ჩვენ გვინდა მოვიზიდოთ რუსი ტურისტები, რუსული ბიზნესის წარმომადგენლები. ჩვენ არ გვინდა, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს საქართველოში ჩამოსვლისას რაიმე გადაულახავი, ბიუროკრატიული დაბრკოლებები შეხვდეთ."**

საქართველო ელის მოსკოვისგან სათანადო რეაქციას კიდევ ერთ მნიშვნელოვან წინადადებაზე, რაც ერთობლივი ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრის შექმნას გულისხმობს.

**"არც ერთი სხვა ქვეყანა რუსეთთან მსგავსი წინადადებით არ მისულა. ჩვენ გვინდოდა, რომ ეს ყოფილიყო ერთობლივი ქართულ-რუსული ცენტრი, რომელსაც ექნებოდა მთელი საზღვრის გასწვრივ და, მთლიანად, რეგიონში ტერორიზმთან ბრძოლის მანდატი,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

**"საქართველო სრულიად გახსნილია დიალოგისთვის,"** - ხაზს უსვამს საქართველოს პრეზიდენტი. დღეს **"საქართველოში ძალიან ინტენსიური ეკონომიკური რეფორმები მიმდინარეობს. ჩვენ შემოვიღეთ ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ყველაზე დაბალ საგადასახადო განაკვეთებს ითვალისწინებს მთელი რეგიონის მასშტაბით. ჩვენ ვეცადეთ ჩვენი საგადასახადო განაკვეთი უფრო დაბალი ყოფილიყო, ვიდრე ის რუსეთშია იმ იმედით, რომ რუსული ბიზნესი საქართველოსკენ დაიძვრება. ჩვენი ქვეყანა ორიენტირებულია ნებისმიერ უცხოურ ინვესტიციებზე,"** - საქართველოს ეკონომიკის პერსპექტიულობაში არწმუნებს მოსკოვს სამხრეთელი მეზობლის პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილის აზრით, **"საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა საქართველოს ეკონომიკის მინისტრად კახა ბენდუქიძის დანიშვნა. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ მისი მუშაობით. მიგვაჩნია, რომ ის გამოცდილება, რომელიც მან რუსეთში მიიღო, უნიკალურია და აუცილებელია იმისთვის, რათა ფეხზე დავაყენოთ ქართული ეკონომიკა."**

რასაკვირველია, საქართველოს პრეზიდენტმა გვერდი ვერ აუარა კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებსაც: **"საქართველოსთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა ჩვენ პოლიტიკური გზით გვინდა. აუცილებელია, დავიძრათ მკვდარი წერტილიდან. საქართველო მზადაა სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად. ბუნებრივია, ჩვენ რუსეთთან თანამშრომლობისა და მისი თანადგომის იმედიც გვაქვს - ისევე როგორც ეს აჭარის კრიზისის დროს მოხერხდა."**

შეკითხვა: როგორი იქნება თქვენი კომენტარი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის განცხადებაზე, სადაც მან აღნიშნა, რომ საქართველო მზადაა, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყვიტოს?

მიხეილ სააკაშვილი: **"ეს ძალიან პატარა რეგიონია. კონფლიქტის დაწყებიდან, წლების განმავლობაში, ამ რეგიონში სულ იარაღის ჟღარუნი ისმოდა. ამ კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტა დაუშვებელია. იქ საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ - ისეთივე მოქალაქეები, როგორებიც საქართველოს სხვა რეგიონებში. ჩვენ დავიწყეთ პენსიების გაცემა იმ ოსებზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ჩვენ გავაგზავნეთ იქ სასუქები, გავაგზავნეთ ექიმები, რომლებმაც მოსახლეობის დიდ ნაწილს უფასო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს; გავაგზავნეთ წამლები. ოსი ბავშვები საქართველოს მთავრობის ხარჯით შავი ზღვის სანაპიროზე, ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ისვენებენ. ამ ყველაფერს ჩვენ იმიტომ ვაკეთებთ, რომ ყველანი დავარწმუნოთ ჩვენს მშვიდობიან ზრახვებში. ჩვენ არა გვაქვს გადაუჭრელი საკითხები. მზად ვართ, მოლაპარაკებების მაგიდასთან დავსხდეთ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან და მივცეთ მათ გაცილებით უფრო მყარი გარანტიები, ვიდრე ეს ჩრდილოეთ ოსეთს - ალანიას აქვს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.**

**სიტუაცია აქ საკმაოდ ნათელია. არის ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც დაკავებულია კონტრაბანდით. კონტრაბანდა ჩვენ დავხურეთ და მომავალშიც არ მივცემთ გასაქანს. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველო მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოიყენებს იარაღს - იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე დაემუქრება ქვეყნის ერთიანობას და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. მე არ ვფიქრობ, რომ რამდენიმე ათეული სეპარატისტი, რომელიც დღეს ოსეთშია, ამგვარ საფრთხეს ქმნიდეს. შეიარაღებული პროვოკაციის ნებისმიერ მცდელობას ჩვენ სათანადოდ ვუპასუხებთ და ძირშივე ჩავახშობთ. საქართველოს პოლიტიკურ მეთოდთა იმდენად დიდი არსენალი აქვს, რომ იარაღის გამოყენების აუცილებლობას ვერ ვხედავ... ჩვენ რომ გვდომოდა, აჭარაშიც გამოვიყენებდით იარაღს, მაგრამ ჩვენ დიპლომატიური გზა ვარჩიეთ. უდანაშაულო ადამიანები არ უნდა დაზარალდნენ."**

შეკითხვა: თქვენ აღნიშნეთ, რომ სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებისას სერიოზულ ნაბიჯებზე ხართ მზად. კონკრეტულად, რა ნაბიჯებს გულისხმობთ?

მიხეილ სააკაშვილი: **"ბუნებრივია, ტერიტორიის სტატუსთან დაკავშირებული მოლაპარაკებები რადიკალურ გადაწყვეტილებებს საჭიროებს. ბუნებრივია, ყველა კმაყოფილი ვერ დარჩება. ბუნებრივია, ეს არის პროცესი, რომელიც ურთიერთდათმობებს საჭიროებს. დღეს საქართველოს მთავრობას ხალხის ნდობის სერიოზული მანდატი აქვს. იმისათვის, რომ ქვეყანა გამთლიანდეს, ჩვენ სერიოზულ კომპრომისებზეც ვართ მზად. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ საქართველოს შიგნით ფედერაციულ ურთიერთობებზე, რომლებიც ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტერესების დაცვაზე იქნება დაფუძნებული..."**

შეკითხვა: გუშინ, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების კომისიის სხდომა ისე დასრულდა, რომ არც დაწყებულა. რა კომენტარს გაუკეთებთ ამ ინფორმაციას?

მიხეილ სააკაშვილი: **"პირველ რიგში, ბატონ მაიოროვს, რომელსაც საქართველოსთან მოლაპარაკებების წარმართვა ჰქონდა დავალებული, დაავიწყდა, რომელი ქვეყნების საზღვრები გადის როკის გვირაბთან. ეს არაპროფესიონალური მიდგომაა. მეორე მხრივ, ქართული მხარის მიერ რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას კონტრაბანდული ტვირთისა და ბოევიკების დაკავების საპასუხოდ, ოსეთის სამხედრო დაჯგუფებამ საქართველოს უშიშროების სამი თანამშრომელი დააკავა და მათი ბოევიკებზე გაცვლა შემოგვთავაზა. არც ერთი ქვეყანა ასეთ საკითხებში ვაჭრობას არ დაიწყებს. ჩვენ არ ვაპირებთ დავკავდეთ ადამიანებით ვაჭრობით. ამ გზას არსად არ მივყავართ."**

შეკითხვა: როგორც ცნობილია, მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა გაგრაში არაერთი სანატორიუმი შეიძინა. რა კომენტარს გააკეთებდით ამასთან დაკავშირებით?

მიხეილ სააკაშვილი: **"როგორც ჩანს, აჭარის გაკვეთილებიდან ლუჟკოვმა დასკვნები ვერ გამოიტანა. პირობას ვდებ, რომ აჭარაში ყველა მის ეკონომიკურ ინტერესს დავაყადაღებ და კონფისკაციას გავუკეთებ. ეკონომიკური ინტერესები კი ლუჟკოვს აჭარაში ნამდვილად ჰქონდა. ასევე მოვიქცევით აფხაზეთშიც."**

შეკითხვა: რამ განაპირობა ქართული სამხედრო კონტინგენტის ზრდა ერაყში? რა აზრის ხართ სადამ ჰუსეინის გასამართლებასთან დაკავშირებით და აპირებთ თუ არა თქვენ ედუარდ შევარდნაძის გასამართლებას?

მიხეილ სააკაშვილი: **"მე მათ არც კი შევადარებდი. შევარდნაძე უწყინარი მოხუცია, რომელიც დღეს მემუარებს წერს. მან ძალიან ბევრი ცუდი გააკეთა საქართველოსთვის და ხალხს ის არ უყვარს. საქართველომ ძალიან დიდი თანხა მიიღო შევარდნაძის ოჯახის პირადი ანგარიშებიდან, რომლებიც მათ აშშ-ში ჰქონდათ გახსნილი - ეს მისთვის საკმაოდ დიდი სასჯელია.**

**რაც შეეხება ჩვენს თანამშრომლობას ანტიტერორისტულ კოალიციასთან, ჩვენი სამხედროები არიან კოსოვოში, ავღანეთში, ერაყში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ქართული ჯარი მომძლავრებას იწყებს. ჩვენ მზად ვართ შევასრულოთ ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებები. ჩვენ გვინდა, რომ ერაყში და მთელ რეგიონში მშვიდობა იყოს. ერაყში ჩვენი კონტინგენტის ზრდა გამოიწვია იმან, რომ ჩვენ საამისოდ უფრო მეტი რესურსი გაგვიჩნდა."**

შეკითხვა: განლაგდებიან თუ არა საქართველოში ნატო-ს ჯარები?

მიხეილ სააკაშვილი: **"ნატო-ს ჯარები, მათ შორის - ამერიკის ჯარები, საქართველოში არ განლაგდებიან. ჩვენ საკმაოდ წარმატებულად ვაშენებთ ჩვენს საკუთარ არმიას."**

*24 საათი*

## პარლამენტის თავმჯდომარე ბიზნესს ჯანსაღ ლობირებას ჰპირდება

მაია ურუშაძე

"ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაცია" - ამიერიდან ეს ორგანიზაცია საქართველოში ბიზნესსა და პარლამენტს შორის ურთიერთობებს დაარეგულირებს.

ასოციაციის წარმომადგენლებმა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და ქართველ ბიზნესმენებს კანონმდებელთა და კომერსანტთა ურთიერთობის მსოფლიოში აპრობირებული მოდელი გააცნეს. პრეზენტაცია თავად "ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის" გენერალურმა მდივანმა ფრედერიკ ჰაიდ-ჩემბერსმა მოაწყო.

"პარლამენტში უნდა ხდებოდეს "ჯანსაღი ლობირება" სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებისა, და არა - ერთი რომელიმე ბიზნესმენის ინტერესებისა," - განაცხადა ბურჯანაძემ.

ფრაქცია "მაჟორიტარის" თავმჯდომარე ჩხარტიშვილისთვის მნიშვნელოვანია, თუ ასოციაცია საგანგებო სემინარებს მოამზადებს, სადაც ღრმადპატივცემულ კანონმდებლებს ეკონომიკის ელემენტარულ საფუძვლებს მაინც შეასწავლიან. საქართველოს პარლამენტში შექმნილი ეს ორგანო, რომელსაც კოორდინაციას "ბიზნესისა და პარლამენტის ასოციაციის", ქართული ბიზნესელიტისა და პარლამენტის თითო-თითო წარმომადგენელი გაუწევს, ბიზნესისათვის ერთგვარი "ჯანსაღი ლობი" იქნება, იმუშავებს ქვეყნის ეკონომიკისთვის ყველა საკვანძოდ მნიშვნელოვან დოკუმენტზე და პარლამენტარებს ჯანსაღ და სწორ ინფორმაციას მიაწვდის.

ბიზნესისა და პარლამენტის ურთიერთობის ჯგუფის კურატორი ასოციაციის მხრიდან - ასოციაციის გენერალური მდივანი ფედერიკ ჰაიდ-ჩემბერსი იქნება, ქართული ბიზნესელიტიდან - გადამხდელთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე, ხოლო პარლამენტართა მხრიდან - პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე.

ფრედერიკ ჰაიდ-ჩემბერსის განმარტებით, "ჯერჯერობით, ჯგუფის პირველი ამოცანა შემდეგი შეხვედრის ორგანიზებაა, სამოქმედო გეგმა კი შემდეგ დაისახება."

ეს შეხვედრა 20-25 ივნისისთვის იგეგმება.



## ვინ რას უწუნებს თბილისის ახალ ბიუჯეტს?

*29 ხმა 9-ის წინააღმდეგ - დედაქალაქის 2004 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია. 70 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტი გუშინ საკრებულოს წევრთა დავისა და მორიგი დაპირისპირების მიზეზი გახდა. "ჩინოვნიკთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული ბიუჯეტი", - ასეთ შეფასებას აკეთებდა ოპოზიციონერთა ერთი ნაწილი. ისინი კი, ვინც გუშინ ბიუჯეტს მხარს აქტიურად უჭერდნენ, ირწმუნებოდნენ, რომ მალე "თბილისი თბილისს დაემსგავსება".*



ვახო ხაბელიას ფოტო

*დავით ხუციშვილი: "ეს ბიუჯეტი იდეალური არაა, მაგრამ დღეს უკეთესი ვერ გვექნება".*

ეთერ მამულაშვილი

ექვსთვიანი დაგვიანების შემდეგ, თბილისს 312-მილიონიანი ბიუჯეტი აქვს, რომლის შესახებაც "24 საათი" დეტალურად ორი კვირის წინათ წერდა. ქალაქის მთავრობის მიერ შემუშავებული ბიუჯეტის პროექტი, საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობამ უმნიშვნელო ცვლილებებით მაინც დაამტკიცა. როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ, ბიუჯეტის განხილვის დროს ყველაზე ბევრი საკრებულოელმა "ლეიბორისტებმა" იხმაურეს, თუმცა მათ არც "ახლები" და "მრეწველები" "ჩამორჩნენ". მათი ძირითადი პრეტენზია ბიუჯეტის არაპროგრამულობას უკავშირდებოდა. "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი თემურ ბილიხოძე ირწმუნება, რომ მიღებული ბიუჯეტის შემოსავლები დაუგეგმავია, ხოლო ხარჯვითი ნაწილი - საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებარი. **"მთავრობის მიერ დასახელებული პრიორიტეტული მიმართულებების ხარჯები არ არის წარმოდგენილი პროგრამების სახით, რაც საშუალებას არ გვაძლევს, მათი ღირებულებები რეალურად შევაფასოთ, შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი განვახორციელოთ და მათი ეფექტურობა განვსაზღვროთ. ამასთან ერთად, ბიუჯეტში იგნორირებულია საკრებულოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს თემურ ბილიხოძემ.

ძირითადი მიზეზი, რის გამოც "ლეიბორისტებს" ახლადდამტკიცებული ბიუჯეტი აღიზიანებთ, მათივე თქმით, სოციალური სფეროს არაპრიორიტეტულობაა.

**"ჩვენ მხარს ვერ დავუჭერდით იმ ბიუჯეტს, სადაც არ არის გათვალისწინებული თანხები პირველ და მესამეკლასელთა სახელმძღვანელოებისთვის, მასწავლებელთა 50-ლარიანი ბუნებრივი აირის ვაუჩერებისათვის, უფასო მუნიციპალური კლინიკისათვის, კოოპერატიული ბინათმშენებლებისა და "თბილტრანსის" მძღოლებისათვის,"** - ასეთი არგუმენტებით ცდილობდა "ლეიბორისტი" გიორგი გუგავა იმ მოწინააღმდეგეებისგან თავის დაცვას და გამართლებას, რომლებიც "ლეიბორისტებს" პოლიტიკურ ანგაჟირებულობაში სდებდნენ ბრალს.

სხვათა შორის, ბიუჯეტის მიმართ გარკვეული უკმაყოფილება გუშინ საკრებულოში მყოფმა რამდენიმე პარლამენტარმაც გამოთქვა. გიგი წერეთელი საკუთარი უბნისა და უბნელების ინტერესების დაცვას ცდილობდა, როცა ქალაქის ხელისუფლებისგან ბიუჯეტში მთაწმინდა-კრწანისის რეაბილიტაციისთვის შარშანდელზე მეტის გათვალისწინებას ამაოდ სთხოვდა.

**"იმ საგადასახადო ბაზის პირობებში, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, რა თქმა უნდა, იდეალური ვერ იქნება, მაგრამ ჩვენ მზად ვართ, დამატებითი წყაროების მოძიებაზე ვიმუშაოთ. ეს ბიუჯეტი ჩემთვის მისაღებია იმდენად, რამდენადაც ამ ბიუჯეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დედაქალაქში მართლწესრიგის დამყარებას, გზების კეთილმოწყობას, ქალაქის იერსახის შენარჩუნებას და იმ სოციალური პროგრამების გაგრძელებას, რომელიც შარშან იყო დაწყებული,"** - ასე ახსნა საკუთარი მხარდაჭერა ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერმა დავით ხუციშვილმა.

2004 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც, პრაქტიკულად, მხოლოდ დარჩენილი 6 თვის მანძილზე იმუშავებს, ასეთია: იგი გასული წლის ბიუჯეტთან შედარებით 70 მლნ ლარით არის გაზრდილი და მისი საერთო მოცულობა 312 მლნ 950 ათას ლარს შეადგენს. ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ გამოკვეთილ პრიორიტეტებს გზების საფარის აღდგენა (25 მლნ ლარი), გარე განათება (6 მლნ ლარი), შუქნიშნების მოწესრიგება (1 მლნ 800 ათასი ლარი) და საპატრულო პოლიციის შექმნა - (20 მლნ ლარი) წარმოადგენს. ავარიული საბინაო ფონდისთვის 15 მლნ ლარია გათვალისწინებული. გარდა ამისა, 54 მლნ ლარით დაფინანსდება განათლების სფერო, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფისთვის 28 მლნ 584 ათასი ლარია გათვალისწინებული, ხოლო კულტურისა და სპორტის სფეროებისთვის 17 მლნ ლარი გაიწერა.

## პარლამენტი ენერგეტიკულ პროგნოზებს ითხოვს

მაია ურუშაძე

*გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი მომავალ ზამთარს მოსალოდნელი ენერგეტიკული პრობლემებით დაინტერესდა, თუმცა ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა პარლამენტარები დიდად ვერ დაიმედა. როგორც გაირკვა, 24-საათიან ელექტრომომარაგებას არც მომავალ ზამთარს უნდა ველოდოთ.*

მაშინ, როცა ენერგეტიკის სამინისტრო დარგში კონცეპტუალურ საკითხებს ამუშავებს და მომავალი ორი-სამი წლის სამოქმედო გეგმას ინტენსიურად ხვეწს, ქვეყნის მთავარ კანონშემოქმედებს აინტერესებთ პასუხი მარტივ კითხვაზე: ექნება თუ არა დენი საქართველოს 2004-2005 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონზე. როგორც გაირკვა, 24-საათიანი ელექტრომომარაგების კომფორტს არც ამ ზამთარში უნდა ველოდოთ. საქმე ისაა, რომ საქართველოს ენერგოსისტემაში კვლავ დეფიციტია მოსალოდნელი და, სავარაუდოდ, დენის იმპორტი ისევ გარდაუვალი იქნება.

ასე რომ, შიდა რესურსებიდან მინისტრის ერთადერთი ძირითადი იმედი - "ენგურჰესია", რომელიც ახლა რეაბილიტაციის რეჟიმშია და მისი საბოლოო შეკეთება მომავალი თვის ბოლოსთვის იგეგმება. მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ ზამთრისათვის ჰიდრორესურსების მომარაგებაც საჭიროა, რაც სადგურის სრულ შეკეთებამდე ვერ დაიწყება. მიუხედავად ამისა, მინისტრი ვარაუდობს, რომ ენგურჰესის წყალსაცავის შევსებას პირველ ნოემბრამდე მოახერხებენ.

გარდა ამისა, ენერგოსისტემაში ჩასატარებელია ზამთრისათვის მზადების აუცილებელი სამუშაოები, რისთვისაც, მინიმუმ, 20-25 დოლარია საჭირო.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გილაურს "ენგურჰესისა" და იმპორტის იმედი აქვს.*

მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ ქვეყნის ეკონომიკის უმთავრეს დარგში ვითარების გამოსწორებისთვის დენის საფასურის ამოღების გაუმჯობესებაა საჭირო, რაც მხოლოდ ურჩ გადამხდელთა შეზღუდვებით მიიღწევა.

ამის გათვალისწინებით, ენერგეტიკის მინისტრი გუშინ აცხადებდა, რომ საქართველოს რეგიონების მსხვილი ქალაქები ზამთარში დენს დღე-ღამეში 12-14 საათით მიიღებენ, უფრო მცირე დასახლებები კი - უფრო ცოტა ხნით.

რაც შეეხება დარგის სტრატეგიულ პრიორიტეტებს, რომელთა გადაჭრის გარეშეც ქვეყნის ენერგეტიკას არასოდეს ეშველება, ნიკა გილაურს ამ საკითხებზე საუბარი გაცილებით უფრო უადვილდება. კერძოდ, მან კანონმდებლებს გუშინ განუმარტა, რომ ენერგეტიკის სამინისტრო, ძირითადად, ორ მთავარ საკითხზე - ენერგოუსაფრთხოებასა და სექტორის მომგებიანობაზე მუშაობს და ამ ორივე პრობლემის მოგვარებას დენის ტრანზიტის პოტენციალის გამოყენებით და აღრიცხვიანობის მოწესრიგებით გეგმავს.

"ზაფხულში ჭარბი ელექტროენერგიის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანის შესაძლებლობა უნდა მოგვეცეს. ამჟამად მოლაპარაკება გვაქვს თურქეთთან, რათა ამ მიზნით საქართველოსა და თურქეთს შორის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი აშენდეს," - განაცხადა გილაურმა. რაც შეეხება აღრიცხვიანობის მოწესრიგებას, ამ პროცესს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" და "სახელმწიფო ელექტროსისტემა" მიხედავენ.

გარდა ამისა, გილაური მიიჩნევს, რომ დარგის რეაბილიტაციისთვის პრივატიზაცია უნდა განხორციელდეს. თავდაპირველად, გამანაწილებელი ენერგოკომპანიების პრივატიზება უნდა მოხდეს, რომ დენის საფასურის ამოღების მაჩვენებელი გაიზარდოს და გენერაციის ობიექტები საინვესტიციოდ უფრო მიმზიდველი გახდეს. გილაურის პროგნოზით, ენერგოპრივატიზაციის დაწყების შესაძლებლობა მხოლოდ წელიწანახევრის შემდეგ გაჩნდება. სავარაუდოდ, ეს ის ვადაა, როცა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" უცხოელი ინვესტორებისთვის მისაყიდად უკვე მზად იქნება და საქართველოს ენერგოსექტორი მხოლოდ ერთი ქვეყნის კაპიტალის დაინტერესების არეალში აღარ იქნება მოქცეული.

სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი ენერგოსექტორის ვალების რესტრუქტურიზაციაცაა, რომელსაც საგანგებოდ შექმნილი სააგენტო განახორციელებს და ყველა კრიმინალური ვალის წარმოშობის ისტორიასა და კანონიერებას შეისწავლის.

სანამ საქართველოს ენერგოსექტორის პირველი პირი სტრატეგიულ გეგმებზე საუბრობდა, პარლამენტარებს კონკრეტული რაიონების ელექტრომომარაგების საკითხები აწუხებდათ. მაგალითად, აკაკი ბობოხიძე დაინტერესდა, თუ როდის და რამდენი ხნით მიაწვდიან დენს დასავლეთ საქართველოს ჩაის ფაბრიკებს, რომელთაც ჩაის პირველი ვეგეტაციის შემდეგ პროდუქცია იმის გამო "ჩაუწვათ", რომ ერთსაათიანი ელექტრომომარაგება პროდუქციის გადამუშავების პროცედურისთვის აუცილებელ ღუმელს პროცესის დასაწყებად საჭირო ნიშნულამდეც კი ვერ ახურებდა: "ამ ფაბრიკებს დენის ფულიც ტყუილად ეწერებათ, რადგან ღუმელის ნახევრად გახურება დენს წვავს, გადამუშავების პროცედურის დაწყება კი მაინც შეუძლებელია"...

როგორც გაირკვა, ამ საკითხის მოგვარება "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" მოუწევს. რასაკვირველია, იმის გათვალისწინებით, გადაიხდიან თუ არა ჩაის ფაბრიკები საწარმოო პროცესისათვის დახარჯული დენის საფასურს.

## შეიქმნება საგადასახადო კოდექსის კიდევ ერთი ვარიანტი

*დებატები ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის ირგვლივ კვლავ გრძელდება. გუშინ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ (აფბა) კოდექსის საჯარო განხილვას სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა და გამოთქვა ინიციატივა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის ახალი ვარიანტის შექმნის შესახებ.*

დიანა ჩაჩუა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საგადასახადო კოდექსის პროექტის სამუშაო ვარიანტის საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ, უკვე ახალგაზრდა ფინანსისტთა ასოციაცია ცდილობს, "ჯანსაღი" საგადასახადო კოდექსის შექმნაში თავისი წვლილი შეიტანოს.

ასოციაციის წევრები იწონებენ მთავრობის გადაწყვეტილებას, გადაიდგას რეალური ნაბიჯები საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაციისა და გამარტივების მიმართულებებით, მაგრამ, ამის მიუხედავად, აფბა-ს სათათბირო მიიჩნევს და გამოდის კიდეც ინიციატივით, მომზადდეს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის ახალი ვარიანტი. ასოციაციის პრეზიდენტის ტარიელ გიორგაძის განცხადებით, თავის ინიციატივაში ისინი გულისხმობენ არა აბსოლუტურად ახალი კოდექსის შექმნას, არამედ ამჟამად მოქმედ კოდექსში ცვლილებების შეტანას. **"ის, რაც გამოქვეყნდა და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, არანაირ საფუძველს არ იძლევა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ იქმნება თვისებრივად და არსებითად ახალი საგადასახადო კოდექსი,"** - განაცხადა გიორგაძემ.

ასოციაცია მთავრობას მოუწოდებს, შეიქმნას ოფიციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაც ყველასთვის საჯარო იქნება და რომელიც მუშაობის პროცესში მეწარმეების, ექსპერტების, ბიზნესმენთა გაერთიანებებისა და არასამთავრობოთა მოსაზრებებს გაითვალისწინებს.

ამასთან დაკავშირებით, მომავალი კვირიდან ასოციაცია პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას იწყებს - დაიწყება მცირე მეწარმეებთან შეხვედრები, სადაც მიღებულ წინადადებებს ასოციაცია შემდგომში განიხილავს და გაითვალისწინებს. პრესკონფერენციის მსვლელობისას საუბარი შეეხო საგადასახადო კოდექსის ნაკლოვანებებს. კერძოდ, ასოციაციის წევრებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში მთლიანად გაუქმებულია შეღავათები. **"მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოანგარიშების წესი, დამატებითი ღირებულების განაკვეთი უნდა შემცირდეს არა 18, არამედ 15 პროცენტამდე, საშემოსავლო გადასახადი პროგრესული უნდა გახდეს, ხოლო სოციალური - 16 პროცენტამდე შემცირდეს, ახალი კოდექსი მეწარმეთათვის შეღავათიან საგადასახადო განაკვეთს უნდა მოიცავდეს და იგი ბიზნესში კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობი უნდა გახდეს,"** - ასე ჟღერდა პრესკონფერენციაზე გამომსვლელთა ძირითადი მოთხოვნები.

ალსანიშნავია, რომ პრესკონფერენციას ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელიც ესწრებოდა, რომლის განცხადებით, მისი სახით ეკონომიკის სამინისტროც მხარს უჭერს გამოთქმულ მოსაზრებებს და ასოციაციას თანამშრომლობის ხელი გაუწოდა.

**"საგადასახადო კოდექსის ახალმა ვარიანტმა უნდა ასახოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რაც დღეისთვის გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სრულებით არ ჩანს,"** - განაცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა.

### "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**5 ივლისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), ვაჩნაძის, მანჯგალაძის, ჯორჯაძის, გუდიაშვილის, ფურცელაძის, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩების მაცხოვრებლებს

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ახალ ციფრულ ქსელზე გადასვლისთვის "ელექტროკავშირის" აბონენტები 50 ლარს აღარ გადაიხდიან. ეს გადაწყვეტილება საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გუშინდელ სხდომაზე მიღო. როგორც კომისიაში განაცხადეს, "ელექტროკავშირი" რეგიონში ახალ ციფრულ ქსელებზე გადასვლისთვის აბონენტებს 50 ლარს ახდევინებდა, რასაც მოსახლეობა ასაჩივრებდა. ახლა, იმ აბონენტებს, რომლებმაც 50 ლარი უკვე გადაიხადეს, ეს თანხა დეპოზიტზე დაუჯდებათ და სააბონენტო გადასახადში გამოექვითებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო ვალების "პარიზის კლუბში" რესტრუქტურიზაცია ეჭვს აღარ იწვევს. ამის შესახებ სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა იერუნ კრემერსმა განაცხადა. მისი თქმით, "საქართველოს ყველა კრედიტორი მზად არის, ვალის რესტრუქტურიზაციის თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებები გამართოს. შედეგად, საგარეო ვალი მართვადი გახდება და საჭირო იქნება მონიტორინგი, რათა ვალი აღარ გაიზარდოს. ამას ითვალისწინებს სავალუტო ფონდის პროგრამა, რომელიც ერთი თვის წინ აღდგა," - განაცხადა კრემერსმა. "პარიზის კლუბში" მოლაპარაკება 16 ივლისს დაიწყება. რესტრუქტურიზაციას არ დაექვემდებარება თურქმენეთის ვალი, რომელიც 300 მილიონ დოლარს აღემატება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს აჭარის ტურისტული ობიექტების პრივატიზების პროცესი იწყება. ორშაბათს დილით, საქართველოს მთავრობის წევრები, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით, ბათუმში გაემგზავრებიან, სადაც ბათუმის პირველი რიგის საპრივატიზებო ტურისტული ობიექტების პრეზენტაცია შედგება. აქ მოწვეულნი არიან მსხვილი ბანკირები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და ტურისტული ინფრასტრუქტურის წამყვანი კომპანიები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ იმერეთის რეგიონს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ესტუმრა. იგი ქუთაისის მერიის შენობაში რეგიონის საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელებს შეხვდა. ამ შეხვედრის შემდეგ მინისტრმა ფინანსური პოლიციის დასავლეთის სამმართველოში ითათბირა, სადაც კონტრაბანდასთან ბრძოლის შედეგები შეაჯამეს. საღამოს კი ზურაბ ნოღაიდელი იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის სხდომას დაესწრო, სადაც რაიონის გამგებლებთან ერთად ბიუჯეტის საკითხი განიხილებოდა. **ინტერ-პრესი**



# ყინული დაიძრა

## თუმცა უნდობლობა კვლავაც რჩება

გუშინ წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტით აღინიშნა, რომელიც, შესაძლოა, კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული კრიზისის დასასრულის დასაწყისიც აღმოჩნდეს. გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა კორეელ (სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკიდან) კოლეგასთან გამართა შეხვედრა.

ინდონეზიის დედაქალაქში ასეანის მორიგი სამიტი ორგანიზაციის წევრების წარმომადგენელთა და რეგიონის სხვა ქვეყნების შეხვედრად გადაიქცა. შეხვედრის უმთავრესი თემა რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ამოცანების ერთობლივი დასახვაა. გუშინ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს აშშ, რუსეთი და ჩინეთი შეუერთდა.

2002 წელს, კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული კრიზისის დაწყებიდან დღემდე კორეის კომუნისტურ რეჟიმსა და აშშ-ს წარმომადგენლებს შორის კონტაქტები მაქსიმალურად იყო შეზღუდული, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრები გუშინდლამდე ერთმანეთს საერთოდ არ შეხვედრიან. ორი წლის წინ უკანასკნელმა შეხვედრამ, ფინჯან ყავასთან "საუბარში", უფრო მეტად კი ურთიერთბრალდებებში ჩაიარა.

გასულ კვირას პეკინში ექვსმხრივ შეხვედრას, რომელშიც ორივე კორეა, ჩინეთი, რუსეთი, იაპონია და აშშ მონაწილეობდნენ, მნიშვნელოვანი პროგრესი მოჰყვა. ჩრდილოეთ კორეამაც და აშშ-მაც პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტული წინადადებები და მოთხოვნები წამოაყენეს.



*თუ აშშ გადადგამს პირველ ნაბიჯს, ჩრდილოეთ კორეაც აღარ აღიქვამს მას მტრად.*

**"ჩვენ კონკრეტული საქმეები უნდა დავინახოთ,"** - აცხადებდა გუშინ კოლინ პაუელი. ჩანს, ბუშის ადმინისტრაცია ფრთხილად ეკიდება კორეელთა დაპირებებს. აშკარაა, რომ ამერიკელებს კლინტონისდროინდელი მარცხის გამეორების ეშინიათ. შეგახსენებთ, 1994 წელს კლინტონის ადმინისტრაციამ კორეელებთან შეთანხმებას მიაღწია და კომუნისტებისათვის ბირთვული პროგრამის შეჩერების სანაცვლოდ სერიოზული თანხებიც გამოყო, თუმცა რამდენიმე წელიწადში გამოირკვა, რომ ჩრდილოეთ კორეა აღებულ ვალდებულებას არ ასრულებდა, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მათ ამერიკელები მოატყუეს.

ამერიკაში კიმ ჩენ ირის რეჟიმთან გასულ კვირას მიღწეულ შეთანხმებას არაერთგვაროვნად აფასებდნენ. იყვნენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც თეთრ სახლს "ბოროტების ღერძის" წევრთან გარიგებაში ადანაშაულებდნენ და ამბობდნენ, რომ აშშ ბირთვული შანტაჟის მსხვერპლი გახდა. მეორე მხრივ, ლიბერალი პოლიტიკოსები, რომლებიც მანამდე ცალსახად აკრიტიკებდნენ თეთრი სახლის მეტისმეტად ხისტ პოზიციას ფხენიანის მიმართ, დღეს აცხადებენ, რომ აშშ-ს ხელისუფლებამ სწორი ნაბიჯი კი არ გადადგა, იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო. კონსერვატორების აზრით, ბუშმა პრინციპებს უღალატა და გამოსასყიდს უხდის ტოტალიტარულ ჩრდილოეთკორეულ რეჟიმს. გავლენიანი ამერიკული გამოცემა "უოლ სტრიტ ჯორნალი" გასულ კვირას მომხდარის ანალიზისას აღნიშნავდა, რომ მართალია, ბუშმა შესთავაზა გარკვეული სტიმული განიარაღების სანაცვლოდ, მაგრამ ამჯერად კონტროლის მექანიზმი გაცილებით მკაცრი უნდა იყოს, რათა 1994 წლის ავადსახსენებელი გარიგება აღარ განმეორდეს.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოკორეული მხარეც არ იღებს უპირობოდ აშშ-ს შეთავაზებას და ისიც ერიდება პირველი ნაბიჯების გადადგმას. **"თუ აშშ-ს პოზიცია ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული, მაშინ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკაც აღარ განიხილავს აშშ-ს მტრად,"** - ამბობს კორეელი დიპლომატი.

ასე რომ, ორივე მხარე მომლოდინე პოზას ირჩევს და მოწინააღმდეგისაგან ელოდება დათმობებს. სადამდე გაგრძელდება ასე, ძნელი სათქმელია. თუმცა, თუ კრიზისის დაძლევა აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოხერხდა, ჯორჯ ბუშის ხელმეორედ არჩევის ხელშემწყობ ერთ-ერთ პირობადაც გამოდგება.

# ერაყში სიკვდილით დასჯის აღდგენაზე ევროპის ქვეყნების რეაქცია

სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესამდე ერაყში სიკვდილით დასჯის აღდგენის შესახებ ბაღდადის გადაწყვეტილებამ ევროპაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა. საფრანგეთმა და გერმანიამ, ომის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებმა, დაგმეს ბაღდადის გადაწყვეტილება და დროებით მთავრობას სადამ ჰუსეინისთვის სამართლიანი განაჩენის გამოტანისკენ მოუწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი დიქტატორი უმძიმეს დანაშაულებშია ბრალდებული, სიკვდილით დასჯის აღდგენა იმ დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება, რომელთა დანერგვასაც საერთაშორისო თანამეგობრობა ერაყის სუვერენული ხელისუფლებისგან მოელის.

გერმანიის ადამიანის უფლებების სახელმწიფო დამცველის, კლაუდია როთის განცხადებით, "ერაყის დროებითი მთავრობის მოღვაწეობის ასეთი დასაწყისი შეშფოთების მიზეზს ნამდვილად იძლევა". საფრანგეთი სავსებით იზიარებს გერმანიის პოზიციას და ერაყის მთავრობას სასამართლოს საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით ჩატარებისკენ მოუწოდებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ევროკავშირში ახლახან გაწევრიანებული სახელმწიფოები რატომღაც არ აპროტესტებენ ერაყის დროებითი მთავრობის ამ ინიციატივას. ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, "სასჯელის ფორმის არჩევა მხოლოდ ერაყის საქმეა და არა ბალტიის ქვეყნების. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია ერაყის დროებით მთავრობას რაიმეზე მივუთითოთ".

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, "ერაყის სასამართლო დამოუკიდებელია და მის მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა აღსრულდეს, მიუხედავად იმისა, მოეწონებათ ეს სხვა სახელმწიფოებს თუ არა". ვარშავის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების წარმომადგენლის, რომან კუზნიარის შეფასებით, "სადამ ჰუსეინის მიერ ჩადენილი დანაშაულები სასჯელად მხოლოდ სიკვდილით დასჯას იმსახურებს". რაც შეეხება თურქეთს, ევროკავშირში შესვლის ერთ-ერთი პირობა ამგვარი სასჯელის გაუქმება იყო, რაც განხორციელდა კიდეც თურქეთში. თუმცა, ზოგიერთ მუსლიმს დღესაც მიაჩნია, რომ ზოგჯერ დანაშაული ნამდვილად იმსახურებს ასეთ განაჩენს.

## ორი სიტყვით

**თურქეთი.** ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, აგრის პროვინციაში პარასკევს მომხდარი მიწისძვრის შედეგად, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 28 ადამიანი დაიღუპა, ხოლო დაშავებულთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. სტიქიური უბედურების ზონაში ექიმთა და სამოქალაქო სამაშველო კორპუსის ბრიგადები მოქმედებენ. მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზარალა ამ რეგიონის რამდენიმე სოფელი. სტამბოლის ქანდილის ობსერვატორიის შეფასებით, მიწისძვრის სიმძლავრე რიხტერის შკალით 5.1 ბალი იყო. თურქეთში მიწისძვრები ხშირია, რადგან ეს ქვეყანა გეოლოგიურად აქტიურ სეისმურ ზონაშია მოქცეული. **ლე მონდი**


# დამოუკიდებელი აუდიტორების წერილი

## მიმართვა სს თიბისი ბანკის აქციონერებისა და დირექტორთა საბჭოს მიმართ

ჩვენს მიერ აუდიტირებული იყო სს თიბისი ბანკის (ბანკის) თანდართული ბალანსი 2003 და 2002 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის, ფულადი ნაკადის და აქციონერთა კაპიტალში ცვლილების უწყისები. ამ ფინანსური უწყისების მომზადება ბანკის მენეჯმენტის ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო ჩვენი მოვალეობაა, ჩვენი თვალსაზრისი წარმოვადგინოთ ამ უწყისებთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე.

წინამდებარე აუდიტი ჩვენს მიერ ჩატარებული იყო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. ეს სტანდარტები მოითხოვს, იმგვარად დავგეგმოთ და განვახორციელოთ აუდიტი, რომ მივიღოთ საფუძვლიანი გარანტია იმისა, რომ ფინანსურ უწყისებში მოცემული ინფორმაცია არ არის მნიშვნელოვნად დამახინჯებული. აუდიტი მოიცავს ფინანსურ უწყისებში მოცემული თანხებისა და სხვა ინფორმაციის დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებას. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპების, მენეჯმენტის მიერ ჩატარებული გამოთვლებისა და, ზოგადად, ფინანსური უწყისების პრეზენტაციის შეფასებას. გვწამს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი საკმარის საფუძველს წარმოადგენს ჩვენი აზრის გამოსატანად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური უწყისები რეალურად წარმოადგენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2003 და 2002 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასრულებული წლის ოპერაციების შედეგები და ფულადი ნაკადები სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტებთან.

Ernst & Young Audit LLC

*2004 წლის 22 თებერვალი*

ERNST & YOUNG

სს "თიბისი" ბანკი — ფინანსური უწყისები

**ფულადი სახსრების ნაკადის უწყისი**

**2003 და 2002 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*(თანხები გამოსახულია ათას ლარში)*

| | 31 დეკემბერი | |
|---|---|---|
| | *2003* | *2002* |
| **საპროცენტო შემოსავალი** | | |
| სესხებიდან | 27,032 | 20,303 |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან | 2,335 | 1,616 |
| ფასიანი ქაღალდებიდან | 3,975 | 1,785 |
| | **33,342** | **23,704** |
| **საპროცენტო ხარჯები** | | |
| ანაბრებზე | 9,422 | 5,640 |
| ნასესხებ სახსრებზე | 1,553 | 1,584 |
| | **10,975** | **7,224** |
| | | |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **22,367** | **16,480** |
| ხარჯი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვზე | 3,959 | 2,282 |
| | **18,408** | **14,198** |
| | | |
| საკომისიო შემოსავალი | 10,065 | 7,274 |
| საკომისიო ხარჯი | 1,450 | 1,036 |
| **წმინდა საკომისიო შემოსავალი** | **8,615** | **6,238** |
| | | |
| წმინდა მოგება / ზარალი სარეალიზაციოდ განკუთვნილ ფასიან ქაღალდებზე | - | 917 |
| წმინდა მოგება / ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან | | |
| - სავაჭრო ოპერაციებიდან | 2,792 | 2,111 |
| - საკურსო სხვაობებიდან | (900) | (177) |
| [illegible] შემოსავალი / ზარალი | (303) | (275) |
| დივიდენდების სახით მიღებული შემოსავალი | 244 | 201 |
| სხვა შემოსავალი | 768 | 1,377 |
| **არა საპროცენტო შემოსავალი** | **2,601** | **4,154** |
| | | |
| ხელფასები და პერსონალის სხვა ხარჯები | 7,817 | 6,431 |
| სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები | 5,992 | 4,686 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 1,325 | 935 |
| ხარჯი სხვა რეზერვების შექმნაზე | 113 | (272) |
| **არა საპროცენტო ხარჯები** | **15,247** | **11,780** |
| | | |
| **მოგება დაბეგვრამდე** | 14,377 | 12,810 |
| | | |
| მოგების გადასახადი | 886 | 2,306 |
| **წმინდა მოგება** | **13,491** | **10,504** |

სს "თიბისი" ბანკი — ფინანსური უწყისები

**ბალანსი**

(თანხები გამოსახულია ათას ლარებში)

| | 31 დეკემბერი | |
|---|---|---|
| | *2003* | *2002* |
| **აქტივები** | | |
| ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები | 58,181 | 44,677 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 33,180 | 24,859 |
| [illegible] ფასიანი ქაღალდები: | | |
| - [illegible] | 2,922 | 2,922 |
| - [illegible] | 6,852 | 3,643 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა | 146,450 | 101,166 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები | 635 | 33 |
| [illegible] | 987 | 695 |
| ძირითადი საშუალებები | **10,588** | 8,408 |
| არამატერიალური აქტივები | **169** | 344 |
| სხვა აქტივები | 1,550 | 1,321 |
| **სულ აქტივები** | **261,574** | **188,068** |
| | | |
| **ვალდებულებები** | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 19,372 | 20,620 |
| ვალდებულებები მეანაბრეების მიმართ | 192,080 | 133,524 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 691 | 788 |
| რეზერვები | 556 | 525 |
| სხვა ვალდებულებები | 3,236 | 2,265 |
| **სულ ვალდებულებები** | **215,935** | **157,722** |
| | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | |
| საწესდებო კაპიტალი | 5,385 | 5,000 |
| [illegible] | 4,715 | 2,298 |
| გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები | 35,539 | 23,048 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **45,639** | **30,346** |
| | | |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | **261,574** | **188,068** |
| | | |
| **ფორმალური და პირობითი ფინანსური ვალდებულებები** | **22,890** | **8,894** |



# ზღაპარი პატარა ლიახვის ხეობაში

*გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ცხინვალის რეგიონის კიდევ ორ სკოლაში ჩაიტანა 10 000 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა, სახელმძღვანელოები, სასკოლო თვალსაჩინოებები და სასკოლო საკანცელარიო საქონელი. პირველი სექტემბრისთვის რეგიონის ყველა ქართული სკოლა მომარაგდება იგივე ინვენტარით. ქართულ და ოსურ სკოლებში კი კომპიუტერული კლასები მოეწყობა და ადგილობრივი კადრებიც მომზადდება.*

დალი კუპრავა

გუშინ განათლების სამინისტროს დელეგაცია, "ზღაპრის თეატრთან" ერთად, ქსუისისა და დისევის სკოლებს ესტუმრა, საპირველსექტემბრო ნობათი ჩაუტანა და მოსწავლეებთან ერთად მოილხინა.

ქსუისის ქართული საშუალო სკოლა არატიპური ნაგებობაა - ერთსართულიანი მყუდრო შენობა შვეიცარიელებს აუშენებიათ. საკლასო ოთახები ნათელია და სკოლის 84 მოსწავლეს სრულ კომფორტს უქმნის. ქსუისელები სამომავლოდ "ნამდვილი" სკოლის აშენებას აპირებენ. განათლების მინისტრის გუშინდელმა ვიზიტმა კი კარგი მომავალი უფრო დაუახლოვათ : **"მაინც არ მეგონა, რომ მთავრობას გავახსენდებოდით; ჩვენს სკოლაში კომპიუტერებს ხომ ვერც წარმოვიდგენდი"; "ორი სოფლის იქით უნდა მეტარებინა შვილები კომპიუტერის სასწავლად, თან 25 ლარიც გადამეხადა",** - ამბობდნენ უფროსი სოფლელები და, ვიდრე მათი შვილები ზღაპრის თეატრის მსახიობებთან ერთად დროს ატარებდნენ, მინისტრს თავის სატკივარზე ესაუბრებოდნენ.

კონფლიქტური ზონა ჰქვია, მაგრამ ქართველებისა და ოსების დაპირისპირებაზე მომჩივანი ვერავინ ვნახე. "უფრო ისეთ სოფლებშია პრობლემა, რომელზეც კოკოითის მთავრობას ხელი მიუწვდება. ისინი ამბობენ, თავი დაგვანებეთ, რუსეთთან გვირჩევნიაო, და ჩვენ გზასაც ვულოცავთ რუსეთისკენ. წავიდნენ, თუ საქართველოში არ უნდათ", - ამბობს ადგილობრივი მცხოვრები და ორჭოფობს - იქნებ ამდენი სიკეთე არც უნდა ვაჩვენოთ, მაინც ვერ ხედავენო.

ქსუისში, ისევე როგორც დისევში, ოსი რძლების სიუხვეა და, დედის ეროვნება რა საკითხავია, როცა მშვიდობის ფასი დედაზე უკეთ არავინ იცის. ჩაქვის სანაპიროზე ქსუისელი მოსწავლეებიც არიან და სამი ქსუისელი საუკეთესო აკადემიური მოსწრების მოსწავლე 10 ივლისს, სხვებთან ერთად, დაჯილდოვდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ასლარიანი გრანტით.



დალი კუპრავას ფოტო

*"ზღაპრის თეატრის" ინტერაქტიულ სპექტაკლში ლომაიაც მონაწილეობდა.*

ასევე, რეგიონის ორმოცდაათ საუკეთესოსთან ერთად, სამი დისეველი ხუთოსანი გოგონა შემდეგ შაბათს საზეიმო ვითარებაში მიიღებს ასლარიან გრანტს. დისევში ჩატანილი კომპიუტერების პრემიერა მინისტრის ხელში შედგა - სამინისტროს თანამშრომლებმა ინსტალირების შემდეგ გენერატორის დენზე კომპიუტერები აამუშავეს. რაც შეეხება დენს, ვერ არის საქმე კარგად. **"როცა ცხინვალს მოესურვება, მაშინ გვაძლევს - უფრო საღამოს რვიდან ათ საათამდე,"** - ამბობს სკოლის თანამშრომელი. ცოტაც მოითმინეთ და კოკოითის მოსაცემი არაფერი გექნებათო, - დააიმედა ერთ-ერთმა სტუმართაგანმა. ქსუისშიც და დისევშიც მოსახლეობა მზად არის, რომ ფული შეკრიბოს და სკოლისთვის გენერატორი იყიდოს: **"ყველაფერს მთავრობას ხომ არ ვთხოვთ, ჩვენც ხომ უნდა გავინძრეთ, ჩვენი შვილებისთვის."**

გუშინ სკოლებში სამი ჯგუფი მუშაობდა: კომპიუტერების, სახელმძღვანელოების და მხატვრული - ინტერაქტიური "ზღაპრის თეატრის" მსახიობები, რომლებმაც მესამე მუსიკალური სპექტაკლი ავტობუსში უკანა გზაზე მინისტრთან ერთად ითამაშეს.

დისევის სკოლაში ამას კიდევ ერთი საქმიანი ჯგუფი დაემატა. შიდა ქართლის პედაგოგთა ასოციაციის - "განათლება ოცდამეერთეს" - დახმარებით, ჩატარდა ინტერაქტიური გაკვეთილი. ასოციაციის ხელმძღვანელებმა ნანა ნაბულიშვილმა და მარინა გიგაშვილმა სამუშაო ჯგუფებად დაყოფილ უფროსკლასელებს დავალება მისცეს: აესახათ ოსურ-ქართული კონფლიქტი გუშინ, დღეს და ხვალ. ხუთივე ჯგუფის ნამუშევარი ორიგინალურად გადაწყვეტილი, მშვიდობის სურვილით და ოპტიმიზმით სავსე იყო. ამას გარდა, უფროსკლასელებმა მინისტრს წერილობითი შეკითხვები გამოატანეს. პასუხებს ამ შეკითხვებზე დისეველი მოსწავლეები სამომავლოდ გაზეთ "24 საათიდან" შეიტყობენ.

პირველ სექტემბრამდე კი ქართველი და ოსი ბავშვები აჭარის კურორტებზე დაისვენებენ; მშობელთა მზრუნველობას მოკლებული 20 ქართველი და ოსი ახალგაზრდა შეირჩევა, უმაღლეს სასწავლებლებში შეღავათებით ჩაირიცხება და 50 ლარის ოდენობით სტიპენდია დაენიშნება; კონფლიქტის დაწყებამდე "დამსახურებული მასწავლებლის" ტიტულის მქონე ქართველ და ოს მასწავლებლებს წარადგენენ პრეზიდენტის მიერ დაწესებულ ათასლარიან ჯილდოზე; საზღვარგარეთ სასწავლებლად და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად ცხინვალის რეგიონისთვის ადგილები გამოიყოფა... და ამას ყველაფერს საქართველოს მთავრობა დააფინანსებს.

"შეუშვებს" თუ არა კოკოითი ცხინვალში განათლების სამინისტროს დელეგაციას, ეს ცხინვალის რეგიონში კომპლექსურ საგანმანათლებლო გეგმას ვერ შეცვლის და რაც დაგეგმილია, შესრულდება.

P.S. "როგორც წაგართვეს, ისევე დაიბრუნეთ, უჩემოდ", - გუბერნატორის მიშა ქარელის სატელეფონო საუბრიდან (მინდორში მოსმენილი). არ ვიცი, ვის ესაუბრებოდა, ვის რა წაართვეს, მაგრამ მართალია გუბერნატორი - წართმეულის დაბრუნება წესია.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პროფკავშირები საკუთარი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემას არ აპირებენ. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის ირაკლი ტუღუშის განცხადებით, პარლამენტარი ნოდარ გრიგალაშვილი უკვე მეორეჯერ იყენებს საპარლამენტო ტრიბუნას და პროფკავშირების ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემას მოითხოვს. რადგან პროფკავშირებს ასეთი მაღალი ტრიბუნა არ აქვს, ირაკლი ტუღუში ორგანიზაციის უფლებების დაცვას იურიდიული სამსახურის დახმარებით შეეცდება, რომელთან ერთად იგი ამჟამად "შესაბამისი დაცვის მექანიზმებზე" მუშაობს. პროფკავშირების თავმჯდომარის თქმით, გრიგალაშვილს ინტერესები ბორჯომში აქვს და მას, რატომღაც, ჰგონია, რომ ბორჯომში პროფკავშირებიც მისი ზეგავლენის ქვეშ უნდა მოექცეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, ჩიტაიას ქუჩაზე აფხაზეთის სოფელ ტამიშთან დაღუპულთა სახელობის სკვერი გაიხსნა. ზუსტად 11 წლის წინათ ქართული სამხედრო ნაწილები ტამიშთან რუსეთის დესანტს დაუპირისპირდნენ. ორდღიანი ბრძოლის შედეგად ქართველმა სამხედროებმა რუსული, აფხაზური და ჩეჩნური შენაერთების მოგერიება შეძლეს. ბრძოლებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ტამიშის ბრძოლაში ყველაზე მეტი - 67 მებრძოლი შავნაბადას ბატალიონმა დაკარგა. **მედია-ნიუსი**

## "კმარა" ისევ გამოჩნდა

*გუშინ, 2 ივლისს, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოძრაობა "კმარა" კვლავ გამოჩნდა. ამჯერად მისი აქტივისტები თბილისის მერიის წინ გამართული აქციის მონაწილეთა მხარდასაჭერად მივიდნენ. აქციას მართავდნენ "თბილტრანსის" მძღოლები, მიწისძვრით დაზარალებულები და კოოპერატიული ბინათმშენებლობის მონაწილენი, რომლებიც ქალაქის მთავრობისგან ფინანსურ დახმარებას ელიან და რომელთა ნაწილი წინა დღეს გამართული აქციისას დაარბიეს.*

ნანა ყაველაშვილი

ვიდრე მერიის შენობაში ქალაქის ბიუჯეტს იღებდნენ, "კმარას" რამდენიმე აქტივისტი მერიის ცენტრალურ შესასვლელთან "გამაგრდა". **"არავის შევუშვებთ, შესასვლელს დავბლოკავთ. თუ მაგრები არიან, უბრალო ხალხს რომ არბევენ, მოვიდნენ და ჩვენ დაგვარბიონ",** - ამბობდნენ ისინი. "კმარელებს" ხმამაღალი შელაპარაკება მოუხდათ იქვე მდგარ პოლიციელებთან, რომლებიც მათგან შესასვლელის გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

**"აღშფოთებული ვარ გუშინ მომხდარით. ასეთ რამეს შევარდნაძის დროსაც ერიდებოდნენ,"** - აცხადებს მოძრაობა "კმარას" ერთ-ერთი ლიდერი თეა თუთბერიძე, - **"ხელისუფლებისა და პროკურატურისგან მოვითხოვთ, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე იმ პირთა მიმართ, ვინც აქციის დარბევის შესახებ განკარგულება გასცა. მღებრიშვილი თვითნებურად ვერ იმოქმედებდა. ვინც ბრძანება გასცა, იმედია, მიხვდა საკუთარ შეცდომას. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაა, მკაცრად დაისაჯონ ის პირები".**

იმ შემთხვევაში, თუკი "კმარელების" მოთხოვნა არ შესრულდა, როგორც თეა თუთბერიძე აცხადებს, ორგანიზაცია იგივეს გააკეთებს, რასაც აქამდე აკეთებდა: **"ჩვენ ამ ხელისუფლების მხარდასაჭერად, კონკრეტული შედეგებისთვის ვიბრძოდით. სამწუხაროდ, ამ შედეგებს ჯერ ვერ ვხედავ. დღეს პრეზიდენტის გვერდით უამრავი ადამიანია, ვინც ვერ ან არ ასრულებს თავის მოვალეობას. დღემდე ვერ ვნახე, ვინმეს პასუხი ეგოს ჩვენი დარბევებისთვის. სადაც კი ძალადობას წავაწყდებით, ყველგან მივალთ და ჩავერევით. "კმარა" არ დაშლილა - მხოლოდ რამდენიმე აქტივისტი წავიდა სხვა სტრუქტურებში სამუშაოდ".**





## აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობისთვის მიეცით რჩევა საქართველოს მთავრობას

მოკლე მიმოხილვა

MCC (ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამა) არის აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატარონ ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები. ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნისაგან შეარჩია საქართველო სხვა 15 ქვეყანასთან ერთად. აღნიშნული შერჩევის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს გრანტის დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროგრამა და მომზადებული ხელშეკრულება დააკმაყოფილებენ MCC-ს პირობებს.

ამ დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროექტების და იდეების მოძიება და რეგისტრაცია, რომლებიც შევლენ საქართველოს Millenium Challenge (ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტის მიერ MMC-თვის წარსადგენ საბოლოო საპროექტო წინადადებაში. აღნიშნული კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის ლიდერები, პარლამანტარები და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს Millenium Challenge(ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიმართოს დაინტერესებულ მოქალაქეებს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, წარადგინონ ისეთი საპროექტო წანადადებები და რჩევები, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს. წარდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი არ შემოიფარგლება კონკრეტული სფეროთი ან დარგით.

საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი განიხილავს წარდგენილ რჩევებს და წინადადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გრძელვადიანი და გაზომვადი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე;
- პროექტი ხასიათდება მრავალმხრივი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტით (გავლენას ახდენს ეკონომიკის რამდენიმე სფეროს ზრდაზე ან ზრდის ხელმშემწყობ ფაქტორებზე);
- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება? (პასუხში მიუთითეთ, თუ როგორ გავლენას მოახდენს წარდგენილი პროექტი ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბის დაძლევაზე);
- მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება კონკრეტული რეგიონის განვითარებაზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, თუ როგორ გავლენას მოელით.
- პროექტის განხორციელების გარდა, რა დამატებითი ხელშემწყობი ინიციატივებია საჭირო, რომ პროექტის შედეგმა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა?
- აღწერეთ პროექტის დამოკიდებულება სხვა პროექტებთან ან ინიციატივებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება ან ეფექტი დამოკიდებულია სხვა პროექტების განხორციელებაზე, მიუთითეთ ეს პროექტები და მათი თანმიმდევრობა.

წარმატების შემთხვევაში სახელმწიფო გეგმავს თანხების ინვესტირებას ეკონომიკური განვითარებისთვის შემდეგ სფეროებში:

- სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაცია;
- საინვესტიციო ფონდების შექმნა რეგიონებში;
- ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, წყალი, სხვა);
- ენერგეტიკა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რჩევა, თუ რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ამ სფეროებში ფულის ინვესტირება ან შემოგვთავაზოთ თქვენი კონკრეტული იდეა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისაკენ.

გთხოვთ, მოგვაწოდეთ მოკლე დემოგრაფიული ინფორმაცია თქვენს შესახებ:

საცხოვრებელი რეგიონი ____________

რომელ სექტორს მიეკუთვნებით?
--- კერძო
--- სამთავრობო
--- არც ერთი

საქმიანობის სფერო (გთხოვთ მიუთითოდ ორგანიზაციის სახელწოდება):
____________
____________

სახელი გვარი ________ ________

ასაკი ________

(შესაძლოა ანონიმური პასუხები და რჩევები)

საპროექტო წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით:

**ვებ-გვერდი:** www.mcg.ge

**მისამართი:** ჯი-ემ-თი პლაზა, თავისუფლების მოედანი, 4.
გთხოვთ, მოათავსოთ თქვენი მოსაზრებანი შესაბამის ყუთში, რომელიც განლაგებულია შენობის პირველ სართულზე.

**ტელ:** (995 32) 92 38 69

**ფაქსი:** (995 32) 92 14 80

**ელ.ფოსტა**: info@mcg.ge

პროექტების და რჩევების წარდგენის საბოლოო ვადაა 10/07/04 17:00

# ახალი უფროსი სპეცოპერაციებით კმაყოფილია

ხათუნა ჯანგირაშვილი

*"თემურ მღებრიშვილმა კანონის მოთხოვნა შეასრულა. აქციის მონაწილეთა დარბევის ბრძანება მას კანონმა მისცა," - ასეთი მოკლე კომენტარით უპასუხა საკუთარ უწყებაში გამართულ ბრიფინგზე თბილისის პოლიციის სამმართველოს ახალმა უფროსმა ირაკლი კლდიაშვილმა ყველას, ვინც კი გუშინწინ მერიის შენობასთან აქციის მონაწილეთა სასტიკად დარბევის ფაქტი გააკრიტიკა და დარბევაში მონაწილეთა დასჯა მოითხოვა. თუმცა, პოლიციის ახალი შეფის გუშინდელი საგანგებო ბრიფინგის თემა არც დარბევის ფაქტი ყოფილა და არც ქალაქში ბოლო დროს კიდევ უფრო გართულებული კრიმინოგენული ვითარების მიმოხილვა. ირაკლი კლდიაშვილი გუშინ მხოლოდ ერთმანეთის მიყოლებით, გუშინწინ ღამით თბილისის ორ უბანში ჩატარებული სპეცოპერაციების შეფასებით შემოიფარგლა.*

**"იმედი მაქვს, თბილისელები მცირედით მაინც იგრძნობენ შვებას, რადგან სერიოზული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები, რომელთა მოქმედების არეალი ფართო იყო და რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში ძარცვავდნენ და აყაჩაღებდნენ ხალხს, უკვე სამართალდამცველების ხელში არიან. მათ კანონი საკადრის პასუხს გასცემს,"** - აცხადებს ირაკლი კლდიაშვილი, გუშინწინ ჩატარებულ ორ ფართომასშტაბიან სპეცოპერაციას წარმატებულს უწოდებს და თბილისელებს ყაჩაღებისგან, ქურდებისგან და მძარცველებისგან დაცვას ჰპირდება.

პირველი სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც, როგორც კლდიაშვილი აცხადებს, ავტოგამტაცებელთა ერთ-ერთი სერიოზული ჯგუფის წევრები დააკავეს, საბურთალოს ბაზართან ახლოს ჩატარდა. დაკავებულები არიან მირიან და ბესარიონ წიკლაურები, გიორგი კალანდაძე, ვაჟა მოწონელიძე და კობა გიგოლაძე. სამართალდამცველთა თქმით, დაკავებისას მათ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა გაქცევა ვერ მოახერხეს. პოლიციისვე მტკიცებით, თითოეულ დაკავებულს ჯიბეში დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება - ჰეროინი - აღმოაჩნდა.



ბინის ქურდები, ავტომანქანის გამტაცებლები, ყაჩაღები, მძარცველები პოლიციაში მოიყრიან თავს.

იური ლობოდინის ფოტო

**"სპეცოპერაციის შემდეგ, ერთ-ერთი დაკავებულის ავტოფარეხში ჩატარებული ჩხრეკისას, რამდენიმე დღის წინ, ნუცუბიძის ქუჩიდან გატაცებული ავტომანქანა ვიპოვეთ, რომელიც გამტაცებლებს უკვე გაყიდული ჰქონიათ 2400 დოლარად. ავტომანქანა პატრონს უკვე დაუბრუნდა. ეს გახლავთ კლასიკური მაგალითი იმ შემთხვევისა, როდესაც დაზარალებულს დაკარგულ მანქანას პოლიცია უბრუნებს და მას ავტომანქანის გამოსასყიდად დამნაშავეთა სამყაროსთან დაკავშირება არ უწევს,"** - აცხადებს ირაკლი კლდიაშვილი. მისივე განმარტებით, დაკავებულები რამდენიმე ათეული ავტომანქანის გატაცებაში არიან ეჭვმიტანილები.

მეორე სპეცოპერაცია, რომელშიც სპეცრაზმიც იღებდა მონაწილეობას, ისანი-სამგორის რაიონში გამთენიისას ჩატარდა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის თქმით, სპეცრაზმის ჩართვის აუცილებლობა იმ ოპერატიულმა ინფორმაციამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც, დამნაშავეები შეიარაღებულები იყვნენ. როგორც ირაკლი კლდიაშვილი ამბობს, სამართალდამცველებს ეჭვმიტანილთა დაკავებისას დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ, თუმცა, **"სპეცოპერაცია იმდენად პროფესიულ დონეზე შესრულდა, რომ არც ერთი მხრიდან არავინ დაშავებულა. დაკავებულია სხვადასხვა სახის დანაშაულებში ეჭვმიტანილი 12 პირი. მათ შორის არიან ყველასთვის კარგად ნაცნობი მძარცველები და ყაჩაღები,"** - აცხადებს კლდიაშვილი.

"ყარამანა", "ბუჭურა", "როკო" - ეს იმ ცნობილი ყაჩაღების და ბინის ქურდების მეტსახელებია, რომლებიც გუშინ პოლიციის შეფმა დაასახელა. როგორც ირაკლი კლდიაშვილი ამბობს, თითოეული მათგანი მრავალჯერ ნასამართლევია სხვადასხვა დანაშაულისთვის, მათ შორის, ისეთი მძიმე დანაშაულისთვისაც, როგორიც მკვლელობა გახლავთ. .

**"ყველა მათგანის სატელეფონო მოსმენა მიმდინარეობდა. დადგენილია ყველა იმ პირის ვინაობა, ვისაც ისინი დანაშაულებრივად უკავშირდებოდნენ. ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ. ბინის ქურდები, ავტომანქანის გამტაცებლები, ყაჩაღები, მძარცველები პოლიციაში მოიყრიან თავს,"** - აცხადებს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

# ყოფილი მაღალჩინოსნები პატიმრობიდან გაათავისუფლეს

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ 100 ათასი ლარის საფასურად საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან კალანდაძე წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა. გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ცნობით, კალანდაძემ 100 ათასი ლარი გენერალური პროკურატურის დეპოზიტზე შეიტანა. გამართლების შემთხვევაში, კალანდაძეს სახელმწიფომ გადახდილი თანხა უნდა დაუბრუნოს. ლევან კალანდაძე წლეულს 19 მარტს, საბაჟო დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან, ლევან ქისტაურთან და საგადასახადო დეპარტამენტის აქციზური მარკების სამსახურის უფროსის მოადგილესთან, გიორგი ბეროზაშვილთან ერთად დააკავეს. პროკურატურა მათ აქციზურ მარკებთან დაკავშირებულ მაქინაციებში ადანაშაულებს. 2002-2003 წლებში, იმ პერიოდში, როდესაც ქისტაური აქციზური მარკების სამსახურის ხელმძღვანელი იყო და კალანდაძე და ბეროზაშვილი მასთან მუშაობდნენ, შპს "იმედი" აქციზურ მარკებს უკანონოდ ბეჭდავდა. გამოძიების მონაცემებით, ამ მაქინაციების გამო სახელმწიფომ 900 ათასი ლარი იზარალა.

ქისტაურის, ბეროზაშვილისა და კალანდაძის საქმეზე პროკურატურას ბრალდებულად ჰყავს ცნობილი საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი და შპს "იმედის" დირექტორი ზაურ კეჟერაშვილი. ზაუტაშვილი თვენახევრის წინათ, 600 ათასი ლარის გადახდის შემდეგ, პატიმრობიდან გათავისუფლდა. ლევან ქისტაური თანხის გადახდაზე უარს აცხადებს და თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს.

ვაკე-საბურთალოს სასამართლომ პატიმრობიდან თავდებით გაათავისუფლა კომპანია "თელასის" სადისპეტჩეროს ყოფილი უფროსი ბორის კოჟორიძე. სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეცვლის მოთხოვნით სასამართლოს კოჟორიძის ადვოკატმა ზინაიდა კიკნაძემ მიმართა, სასამართლომ კი ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსის კახა მაისურაძის განცხადებით, ბორის კოჟორიძემ სადავო თანხის ნაწილი უკვე გადაიხადა.

საქართველოს უშიშროების სამინისტრომ ბორის კოჟორიძე მიმდინარე წლის 5 თებერვალს დააკავა. მას საბაჟო წესების დარღვევას და 50 ათასი ლარის მითვისებას ედავებიან. როგორც უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, ბორის კოჟორიძემ შპს "დისპეტჩერიზაცია-2000"-ის გენერალური დირექტორის პოსტზე ყოფნის პერიოდში, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ელექტროენერგიის ექსპორტისა და იმპორტის განხორციელებისას გარკვეული ფინანსური მაქინაციები ჩაიდინა, რის შედეგად სახელმწიფოს სერიოზული ფინანსური ზარალი მიადგა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. სარდლის ბრძანებით, შინაგანი ჯარების შტაბის უფროსად ბრიგადის გენერალი ვლადიმერ იმნაძე დაინიშნა, რომელმაც ამ თანამდებობაზე ტარიელ წიკლაური შეცვალა, თავად წიკლაური კი პენსიაზე გავიდა.

გენერალი იმნაძე შინაგან ჯარებში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბიდან გადავიდა, სადაც შტაბის უფროსის მოადგილედ მსახურობდა. ვლადიმერ იმნაძეს მიღებული აქვს მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში. დაჯილდოებულია მედლებით და ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებმა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოდან პატიმარ გოჩა ჭელიძის გაქცევის მცდელობა აღკვეთეს. ინციდენტისას დაიჭრა ბადრაგის თანამშრომელი მურადაშვილი. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, ხაშურის საკრებულოს წევრის ჯემალ ენჯიბაძის მკვლელობის, ხულიგნობის, იარაღის უკანონო ტარებისა და სხვისი ნივთის განადგურებისათვის მსჯავრდებულ გოჩა ჭელიძეს რაიონული სასამართლო ამჯერად საპყრობილის თანამშრომელთა დაუმორჩილებლობის ბრალდებით ასამართლებს. ჭელიძემ საპატიმროდან გაქცევა შარშან მაისშიც სცადა. გუშინ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ჭელიძემ ბადრაგის თანამშრომლებს საპირფარეშოში გაყვანა სთხოვა. იქიდან გამოსვლისთანავე იგი გაქცევას შეეცადა. სწორედ ამ დროს "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან გასროლით დაჭრა ბადრაგი მურადაშვილი. საბადრაგო სამსახურის მეორე თანამშრომელმა მისი განიარაღება მოახერხა და ხელბორკილები დაადო. ჭელიძე N7 საპყრობილეში გადაიყვანეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსური პოლიციის, სენაკის პოლიციის და სენაკის ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლებმა ზუგდიდი-სენაკი-თბილისის საავტომობილო გზაზე ერთობლივი რეიდი ჩაატარეს, რათა გამოევლინათ ის აღურიცხავი და უკანონო ტვირთები, რაც შემოდის როგორც აფხაზეთიდან, ასევე სხვა ტერიტორიებიდან და, ძირითადად, ბათუმისა და ფოთის პორტების მიმართულებით გადაადგილდება. რეიდის განმავლობაში აღმოჩენილია 300 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, რომელიც გარდაბნიდან ბათუმის პორტში გადაჰქონდათ. აღმოჩენილია 70 ტონა პურის ფქვილი, რომლის ზედნადები გაფორმებული იყო შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე და, ფაქტობრივად, არ არსებობს ის პიროვნება, რომელმაც ეს პურის ფქვილი შეისყიდა. აღმოჩენილია დაახლოებით 10 ტონამდე ჯართი, რომელიც აფხაზეთიდან იყო შემოტანილი და ფოთის პორტის მიმართულებით მიდიოდა, რათა შემდეგ მისი ტრანსპორტირება თურქეთის მიმართულებით მომხდარიყო.

ყველა ავტომანქანა მეპატრონეებს ჩამოართვეს და სამტრედიის ტერმინალში გადაიყვანეს. **ინტერ-პრესი**

# მანგანუმის უკანონო მოპოვების მცდელობაში შევარდნაძის ბუნდის წევრებს ადანაშაულებენ

ბექა სისაური
*ქუთაისი*

პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების რეჟიმის შედეგებს ქვეყანა ახლა იმკის. შევარდნაძის ახლობლებზე უკანონოდ გასხვისებული ტერიტორიიდან ძვირფასი წიაღისეულის - მანგანუმის მოპოვება ამჟამადაც უკანონოდ მიმდინარეობს.

ჭიათურაში კერძო ფირმების მიერ მანგანუმის მოპოვება ახალი დაპირისპირებებისა და სამართალდამცველების მხრიდან დაინტერესების საფუძველი ხდება. საუბარია ჭიათურის რაიონის სოფელ რგანის ტერიტორიაზე "გორა-ტყის" ქვეშ არსებულ მანგანუმის მარაგზე. სპეციალისტთა განმარტებით, აღნიშნული მარაგი უნიკალურია, იგი ზედაპირზეა გამოსული და იმდენად მაღალი ხარისხისაა, რომ დამატებითი გამდიდრება აღარ სჭირდება. სწორედ ამის გამო, წლების განმავლობაში აღნიშნული მადნის მოპოვება რამდენჯერმე სცადეს, თუმცა უშედეგოდ. მომპოვებელ ფირმებს ადგილობრივი მოსახლეობა უპირისპირდებოდა. ახლახან კი "გორა-ტყის" ტერიტორიაზე, მადნის მოპოვების მიზნით, თითქმის ასწლოვანი წაბლის ჯიშების მოჭრა დაიწყო.

პრეზიდენტის რწმუნებული დათო მუმლაძე ჭიათურაში ხე-ტყის უკანონო გაჩეხვასა და მანგანუმის უკანონო მოპოვების მცდელობაში "ფეროს" სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს დავით შალიკაშვილს, ყოფილ სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძესა და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს გოჩა ხუროძეს ადანაშაულებს.

სოფელ რგანში მდებარე "გორა-ტყის" განსაკუთრებული დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადგილი ასწლოვანი, უნიკალური ჯიშის წაბლის ხეებითაა დაფარული, ხოლო წიაღში კი მაღალი შემცველობის მანგანუმის მოპოვება განსაკუთრებული დანახარჯების გარეშეა შესაძლებელი. გუბერნატორის განცხადებით, რამდენიმე წლის წინ ეს ადგილი პრეზიდენტმა შევარდნაძემ საკუთარ ახლობლებზე უკანონოდ გაასხვისა და ამჟამად ისინი "გორა-ტყის" მდიდარი რესურსის მოპოვებას უკანონოდ ახორციელებენ. **"რამდენიმე წლის წინ, აღნიშნული მიწა სრულიად დახურულად, შევარდნაძის რეჟიმისათვის დამახასიათებელი მეთოდით, იჯარით გაიცა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მეპატრონეები ტყეს არ შეხებიან, მაგრამ ახლა "ჭიათურმანგანუმს" გაუჩნდა შანსი, რომ მომგებიანი საწარმო გახდეს და მაღალი ფასის კონტრაქტების გაფორმება დაიწყოს. ამიტომ, აღნიშნულმა პირებმა მიწის გამოყენება დაიწყეს. მათ ადგილობრივ მოსახლეობას გასაჩუმებლად ფული დაურიგეს, თითო ოჯახს 500 ლარის ოდენობით, რათა წაბლის მოჭრაზე არაფერი თქვან. რამდენიმე დღის წინ კი, სრულიად მოულოდნელად, ასეული ძირი წაბლის ხე გაჩეხეს. შემდეგ წვიმებმა მოუსწრო და მასალის ტყიდან გამოტანა ვერ მოასწრეს. მოჭრილი წაბლები დღესაც დაუმუშავებელია და უპატრონოდ არის დაყრილი. აღსანიშნავია, რომ ყველაფერი ეს იმ დროს ხდება, როდესაც მათ ხუთწლიან ლიცენზიას ვადა გაუვიდა და ამ მიწით სარგებლობის არც კანონიერი და არც უკანონო უფლება აქვთ,"** - აცხადებს მუმლაძე. მისივე განმარტებით, ხეების გაჩეხვაც კანონდარღვევით მოხდა, რის შედეგადაც ფირმა "რგანის" წარმომადგენლებს შეეძლოთ, უიაფესი მანგანუმი კანონდარღვევით მოეპოვებინათ. **"სახეზეა რეალური დანაშაული, ამჟამად იქ ეკოპოლიცია გავუშვი და უახლოეს მომავალში ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება,"** - აცხადებს რწმუნებული. რაც შეეხება აღნიშნულ ფაქტებთან ვაჟა ლორთქიფანიძის, შალიკაშვილისა და ხუროძის კავშირს, მუმლაძე აცხადებს, რომ ისინი ფირმის დოკუმენტაციაში ოფიციალურად არ ფიგურირებენ, თუმცა მის ხელთ არსებული ინფორმაციით, შესაბამისი ლიცენზია შევარდნაძემ სწორედ ამ პირებისთვის გასცა.

**"ამ საქმეში ისინი, რა თქმა უნდა, რიგით ადამიანებს ამოეფარებოდნენ, რომელთაც ეს ადგილი ნანახიც არ ექნებათ. მაგრამ მე ვიცი, რომ აღნიშნული ფირმის უკან შალიკაშვილი, ვაჟა ლორქიფანიძე და ძმები ხუროძეები დგანან, მათთან ერთად არის ჭიათურის ყოფილი გამგებელი სამხარაძე,"** - აცხადებს რწმუნებული. რაც შეხება "გორა-ტყის" გარკვეული ნაწილის გაკაფვით მიყენებულ ზარალს, ზუსტი ციფრები არ კონკრეტდება, თუმცა აცხადებენ, რომ ზარალი მნიშვნელოვანია.



ჭიათურაში კერძო ფირმების მიერ მანგანუმის მოპოვება ახალი დაპირისპირებებისა და სამართალდამცველების მხრიდან დაინტერესების საფუძველი ხდება.

იმერეთის სამხარეო ეკოპოლიციის განყოფილებაში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა უკვე მიმდინარეობს. ეკოპოლიციის უფროსის თემურ ნოზაძის ინფორმაციით, სოფელ რგანის ტერიტორიაზე მოჭრილია 134 ძირი წაბლი და 9 მუხის ხე. **"ფირმა "რგანის" წარმომადგენლების მიერ გაიჩეხა ტყე. დავით შალიკაშვილისა და ვაჟა ლორთქიფანიძის გვარები მოკვლევის პროცესში ჯერ არსად შემხვედრია. რაც შეეხება ხუროძეს, მან 2002 წელს გასცა დასკვნა, რომ ამ ტერიტორიაზე მადანის მოპოვება შეიძლება. ჯერჯერობით, მოკვლევას გამოკვეთილი ჰყავს რამდენიმე დამნაშავე პირი, ესენი ფირმა "რგანის" თანამშრომლები არიან. მათ ვინაობას კი უახლოეს დღეებში პროკურატურაში საქმის გადაგზავნის შემდეგ დავასახელებთ,"** - განაცხადა ეკოპოლიციის უფროსმა თემურ ნოზაძემ.

# განცხადება

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე №3/ა-28-04 წ. მოსარჩელეების თბილისის აკ. წერეთლის გამზ. 50-52 მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი კორპუსის მენაშენეთა ამხანაგობის წევრების ა. ბახტურიძის, ალ. ხუციშვილისა და სხვათა სარჩელისა გამო (სულ 18 ფიზიკური პირი), მოპასუხეების: თბილისის მერიის, თბილისის აკ. წერეთლის გამზ. 50-52-ის ამხანაგობის თავმჯდომარის გურამ მიქაძის მიმართ. მესამე პირები: ფიზიკური პირი გვანცა მიქაძე და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა. დავის საგანი:

1. თბილისის მერიამ უზრუნველყოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, შემდგომში თბილისის მერიის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სამმართველოსა და აკ. წერეთლის გამზ. 50-52 ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობასშორის 1990 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული №31 საჯარო ხელშეკრულებების მოთხოვნათა შესრულება და მჭიდრო ვადებში ყველა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების გათვალისწინებით ბოლომდე დასრულებულ მდგომარეობაში ჩააბაროს საცხოვრებელი კორპუსი მენაშენეთა ამხანაგობას.

2. თბილისის მერიამ უზრუნველყოს მენაშენეთა ამხანაგობის ოჯახებისათვის 10 მილიონი ლარის კომპენსაციის გადახდა - 1990 წლის 19 სექტემბრის №31 საიჯარო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების ჩაშლისათვის, რომელთა გამოც მენაშენეთა ამხანაგობის ოჯახებს თერთმეტი წლის განმავლობაში მიადგათ მორალური და მატერიალური ზიანი.

3. ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 1993 წელს მიღებული გადაწყვეტილება აკ. წერეთლის გამზ. 50-52 მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი კორპუსის მენაშენეთა ამხანაგობის წევრთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს და მიმართავს მათ, თუ დაინტერესებულნი არიან საქმის საბოლოო შედეგით, შეუძლიათ ჩაებან აღნიშნული საქმის განხილვაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. თითოეულმა დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7 ა) მოსამართლეს მიხეილ ბებიაშვილს.

თბილისის საოლქო სასამართლოს
ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო
საქმეთა კოლეგია

# როგორ უნდა განხორციელდეს დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე

თავდაცვის სამინისტროს რეფორმირების აუცილებლობაზე, უფრო კონკრეტულად კი შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის დაწესებაზე, საქართველოში უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო საუბარი,. თუმცა, ეს თემა უფრო აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა ერთხმად აღიარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ნატო-ში გაწევრიანება, რაც თავისთავად მოითხოვდა თავდაცვის სამინისტროზე სამოქალაქო კონტროლის დამყარებას. მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლებას ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს. ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე თავდაცვის სამხედრო მინისტრი შეიცვალა სამოქალაქო პირით, რაც დემოკრატიული კონტროლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი სრულფასოვანი სამოქალაქო კონტროლის დაწესებისათვის. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე ხორციელდება მთელ რიგ ისეთ ქვეყნებშიც, რომლებიც არ არიან ნატო-ს წევრი ან წევრობის კანდიდატები. თუმცა, სამოქალაქო კონტროლის არსებობა სულაც არ ნიშნავს დემოკრატიულ კონტროლს, რადგან სამოქალაქო კონტროლი ხორციელდება მთელ რიგ ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც ძნელად თუ ვუწოდებთ დემოკრატიულს.

სანამ გადავალთ უშუალოდ იმ ქმედებებზე, თუ რა უნდა გაკეთდეს დემოკრატიული კონტროლის დასამყარებლად, უნდა განვიხილოთ ის უპირატესობები, რომლებიც გააჩნია ასეთი სახის სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებს ქვეყნის უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის. პირველი: სამოქალაქო კონტროლი განაპირობებს სამხედროთა მილიტარისტული სწრაფვების შემცირებას, რასაც უზრუნველყოფს დემოკრატიული ელემენტების არსებობა შეიარაღებულ ძალებში, ანუ მცირდება სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ძალების თვითნებური მოქმედების საშიშროება. მეორე: სამოქალაქო კონტროლი ხელს უშლის კორუფციის წარმოქმნას და რესურსების არასწორ განაწილებას. მესამე: იზრდება საზოგადოების ნდობა შეიარაღებული ძალების მიმართ. და ბოლოს, ძლიერი დემოკრატიული კონტროლი უზრუნველყოფს ჯარისკაცთა უფლებების დაცვას, რაც ზოგადად დადებითად მოქმედებს შეიარაღებული ძალების განვითარებაზე.

საქართველოში სამოქალაქო კონტროლის დასამყარებლად, პირველ რიგში აუცილებელი იქნება ახალი კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების როლს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ აკმაყოფილებს სამოქალაქო კონტროლის მოთხოვნილებებს. ამასთან ერთად, შესაძლოა საჭირო გახდეს მცირე შესწორებების შეტანა კონსტიტუციაში. ახალმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო უზენაესობის პრინციპი, რადგან დემოკრატიულ რეჟიმში მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ ნაციონალური ინტერესისა და ხალხის ნების გამოხატვის უფლება. ამასთანავე, სამხედროებს არ უნდა მიენიჭოთ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისგან განსხვავებული, პრივილეგირებული სტატუსი. ასევე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს შეიარაღებული ძალების როლი ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში, რაც გულისხმობს ვალდებულებათა და მოვალეობათა გადანაწილებას უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის, რათა არ მოხდეს ფუნქციების დუბლირება. შესაბამისად, მისია, რომელიც დაეკისრება ეროვნული უსაფრთხოების თითოეულ სტრუქტურულ კომპონენტს, უნდა იყოს მკაფიო და კონკრეტული. ერთიანობაში კი ეს უნდა პასუხობდეს ნაციონალური უსაფრთხოების ყველა ასპექტს, როგორც საშინაოს, ასევე საგარეოს.

ახალმა კანონმდებლობამ ზუსტად უნდა განსაზღვროს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი მთავარსარდალია, იგი თავდაცვის პოლიტიკას ახორციელებს თავდაცვის მინისტრის მეშვეობით, რომელიც არის სამოქალაქო პირი. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ წარმოადგენს სამოქალაქო კონტროლის საკმარის გარანტიას. საჭირო გახდება მთავარსარდალთა დაქვემდებარება თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ხელმძღვანელობისადმი. თავდაცვის სფეროს იმ ორგანოებს, რომლებშიც სამხედროთა რაოდენობა აღემატება სამოქალაქო პირებს, უნდა მიენიჭოთ მრჩეველობითი ფუნქციები, შეუმცირდეთ ძალაუფლება და მონაწილეობა თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში. მეორე მხრივ, სამინისტროში მკვეთრად უნდა განისაზღვროს სამოქალაქო პირთა ვალდებულებანი, რათა არ მოხდეს მათი უფლებამოსილებათა მითვისება სამხედროების მიერ. სამუშაო ვალდებულებათა მკვეთრი განსაზღვრა პოლიტიკის, ადმინისტრაციულ თუ პროფესიული ფუნქციების სფეროში განსხვავებულია ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. თუმცა, უდავოა რომ რაც მეტი სამოქალაქო პირი დაიკავებს მაღალ პოსტს თავდაცვის სამინისტროში, მით უფრო ეფექტური იქნება სამოქალაქო კონტროლი. აგრეთვე, სამოქალაქო კონტროლი უფრო ეფექტური გახდება თუ არ იარსებებს ერთიანი, მკვეთრი ურთიერთდაქვემდებარების იერარქია, რაც გამორიცხავს სამხედრო და სამოქალაქო პირთა შორის დაპირისპირებას. საქართველოს შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების მოდელი (პრეზიდენტს პლიუს პრემიერ-მინისტრი) იწვევს საკმაოდ ბუნდოვან ურთიერთდაქვემდებარებას.

დემოკრატიული კონტროლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია საპარლამენტო კონტროლი. პარლამენტმა და მისმა შესაბამისმა კომიტეტმა, საქართველოს შემთხვევაში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, უნდა განახორციელოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯებზე კონტროლი და რესურსების განაწილების მონიტორინგი. ამასთანავე, პარლამენტმა აქტიური როლი უნდა ითამაშოს ზოგადად თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებაში, კერძოდ კი ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში როგორიც არის ომის გამოცხადება. საპარლამენტო კონტროლი (თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მხრიდან) უნდა იყოს რეალური და ყოვლისმომცველი და არა ფორმალური, რაც უნდა გამოიხატებოდეს სამხედრო დოქტრინებისა და სტრატეგიების შემუშავებაში, თავდაცვის და ზოგადად უსაფრთხოების სფეროს გრძელვადიან დაგეგმარებაში, თავდაცვის სექტორის რეფორმირების საკითხების გადაწყვეტაში. კანონმა უნდა განსაზღვროს პარლამენტის როლი ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიც არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში ან თავის ქვეყანაში ასეთი მისიების მიღებაში.


იური ლობოდინის ფოტო

*თუ ქართულ დროშას ოდესმე უწერია ნატოს შტაბბინასთან აფრიალება, აუცილებელია არმიაზე სამოქალაქო კონტროლის განხორციელება.*

საერთოდ, რაც უფრო აქტიურად იქნება პარლამენტი ჩართული ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში, მით უფრო ეფექტური იქნება სამოქალაქო კონტროლი უსაფრთხოების სტრუქტურებზე.

კანონის უზენაესობა დემოკრატიული წყობის ფუნდამენტური ასპექტია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სამხედროთა დაქვემდებარება სასამართლო ხელისუფლებისადმი და, შესაბამისად, სამხედროები, როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქეები უნდა დაემორჩილონ სამოქალაქო კოდექსს და მათი გასამართლება უნდა ხდებოდეს სამოქალაქო სასამართლოებში. ასეთი პრაქტიკა საქართველოში უკვე არსებობს. დემოკრატიული კონტროლის დამყარების მიზნით, სამოქალაქო სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ უნდა შედიოდეს ისეთი დანაშაულებანი, როგორიც არის მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების დარღვევა შიდა უსაფრთხოების ამოცანების შესრულებისას და ისეთი პოლიტიკური დანაშაულის ჩადენა, როგორიც არის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ სამხედრო აჯანყებები. დაუშვებელია სამხედროთა უზენაესობა კანონზე და მათი პასუხისგება უნდა ხორციელდებოდეს სამოქალაქო სასამართლოების მეშვეობით.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მთელ რიგ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში მოქმედებენ სამხედრო სასამართლოები, რომელთა მოვალეობაა მხოლოდ სამხედრო კანონმდებლობისა და კოდექსის დარღვევაზე რეაგირება. თუ საქართველოში იარსებებს სამხედრო სასამართლოები, მათ კომპეტენციაში უნდა შევიდეს მხოლოდ ისეთი საქმეთწარმოება რომელიც სამხედრო კანონმდებლობის და დისციპლინის დარღვევას შეეხება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია განისაზღვროს სამხედროთა როლი ქვეყნის შიდა საქმიანობაში. გამომდინარე იქიდან, რომ სამხედროების ძირითად მოვალეობას შეადგენს ქვეყნის დაცვა გარე საფრთხისგან, სამხედროებს არ შეიძლება კონსტიტუციურად მიენიჭოთ პირველხარისხოვანი როლი შიდა თავდაცვასა და სამოქალაქო საკითხების გადაჭრაში. მაგრამ ამასთანავე, როდესაც ჩვეულებრივი საშუალებები საზოგადოებრივი წესრიგის და ადგილობრივი მშვიდობის შენარჩუნებისთვის ამოიწურება, პრეზიდენტს გამონაკლისის სახით უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს სამხედრო ძალები ამ მიზნისათვის. როდესაც ვსაუბრობთ შეიარაღებული ძალების საშინაო როლზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მასშტაბურ კატასტროფებს, სადაც სამხედრო საჯარისო ნაწილებმა აგრეთვე შეიძლება შეასრულონ დამხმარე როლი მოსახლეობის სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციებიდან გამოყვანაში.

იმისათვის რომ აღიკვეთოს სამხედროთა ჩარევა პოლიტიკაში, საჭიროა აიკრძალოს სამხედროს, როგორც ინსტიტუტის, მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში. ამისათვის უნდა უზრუნველყოფილი იქნეს შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. ეს პრინციპი აუცილებელია იმისათვის რომ არ მოხდეს შეიარაღებული ძალების მონაწილეობა პარტიულ პოლიტიკაში. დაუშვებელია სამხედრო მეთაურთა მიერ აგიტაციების ჩატარება საჯარისო ნაწილებში. მაგრამ, ამასთან ერთად, ჯარისკაცებს, ისევე როგორც ყველა დანარჩენ მოქალაქეს, უნდა ჰქონდეთ უფლება საჯაროდ გამოხატონ თავიანთი აზრი, თუ ისინი არ იმოქმედებენ შეიარაღებული ძალების სახელით და მათი განცხადებები არ მოახდენს ქვეყნის მეთაურის დისკრედიტაციას.

კიდევ ერთი კომპონენტი დემოკრატიული კონტროლის უზრუნველყოფისათვის არის გამჭირვალობის არსებობის აუცილებლობა გადაწყვეტილებათა მიღებაზე, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემს დეტალური ინფორმაციის მიღებას თავდაცვის საკითხებზე. იმისათვის, რომ დაინერგოს გამჭვირვალობის პრინციპი, საჭირო გახდება სამთავრობო ექსპერტების, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა უსაფრთხოების საკითხების განხილვაში.

როდესაც ვსაუბრობთ თუ როგორი უნდა იყოს სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები საქართველოში, არ უნდა დავივიწყოთ იმ ვალდებულებების შესახებ, რომელიც აკისრია ქვეყნის მთავრობას სამხედროებთან მიმართებაში. პირველ რიგში ეს ეხება სამხედროების და მათი ოჯახის წევრთა სამოქალაქო და სოციალური უფლებების დაცვას, რაც გულისხმობს სამხედროთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ამასთანავე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სამოქალაქო ცხოვრებასთან ადაპტაცია.

თუ საქართველოში არ იარსებებს ეფექტური უსაფრთხოების სტრუქტურები და ძლიერი სამოქალაქო კონტროლი, მაშინ წარმოიშობა გადაულახავი ბარიერი მდგრადი განვითარებისათვის. უსაფრთხოების არარსებობის პირობებში კი არ იქნება არც მდგრადი განვითარება და არც დემოკრატიის, სტაბილურობისა და მშვიდობის პროგრესი. იმისათვის, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს ჯანსაღი სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები და გარანტირებული იყოს სამხედროთა მიერ სამოქალაქო თავისუფლების უზრუნველყოფა და დემოკრატიული გზით არჩეული ხელმძღვანელობისადმი ანგარიშვალდებულება, მხოლოდ კანონების შექმნა არ იქნება საკმარისი, თუმცა ეს პირველი აუცილებელი ნაბიჯია შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის დასამყარებლად.

# რუსეთის დივერსიული გეგმა - დარწმუნებულია ნათაძე

ნინო გომართელი

აფხაზეთში მომხდარი სამხედრო დაპირისპირებიდან 11 წლის შემდეგ კვლავაც ღიად რჩება საკითხი, თუ რა მექანიზმებით იქნება უზრუნველყოფილი აფხაზეთის სუვერენიტეტი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ჩვენი გაზეთის ოთხშაბათის ნომერში გამოქვეყნდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწერილი "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციის" ტექსტი.

როგორც დოკუმენტის ავტორები აცხადებენ, იგი ემსახურება ერთადერთ მიზანს - ქართულმა მხარემ აფხაზეთის მოსახლეობას მისი უფლებებისა და სუვერენიტეტის დაცვის რეალური გარანტიები მისცეს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, რის შემდეგაც გაჩნდება არჩევანი, თუ რა არის უკეთესი - არაღიარებული დამოუკიდებლობა და გაურკვეველი მომავლის შიში, თუ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება ყველა პოზიტიური შედეგით.

აღნიშნულმა კონცეფციამ, რასაკვირველია, დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში, გამოხმაურების სურვილი კი პირველად "საქართველოს სახალხო ფრონტის" ლიდერმა ნოდარ ნათაძემ გამოთქვა.

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ნათაძემ აღნიშნულ კონცეფციას **"თვითმარქვია პოლიტოლოგების მიერ შექმნილი დივერსიული გეგმა"** უწოდა, რომელიც რუსეთის ინტერესებს ემსახურება.

პირველი, რაც აღნიშნულ დოკუმენტში "სახალხო ფრონტის" ლიდერისთვის მიუღებელია, არის ის, რომ პროექტის თანახმად, აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფო ერთეული. იგი აღნიშნავს: **"სუვერენული ნიშნავს გარეთ დამოუკიდებელს და შიგნით უზენაესს, ანუ, ფაქტობრივად, ნიშნავს დამოუკიდებლობას. აქედან გამომდინარე კი, სუვერენულობის შემთხვევაში ჩვენ პირწმინდად წაგებულები ვართ"**.

ასევე მიუღებელია კონცეფციის ავტორებისთვის აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ძირითად სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეული "შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", რომლითაც კონფლიქტის პოლიტიკური და სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი პრინციპები განისაზღვრება.

ნოდარ ნათაძე მიიჩნევს, რომ პროექტის ავტორები აფხაზეთს იურიდიულ მექანიზმს უქმნიან იმისათვის, რომ საქართველოს გამოეყოს. **"აფხაზეთის ხელისუფლება და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ერთმანეთს უკავშირდებიან ხელშეკრულებით, რაც ურთიერთობის ისეთი ფორმაა, რომლის დარღვევაც ძალიან ადვილად არის შესაძლებელი,"** - ამბობს იგი.

"სახალხო ფრონტის" ლიდერისთვის ასევე მიუღებელია აფხაზეთის უფლება, მოქალაქეობა მიანიჭოს ნებისმიერ პირს, შემდეგ კი აფხაზეთის მოქალაქე ავტომატურად საქართველოს მოქალაქე ხდება.

**"ამით აფხაზეთს საშუალება ეძლევა, შიგნით ერთპიროვნულად დაარეგულიროს ვითარება და დააგროვოს ძალა, რითიც აამუშავებს საქართველოდან გამოყოფის იურიდიულ მექანიზმს. იმიგრაციის რეგულირებით იგი ქმნის დემოგრაფიულ ძალას და რამდენიმე წელიწადში, ყველა მსურველისთვის მოქალაქეობის მინიჭებით, მივიღებთ შედეგს, რომ იქ არაქართველი მოსახლეობა ქართველ მოსახლეობაზე ხუთჯერ მეტი იქნება,"** - ამბობს იგი.


ვახო ბასილიას ფოტო

*აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციას სახალხო ფრონტის ლიდერი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს.*

მასვე არასწორად მიაჩნია დებულება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება, ანუ ყველა პროცესის რეგულირება აფხაზეთის ხელშია, რაც, ნათაძის აზრით, იმას ნიშნავს, რომ ქართველი მოსახლეობა იქ იქნება ისეთივე ეთნოკრატიის მსხვერპლი, როგორც ადრე.

დოკუმენტში ეს საკითხი ასე ჟღერს: "აფხაზეთის განსაკუთრებული უფლებამოსილებების სფეროში საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება ექნება მხოლოდ აფხაზეთის შესაბამის სახელმწიფო ორგანოს".

"სახალხო ფრონტის" ლიდერისთვის მიუღებელია და უცნაურს უწოდებს პროექტით გათვალისწინებულ ერთ მომენტს, რომელიც დევნილთა დაბრუნებას ეხება. კერძოდ, კონცეფციით, სამი წლის განმავლობაში დგება აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა სია, ხოლო თავად დაბრუნების პროცესი იწყება ამ სამი წლის შემდეგ და, თანაც, ეტაპობრივად და გრაფიკით.

**"დოკუმენტში არ ფიგურირებს საჩქაროობის მომენტი, რაც არასწორია,"** - აცხადებს ნათაძე.

მასვე ავტორების მხრიდან მოსახლეობის მოტყუებად მიაჩნია წარმოდგენილი ფედერალიზმის პრინციპები და აცხადებს: **"რასაც ავტორები გვაწვდიან, როგორც ფედერალიზმს, ეს არის კონფედერაცია, ანუ ურთიერთობის ისეთი ფორმა, როდესაც სუბიექტებს ნებისმიერ მომენტში დაშლის უფლება აქვთ"**.

დასკვნის სახით კი, ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება გამოიყენებს ამ კონცეფციით გათვალისწინებულ თუნდაც ერთ დებულებას, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ იგი რუსეთის ინტერესების გამომხატველია.

**"ვფიქრობ, ამ დივერსიული გეგმის უკან, საბედნიეროდ, დგას მხოლოდ რუსეთი და არა დასავლეთი. ეს ტექსტში თუნდაც იმით ამოიკითხება, რომ ხუთჯერაა აღნიშნული რკინიგზის საჩქაროდ ამუშავება, რაც ქართველისთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. რუსეთს კი ხელს აძლევს, საქართველოზე გავლით დაამყაროს კავშირი სომხეთთან, რაც მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა.**

**და კიდევ, ხელშეკრულების ვალდებულებებში ჩადებულია, რომ გათვალისწინებული იქნეს მეზობელი ქვეყნების ინტერესები, იქიდან გამომდინარე, რომ ერთადერთი მეზობელი რუსეთია. ეს იმისათვის კეთდება, რომ მას საშუალება მიეცეს, ნებისმიერი კაპრიზული პრეტენზია წამოაყენოს და ამით არიოს სიტუაცია მაშინ, როცა მოესურვება,"** - ამბობს "სახალხო ფრონტის" ლიდერი.

"ხელოვნების ზეიმს" არაფერი ემუქრება



B2

ცხოვრება, როგორც სიყვარულის ძებნა



B3

დრეზდენს, ელბას და ქვის როლანდს



B7

4 ივლისი - ამერიკის დამოუკიდებლობის დღე

# აშშ-ს დროშა

*იურისტებმა გიორგი და თეიმურაზ გეწაძეებმა აშშ-ს შესახებ გამოსაცემად მოამზადეს ენციკლოპედიური დანიშნულების წიგნი, რომელშიც მოცემულია აშშ-ს მოკლე ისტორია, წარმოდგენილია ფართო ინფორმაცია ორმოცდაათივე შტატზე, წიგნში შეტანილია აგრეთვე ორმოცდასამივე პრეზიდენტის ბიოგრაფიული მონაცემები.*
*წიგნში განხილულია აშშ-ს საკანონმდებლო, მმართველობითი, მართლმსაჯულების განმახორციელებელი, სამართალდამცავი სისტემების მუშაობის პრინციპები და სხვა მრავალი საინტერესო საკითხი.*
*ამერიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამოსაცემი წიგნიდან ვაქვეყნებთ ფრაგმენტს - "აშშ-ს დროშა".*

გიორგი გეწაძე
თეიმურაზ გეწაძე




*თავისუფლების ქანდაკება, დროშისადმი ერთგულების ფიცის ტექსტი, ამერიკის დროშა და დამოუკიდებლობის მოპოვება.*



*"რედ ინსაინი" ბრიტანეთის მეტროპოლიის ხომალდებზე იყო აღმართული.*



*დროშისადმი ერთგულების ფიცის დადება პრეზიდენტთან ერთად.*

აშშ-ს დროშა დაიბადა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში - 1775-1783 წლებში. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებამდე დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიებში ყველაზე გავრცელებულ დროშად ითვლებოდა ეგრეთწოდებული "რედ ინსაინი".

"რედ ინსაინი" ბრიტანეთის მეტროპოლიის ხომალდებზე იყო აღმართული. გარკვეული ტრანსფორმირების შედეგად, 1707 წელს ეს დროშა წარმოადგენდა წითელ ტილოს, მარცხენა ზედა კუთხეში დიდი ბრიტანეთის დროშის გამოსახულებით, რომელზედაც წმინდა გიორგის და წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ჯვრების კომბინაცია იყო გამოსახული.

ამასთან ერთად, თავისი დროშები გააჩნდათ ცალკეულ კოლონიებს. მაგალითად, ნიუ იორკის დროშაზე გამოსახული იყო "წავი - თეთრ მინდორზე", მერილენდის დროშას წარმოადგენდა ლორდ ბალტიმორების საგვარეულო დროშა, ახალ ინგლისში გავრცელებული იყო დროშები "მწვანე ნაძვი"-ს გამოსახულებით და ა.შ.

დამოუკიდებლობის ბრძოლის დასაწყისიდანვე ამერიკელი პატრიოტებისათვის აუცილებლობად იქცა ისეთი დროშის არსებობა, რომლებზედაც დამოუკიდებლობისათვის მათი სწრაფვა იქნებოდა ასახული. მეტროპოლიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ერთიანობის სიმბოლოს ეროვნული დროშის უქონლობა, პატრიოტებს აიძულებდა სამხედრო ფორმირებათა ძველი დროშები გამოეყენებინათ, ანდა შეექმნათ ახლები.

რევოლუციის დასაწყისში განსაკუთრებით გავრცელებული იყო კოლონიის ტრადიციული დროშები.

ამავე პერიოდში პენსილვანიასა და როდ-აილენდში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ამერიკელების საყვარელ ემბლემას წარმოადგენდა ჩხრიალა გველი. ყვითელ დროშაზე გამოსახული იყო რგოლებად დახვეული ჩხრიალა გველი, რომელიც თავდასხმისთვის იყო გამზადებული. დროშას თან ერთვოდა დევიზი "ნუ შეურაცხმყოფ". რაც მეტროპოლიის წარმომადგენლობისაკენ იყო მიმართული.

ეს დროშა 1775 წლის 3 დეკემბერს აღმართული იქნა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ფლაგმან ხომალდზე "ელფერდ"-ზე კაპიტან-კომანდორის ე. ჰოპკინსის პირად დროშად. იგი მოგვიანებით აშშ-ს ფლოტის სარდალი გახდა.

ამავე პერიოდში დაიბადა ვარსკვლავებიან-ზოლებიანი დროშა "სტარს ენდ სტრაიპსი" (ვარსკვლავები და ზოლები), რომელიც გარკვეული ცვლილებების შემდეგ მოგვიანებით აშშ-ს სახელმწიფო დროშად იქცა.

დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ყოფილი ინგლისური კოლონიების გაუწვრთნელი მილიციის რაზმებიდან 1775 წლის ზაფხულისათვის ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ერთიანი რეგულარული არმია.

1775 წლის ივნისში, ინგლისელების მიერ დაკავებულ ქალაქ ბოსტონიდან ათიოდე მილის დაშორებით ქალაქ ჩარლსტონში ამერიკის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გაერთიანებული არმიის მთავარსარდლობა მიიღო გენერალმა ჯორჯ ვაშინგტონმა. ამ დღეს ჯორჯ ვაშინგტონმა ჯარისკაცების წინაშე აღმართა პირველი დროშა. დროშის საფუძველს წარმოადგენდა კოლონიური დროშა "რედ-ინსაინი". დროშის ზედა მარცხენა ნაწილში დატოვებული იქნა წმ. გიორგის და წმ. ანდრია პირველწოდებულის ჯვრების კომბინაცია, ამასთან ერთად წითელ ტილოზე გაჩნდა თეთრი ჰორიზონტალური 13 ხაზი, რაც აჯანყებული შტატების რიცხვს შეესაბამებოდა. ამ დროშას, მთავარსარდლის შტაბის ადგილმდებარეობის მიხედვით, კემბრიჯის დროშას უწოდებდნენ.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების (1776 წლის 4 ივლისი) შემდეგ, 1777 წლის 1 იანვარს ახალი წელი ახალი დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიალით აღინიშნა - ქალაქ ჩარლსტონის მახლობლად ჰილის ქუჩაზე.

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩრდილოეთ ამერიკის შტატების II კონტინენტურ კონგრესს, დროშასთან დაკავშირებით არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. მიუხედავად ამისა, ჯორჯ ვაშინგტონის მიერ აღმართუმა დროშამ აღიარება და ფართო გავრცელება ჰპოვა. ამერიკელ ხალხში მას "გრეიტ იუნიონ ფლეგს" - დიდი კავშირის დროშას უწოდებდნენ. მასთან ერთად მას სხვადასხვა სახელითაც მოიხსენებდნენ: "იუნიონ ფლეგ" - კავშირის დროშა, "კონგრეს ფლეგ" - კონგრესის დროშა, "კოლონიალს იუნიონ ფლეგ" - შეერთებული კოლონიების დროშა.

დროშა აღიარეს უცხოელებმაც 1776 წლის 1 ნოემბერს ჰოლანდიის კუთვნილ კუნძულ სინტ-ესტატიუზე მდებარე ფორტ ორინჯის გასწვრივ მიმავალი ამერიკული ხომალდიდან 13 გასროლა მოხდა, რასაც ჰოლანდიელების მხრიდან მოჰყვა ანალოგიური საპასუხო მისასალმებელი სალუტი, რაც ახლად წარმოშობილ დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღიარებასთან სიმბოლიზირდებოდა. აღნიშნულმა ფაქტმა გაამწვავა ურთიერთობა ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთს შორის. "გრეიტ იუნიონ ფლეგ"-მა იარსება 1777 წლის 14 ივნისამდე. ამავე წელს II კონტინენტურმა კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც იუწყებოდა, რომ ამერიკის დროშაზე გამოსახული უნდა ყოფილიყო ერთმანეთის თანმიმდევრობით არსებული 13 წითელი და თეთრი ჰორიზონტალური ხაზი, ხოლო დროშის ზემო კუთხეში ნაცვლად ბრიტანეთის დროშისა გამოსახული უნდა ყოფილიყო ლურჯ ფონზე ცამეტი თეთრი ვარსკვლავი.

ამ დროშის ქვეშ პირველი ამერიკელი გენერლები იღებდნენ კაპიტულირებულ ინგლისის ჯარებს სარატოგასა და იორკტაუნთან.

13 ვარსკვლავიანმა და 13 ზოლებიანმა დროშამ 14 წელი იარსება.

1791 წლის მარტში ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობაში მიღებული იქნა ვერმონტის შტატი, ხოლო 1792 წელს - კენტუკის შტატი. აშშ-ში შესულმა ახალმა ორმა შტატმა სხვა შტატებთან თანასწორობის და სრულუფლებიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მოითხოვეს დროშაზე გამოსახულიყო მათი ვარსკვლავები და ზოლები. მიუხედავად ზოგიერთი კონგრესმენის წინააღმდეგობისა აშშ-ს კონგრესმა დაადგინა დროშის შეცვლა, რაც 1794 წლის 13 იანვარს სანქციონირებული იქნა აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის მიერ, რომლის თანახმადაც 1795 წლის 1 მაისიდან აშშ-ს დროშაზე უნდა გამოსახულიყო 15 ვარსკვლავი და 15 წითელი და თეთრი თანმიმდევრული ჰორიზონტალური ზოლი.

1796-1817 წლამდე აშშ-ში გაერთიანდნენ ტენესის, ოჰაიოს, ლუიზიანას, ინდიანას და მისისიპის შტატები, რის გამოც ამერიკის სახელმწიფო დროშას დაემატა ვარსკვლავები და ჰორიზონტალური ზოლები, ამ პერიოდში ეროვნულ დროშაზე ცვლილებები შეჰქონდათ სტიქიურად, საკანონმდებლო ხელისუფლების რაიმე სანქციის გარეშე.

1818 წლის 4 აპრილს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯიმ მონრომ ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ითვალისწინებდა, რომ აშშ-ს დროშაზე გამოსახული უნდა ყოფილიყო წითელი და თეთრი 13 ჰორიზონტალური ხაზი, რაც გულისხმობს აშშ-ს 13 დამფუძნებულ შტატს. დროშის მარცხენა ზედა კუთხეში გამოსახული უნდა ყოფილიყო ოცი თეთრი ვარსკვლავი, რაც შეესაბამებოდა მაშინდელი შტატების ოდენობას. ერთდროულად დადგინდა, რომ თითოეული შტატის მიღებისას დროშას უნდა დაემატოს მხოლოდ ვარსკვლავი, და დროშის შეცვლა უნდა მოხდეს ახალი შტატის მიღების შემდეგ პირველსავე დამდეგ 4 ივლისს, აშშ-ს დამოუკიდებლობის დღესასწაუზე.

ამჟამად არსებულ აშშ-ს დროშაზე უკანასკნელი, ორმოცდამეათე ვარსკვლავი დამატებული იქნა 1960 წელს რიგით ორმოცდამეათე, ჰავაის შტატის მიღების აღსანიშნავად.

1877 წლის 14 ივნისს აშშ-ის დროშის შექმნის ასი წლისთავთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ ყოველწლიურად 14 ივნისს აღენიშნათ დროშის დღე. დღესასწაული თანდათან ტრადიციად იქცა. დროშის დღესასწაულს განსაკუთრებით სკოლებში აღნიშნავდნენ. XIX საუკუნის დასასრულიდან სკოლის მოწაფეები დროშასთან ერთგულების აღთქმას დებენ (Pledge of Allegiane).

დღეს ამერიკელი მოქალაქეები აშშ-ს დროშის მიმართ უდიდესი ერთგულებით გამოირჩევიან. აშშ-ს დროშა ფრიალებს არა მარტო სამთავრობო დაწესებულებებზე, დიპლომატიურ მისიებზე, ხომალდებზე და სამხედრო ობიექტებზე, არამედ სკოლებზეც, ბანკებზეც, ფირმებზე, საწარმოებზე, კერძო სახლებზე. ეროვნული დროშა წარმოადგენს სამსახურეობრივი და კერძო, პირადი კაბინეტების აუცილებელ ატრიბუტს. დროშის ფერი და სიმბოლიკა ფართოდ გამოიყენება რეკლამაში, გრაფიკაში, ხელოვნების სხვა დარგებში, ტანსაცმელში.

საკუთარი დროშები აქვთ პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს. სამდივნოების (სამინისტროების) ხელმძღვანელებს, მათ მოადგილეებს, სხვა ოფიციალურ პირებს. ყველა სახის საჯარისო შენაერთებს, მათ სარდლებს, მეთაურებს, გენერლებს, ადმირალებს, სამხედრო აკადემიებს და ა.შ. სახელმწიფო დროშასთან ერთად ყოველ შტატს, კოლუმბიის ოლქს და ქალაქების უმრავლესობას გააჩნიათ თავიანთი ემბლემები.

## აშშ - ფაქტები

**ადგილმდებარეობა**: კანადასა და მექსიკას შორის. ესაზღვრება ჩრდილო ატლანტიკის ოკეანე და ჩრდილო წყნარი ოკეანე.

**ფართობი**: 9.631.418 კვ.კმ.

**უმაღლესი ადგილი**: მაქკინლის მთა 6.194 მ.

**უდაბლესი ადგილი**: "სიკვდილის ხეობა" 86 მ.

**სიდიდე**: სიდიდით მესამე ქვეყანა რუსეთისა და კანადის შემდეგ და ასევე მესამე მოსახლეობის მიხედვით ჩინეთისა და ინდოეთის შემდეგ.

**მოსახლეობა**: 293.027.571.

**ეთნიკური ჯუგფები**: თეთრკანიანები 77.1 პროცენტი; შავკანიანები 12.9 პროცენტი; აზიელები 4.2 პროცენტი; ამერინიდები და ადგილობრივი ალასკელები 1.5 პროცენტი; ადგილობრივი ჰავაელები და წყნარი ოკეანეთის მაცხოვრებლები 0.3 პროცენტი; სხვა 4 პროცენტი (2000 წლის მონაცემებით);

**შენიშვნა**: ცალკე არ არის გამოყოფილი ესპანელები, რადგან აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიუროს განაწესით, ესპანელი გულისხმობს ლათინო ამერიკული წარმომავლობის ამერიკაში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც შეიძლება ნებისმიერ რასას და ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდეს.

**რელიგია**: პროტესტანტები 56 პროცენტი; რომაული კათოლიკები 28 პროცენტი; ებრაელი 2 პროცენტი; სხვა 4 პროცენტი.

**ენა**: ინგლისური, ესპანური.

**ხელისუფლების ტიპი**: კონსტიტუციაზე დაფუძნებული ფედერალური რესპუბლიკა ძლიერი დემოკრატიული ტრადიციებით.

**დედაქალაქი**: ვაშინგტონი

**ადმინისტრაციული დანაყოფები**: 50 შტატი და 1 ოლქი

**დამოუკიდებლობა**: 1776 წლის 4 ივლისი (დიდი ბრიტანეთისგან).

**ეროვნული დღესასწაული**: 4 ივლისი.

**კონსტიტუცია**: 1787 წლის 17 სექტემბერი. მუშაობს 1789 წლის 4 მარტიდან.

**აღმასრულებელი ხელისუფლება**: პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (2001 წლის 20 იანვრიდან). ის ასევე არის მთავრობის მეთაური. კაბინეტს ნიშნავს პრეზიდენტი სენატის თანხმობით.

**საკანონმდებლო ხელისუფლება**: ორთემიანი კონგრესი შედგება სენატისგან (ასი ადგილი) და წარმომადგენელთა სახლისგან (435 ადგილი).

**იურიდიული ხელისუფლება**: აღმასრულებელი სასამართლო (მის ცხრა წევრს პრეზიდენტი სენატის თანხმობით სამუდამოდ ნიშნავს); აშშ-ს სააპელაციო სასამართლო; აშშ-ს საოლქო სასამართლოები.

**პოლიტიკური პარტიები**: დემოკრატიული პარტია; მწვანეთა პარტია; თავისუფლების პარტია; რესპუბლიკელთა პარტია.

**მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვევით**: 12 პროცენტი (2003 წლის მონაცემი).

**სამუშაო ძალა**: 141.8 მილიონი (იგულისხმება უმუშევრებიც).

**სამუშაო ძალა საქმიანობის მიხედვით**: სამენეჯერო, ტექნიკური, პროფესიული - 31 პროცენტი; ვაჭრობა და საოფისე - 28.9 პროცენტი; მომსახურება - 13.6 პროცენტი; საწარმო, მოპოვება, ხელოსნობა, ტრანსპორტი - 24.1 პროცენტი; მეტყევეობა, მეთევზეობა, მეფერმეობა - 2.4 პროცენტი.

**უმუშევრობის მაჩვენებელი**: 6.2 პროცენტი.

**ბიუჯეტი**: შემოსავლები - 1.946 ტრილიონი; გასავლები - 2.052 ტრილიონი (2002 წლის მაჩვენებელი).

**მრეწველობა**: წამყვანი ინდუსტრიული ძალა მსოფლიოში, უმაღლეს დონეზე განვითარებული, ტექნოლოგიურად დაწინაურებული და მრავალფეროვანი; ნავთობი; ფოლადი; მანქანათმშენებლობა; კოსმოსური და ავიადანადგარები; ტელეკომუნიკაციები; ქიმიური ნივთიერებები; ელექტრონიკა; საკვების გადამუშავება და სხვა.

**ტელესამაუწყებლო სადგურები**: 1500-ზე მეტი (მათგან ათასამდე უერთდება ხუთ უმსხვილეს ქსელს - NBC, ABC, CBS, FOX, PBS. პლუს მოქმედებს კაბელური სატელევიზიო სისტემა).

# "ხელოვნების ზეიმს" არაფერი ემუქრება

### ფესტივალის დაფინანსების ირგვლივ სკანდალი მხოლოდ გაუგებრობა ყოფილა

მადი სერებრიაკოვა

*"შეცდომას არ უშვებს ის, ვინც არაფერს აკეთებს" - განაცხადა ლიანა ისაკაძემ გუშინ, მას შემდეგ, რაც კულტურის სამინისტროსთან კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდა. ორივე მხარე, გუშინწინ ატეხილ სკანდალსა და მწვავე განცხადებებს მხოლოდ გაუგებრობას მიაწერს. ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალ "ხელოვნების ზეიმს" არაფერი ემუქრება. მხარეებს შორის კონსტრუქციული მოლაპარაკება რომ თავიდანვე გამართულიყო - მას ისედაც არაფერი დაემუქრებოდა.*



*ფესტივალი იარსებებს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი სახელმწიფოს სჭირდება.*

ბესო გულაშვილის ფოტო

გუშინდელი "შერიგება" ორი პრესკონფერენციით აღინიშნა. ერთი კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა და დამსახურებული მუსიკოსებისაგან შემდგარმა კომისიამ გამართა, რომელსაც მუსიკალური ხელოვნების განვითარების მიზნობრივი პროექტების ბიუჯეტის განაწილება ევალებოდა (სულ 200 ათასი ლარის). ერთი საათის დაგვიანებით კი პრესკონფერენცია ლიანა ისაკაძემაც გამართა.

გიორგი გაბაშვილმა ჟურნალისტები დაარწმუნა, რომ ფესტივალის გამართვას არაფერი აღარ უშლის ხელს, საჭირო 100 ათასი ლარი კერძო სპონსორის (ბორჯომის მინისა და მინერალური წყლების კომპანიის) დახმარებით უკვე მოძიებულია. მინისტრისა და სამინისტროს კომისიის წინააღმდეგ ლიანა ისაკაძის მიერ გამოთქმული ბრალდებების გასაქარწყლებლად კი გაბაშვილმა პრესკონფერენციაზე აღნიშნული კომისიის წევრებიც მოიწვია ძლიერ შთამბეჭდავი შემადგენლობით: მანანა დოიჯაშვილი, ოთარ ჩუბინიშვილი, თამარ გაბარაშვილი, მანანა ახმეტელი და სხვები. უპირველეს ყოვლისა, განხილვის ობიექტი სწორედ ის ავადსახსენებელი 100 ათასი გახდა, რომელიც "ხელოვნების ზეიმის" ორგანიზატორებს გარანტირებულად მიაჩნდათ. ამის საფუძველს მათ შარშან პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ გაცემული ბრძანებულება აძლევდათ. მოგვიანებით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ლიანა ისაკაძემ პრეზიდენტ სააკაშვილსაც სთხოვა მხარდაჭერა და მისგან ძალზედ თბილი წერილიც მიიღო.

გაუგებრობა კი იმაში მდგომარეობს, რომ შარშანდელს შემდეგ შეიცვალა არა მარტო კულტურის სამინისტროს მუსიკალური პროგრამებისთვის გამიზნული ბიუჯეტი, არამედ სამინასტროში ამ ბიუჯეტის პროექტებზე გადანაწილების სტრუქტურაც. ამიერიდან გარანტირებულ თანხებს აღარ გასცემენ. ყოველი ცალკეული პროექტი (მათ შორის "ხელოვნების ზეიმიც") ვალდებული იქნება მოთხოვნილი თანხის შესაბამისი კონკრეტული ბიუჯეტი წარუდგინოს სამინისტროს. მას სპეციალური კომისია განიხილავს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს დაფინანსებას. "ხელოვნების ზეიმის" ორგანიზატორებმა ეს ვერ გაითვალისწინეს. თუმცა, როგორც ისინი აცხადებენ, ვერც გაითვალისწინებდნენ, რადგან შევარდნაძის ბრძანებულების გაუქმების შესახებ მათთვის არავის უცნობებია, დეტალური ხარჯთაღრიცხვა კი სამინისტროს მათ მოთხოვნისთანავე 25 მაისს წარუდგინეს. ორივე მხარე ადასტურებს, რომ მანამდე წარმოებული სიტყვიერი მოლაპარაკებების დროს კონკრეტულ თანხაზე საუბარი არ იყო. კულტურის სამინისტრო ასეთ დიდ თანხას (ცხადია, საკუთარი ბიუჯეტის მასშტაბით) არ ელოდა. ბიუჯეტის კორექტირებისთვის არც ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ მზად, მით უმეტეს, ფესტივალის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.

სამინისტროს ძირითადი პრეტენზია მოწვეული მუსიკოსებისათვის გათვლილ ჰონორარებს ეხებოდა: **"რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ მუსიკოსს ჰონორარი უნდა გადავუხადოთ"** - აღნიშნავს სამინისტროს კომისიის წევრი მანანა დოიჯაშვილი - **"მაგრამ იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია, პირადი კონტაქტების საფუძველზე შეიძლება მათი უჰონორაროდ მოწვევაც. ამის მაგალითია კონსერვატორია. ჩვენ ყოველწლიურად ვმართავთ ფესტივალსაც და ისედაც ვიწვევთ მუდმივად მუსიკოსებს, მაგრამ არც ერთ მათგანს ჩვენგან ჰონორარი არ წაუღია."** არსებული პირობების გათვალისწინებით, მუსიკოსის უჰონორაროდ მოწვევას შესაძლებლად მიიჩნევს თავად ლიანა ისაკაძეც, რომელსაც საკმარისი კონტაქტები და ავტორიტეტი გააჩნია მუსიკალურ წრეებში, რათა საკუთარი მეგობრები, გამოჩენილი მუსიკოსები საქველმოქმედო კონცერტებზე დაითანხმოს, თუმცა - არა ფესტივალის დაწყებიდან ორი კვირით ადრე, როდესაც უკვე ყველაფერი დეტალურად შეთანხმებულია: **"მე რომ რამდენიმე თვით ადრე მცოდნოდა, რომ ჰონორარების თანხა სახელმწიფოს არ ჰქონდა, შევეცდებოდი გამოსავალი მომეძებნა, მაგრამ სირცხვილია მუსიკოსს ამ დროს უთხრა, რომ დაპირებულ ჰონორარს, ისედაც მინიმალურს, არ გადაუხდი".**

თავის პრესკონფერენციაზე ლიანა ისაკაძემაც არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ შუღლსა და დაპირისპირებას არავისთან აპირებს: **"როგორც ჩანს, ბევრი რამ გაუგებრობის ბრალი იყო. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ომები იწყება გაუგებრობის გამო. მე მუსიკოსი ვარ, ჩემს სამყაროში ვცხოვრობ, სადაც მუსიკის გარდა მხოლოდ ერთი რამ აღწევს - ეს არის ჩემი სიყვარული საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი."**

მართალია, წლევანდელი "ხელოვნების ზეიმის" ბედი გადაწყვეტილია, მაგრამ კვლავ ღიაა მომავალი ფესტივალების ბედი. გაბაშვილის განცხადებით, "ხელოვნების ზეიმი" იმ პრიორიტეტული ღონისძიებების რიცხვშია, რომელსაც კულტურის სამინისტრო ყოველთვის დაუჭერს მხარს, თუმცა ყველა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს სამინისტროს ფუნქციონირების ახალ სისტემას და ყოველი ღონისძიების დეტალური ბიუჯეტი წარადგინოს. შესაბამის დასკვნებს კი სპეციალური კომისია გამოიტანს, რომლის აბუჩად აგდების უფლება არავის ექნება: **"ჩემი აზრით,ბევრი დაუმსახურებელი, ბრალდება იყო ჩემი მისამართით,** - აღნიშნავს გაბაშვილი **- მაგრამ ვერავის მივცემთ უფლებას შეურაცხყოფა მიაყენოს მუსიკოსებს, კომისიის წევრებს, რომელთაც არანაკლები დამსახურება მიუძღვით ქართული კულტურის წინაშე. ლიანა ისაკაძე უდიდესი მუსიკოსი და პიროვნებაა, მას ზოგჯერ გაცხარების უფლებაც აქვს..."** გამოჩენილი მევიოლინეს მიერ გადადგომის შესახებ დაწერილ განცხადებას, გაბაშვილი გაცხარებად მიიჩნევს, მის დაკმაყოფილებას არ აპირებს და იმედოვნებს, რომ ისაკაძე კვლავ განაგრძობს სახელმწიფო კამერული ორკესტრის ხელმძღვანელობას.

თავის მხრივ, ლიანა ისაკაძე მხოლოდ იმ პირობით აპირებს ორკესტრში დარჩენას, თუკი ორკესტრის წევრებს ხელფასებს მოუმატებენ. თუმცა, მუშაობას ორკესტრთან ყველა შემთხვევაში განაგრძობს, რათა ეს უკანასკნელი 40 წლის იუბილესა და გერმანიაში დაგეგმილი გასტროლებისთვის მოამზადოს.

კონფლიქტი მოგვარდა. "ხელოვნების ზეიმი" წელს უსათუოდ გაიმართება. ამჯერად იგი "მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" გადაარჩინა და ისედაც საკმაოდ სოლიდურ დახმარებასთან ერთად, ჰონორარების გადახდაც საკუთარ თავზე აიღო. გარკვეულ დათმობებზე წავიდა "აირზენაც", რითაც მგზავრობის ხარჯები შეამცირა. კულტურის სამინისტრო წელს ფესტივალს 45 ათასი ლარით დაეხმარება. მომავალი ფესტივალების შესახებ კი ლიანა ისაკაძეს საუბარი თავად პრეზიდენტთან ექნება: **"ეს სახელმწიფო ფესტივალი უნდა იყოს. ეს არ არის კომერციული ღონისძიება. ამიტომაც არის ბილეთები ასე იაფი, ამიტომაც ტარდება იგი ბორჯომში და არა დედაქალაქში... ფესტივალი იარსებებს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი სახელმწიფოს სჭირდება."**



## აფიშა

### თეატრები

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**კინოთეატრები**
**"ამირანი"**
"სკუბი დუ 2"
დას: 13:00; 15:00 სთ.

"მაგარი გოგონები"
დას: 17:00; 20:00; 22:30 სთ.

**"რუსთაველი"**
"ადამიანი ობობა 2"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

### ცირკი

"ლიპუც-დისკო"
საბავშვო გასართობი წარმოდგენა
დას: 15:00 სთ.

### გამოფენები

**"ძველი გალერეა"**
გუგა კოტეტიშვილის ნამუშევართა გამოფენა

**"ქარვასლა"**
მამუკა ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ოთხშაბათს, 7 ივლისს**, 18 საათზე შედგება გია ლაფაურის წიგნის, "წიგნის მოგზაურობა ისტორიაში", პრეზენტაცია
***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

# თუ გსურთ ვენეციაში გასეირნება...



თეონა ჭაფარიძე

მამუკა ცეცხლაძე იტალიური შთაბეჭდილებებიდან ხმამაღლა მხოლოდ იტალიის პოლიციაზე ლაპარაკობს, რომელმაც, ზუსტად არ ვიცი, რომში თუ ნეაპოლში მოძრაობის წესების დარღვევის გამო დააკავა ქართველი და თან მხატვარი. მაგრამ, როგორც ჩანს, შთაბეჭდილება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ უკვე მრავალი წელია, მისი გრაფიკული ჩანახატებიდან დაწყებული, მასშტაბური ფერწერული ტილოებით დამთავრებული, ოსტატის ხელით შესრულებული ვენეციის, რომისა და ნეაპოლის პეიზაჟები გვიმზერენ.

ვინც ქართულ თანამედროვე მხატვრობის ისტორიაში მეტ-ნაკლებად ერკვევა, აუცილებლად იცნობს ამ ისტორიის ერთ პერიოდს და მხატვართა ერთ ჯგუფს: - "მე-10 სართულის" და "მარჯანიშვილის სახელოსნოს" სახელწოდებით ცნობილ პერიოდებს. და აუცილებლად ისიც ეცოდინება, რომ მამუკა ცეცხლაძე ამ პერიოდებისა და ამ ჯგუფის ლიდერი, ან შეიძლება ითქვას, ინიციატორი გახლდათ. ეს იყო ინდივიდუალური ხელწერისა და შეხედულებების მხატვართა ჯგუფი, რომელიც იმ ეტაპზე სწორედ კოლექტიური შემოქმედებით პროცესში, და არა ჩაკეტილ სახელოსნოში ხედავდა ნამდვილი ინდივიდუალური "მეს" განვითარების კონცეფციას. ჯგუფი, რა თქმა უნდა, დაიშალა, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, რომ "კოლექტიურობის" პერიოდმა არსებობა შეწყვიტა. მხატვრებმა უფრო ახალი ტექნოლოგიების ენას მიმართეს. მამუკა ცეცხლაძე უფრო ფერწერის ერთგული დარჩა. თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლაში) გუშინ გახსნილი მისი პერსონალური გამოფენა სწორედ ფერწერის დემონსტრაციაა.

**"ამას სულ მცირე 3 ათასი კვადრატული მეტრის ფართობი სჭირდება. ხომ ერთი მხატვრის გამოფენაა, მაგრამ არ გეგონოს, რომ ადვილია ექსპოზიციის აწყობა"** - მეუბნება **გალერისტი ლიკა მამაცაშვილი** და მამუკას მასშტაბურ ტილოებს წამდაუწუმ უცვლის ერთი კედლიდან მეორეზე ადგილს. უამრავი გრაფიკა და უფრო მომცრო ფერწერები კი რიგში დგას.

**"მუზეუმი უნდა გავაკეთოთ"** - ამბობს თავად მხატვარი. მუზეუმში, რა თქმა უნდა, სწორედ ის სამუზეუმო ესთეტიკა იგულისხმება, რომელიც დაახლოებით რენესანსის ავტორების დარაზებში გვხვდებათ დაცული. ოქროსფერ მოვარაყებულ ჩარჩოებში რომისა თუ ნეაპოლის ხედები და გოთური არქიტექტურის ბარელიეფები, ან მისი დეტელები, ერთი შეხედვით, მართლაც ძველი ოსტატების ასოციაციას ქმნის. ექსპოზიცია ერთი დღით ადრე მომზადდა.

გუშინ კი თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი დამთვალიერებლით აივსო. ისინი ავტორიტეტული და აღიარებული ფერმწერის ნამუშევრების სანახავად მოვიდნენ. "ექსპოზიციას" "ვენეცია" ჰქვია - არ ვიცი, იტალიის პოლიციისა თუ პეიზაჟების წყალობით (ეს ხუმრობით რა საკვირველია). საგამოფენო სეზონი კი ნელ-ნელა კვდება. თბილისის ისტორიის მუზეუმის დანარჩენი დარბაზები, ალბათ, კიდევ ორ გამოფენას უმასპინძლებს. მამუკა ცეცხლაძე კი თავის **"ვენეციას"** სექტრემბრამდე **"არ გაიტანს"** "ქარვასლიდან". ვენეციის პეიზაჟიანი აფიშა გვამცნობს, რომ გამოფენა სექტემბრამდე გაგრძელდება.

# მას ყველგან კითხულობენ - მეტროშიც და ლიმუზინშიც

### ბორის აკუნინი ქართულად ითარგმნა

თამარ სუხიშვილი

*"ვინც ამ წიგნის კითხვას შეუდგება, წინასწარ უნდა დაივიწყოს, რომ საქმე აქვს გასაკეთებელი, ტელევიზორზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დასაძინებლად კი ზუსტად იმდენ ხანს ვერ წავა, რამდენიც ამ დეტექტივის ბოლომდე წაკითხვას დასჭირდება. აკუნინის წიგნი ცოცხალი მაგალითია იმისა, რომ არ არსებობს მაღალი და დაბალი ჟანრები, არამედ მხოლოდ კარგი და ცუდი ლიტერატურა," - მკითხველთა დიდი ნაწილი წიგნის კითხვას ბოლოდან იწყებს ხოლმე, ამ ამონაწერსაც ახალი წიგნის გარეკანზე, უკანა მხარეს ამოიკითხავს და მხოლოდ ამის მერე ჩაუჯდება კონსპიროლოგიურ დეტექტივს - ერასტ პეტროვიჩ ფანდორინის პირველ საქმეს.*



*აკუნინის პირველი ქართველი მთარგმნელი მიხო მოსულიშვილი და პრეზენტაციის მასპინძელი ბესო ხვედელიძე.*

ვახო ბესელიას ფოტო

გუშინ კაფე "პარნასში" პარნასული პარასკეობების მასპინძელმა ბესო ხვედელიძემ ახალი თარგმანი წარმოგვიდგინა. "აზაზელი" ბორის აკუნინის პირველი ნაწარმოებია, რომელიც ქართულად ითარგმნა. თარგმანი მწერალ მიხო მოსულიშვილს ეკუთვნის. წიგნი გამომცემლობა "არეტემ" გამოსცა. რედაქტორია მათე კრავეიშვილი (ეს მალხაზ ხარბედიას ფსევდონიმი გახლავთ, როგორც ჩანს, აკუნინის მიბაძვით), მხატვარი - მამუკა ტყეშელაშვილი.

**ბორის აკუნინი**, იგივე გრიგორი ჩხარტიშვილი 1956 წელს დაიბადა საქართველოში. ცხოვრობს მოსკოვში. არის იაპონური კულტურისა და ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, მთარგმნელი, ავტორი იაპონური ლიტერატურის ანთოლოგიისა (20 ტომად)... 1998 წლიდან წერს მხატვრულ პროზას, ფსევდონიმით ბორის აკუნინი. "ქვეყანა აკუნინით მოჯადოებულია, - წერს რუსული კრიტიკა, - დიასახლისები და პენსიონერები, ბიზნეს-ქალბატონები და არაფორმალები, მეტროში, მატარებლებსა და ლიმუზინებში - ყველა და ყველგან კითხულობს მის დეტექტივებს. იაპონური კულტურის სერიოზული მკვლევარი გრიგორი ჩხარტიშვილი თავის შემოქმედებას "ლიტერატურულ და საქმიან პროექტს" უწოდებს."

ამ "ლიტერატურულ და საქმიან პროექტზე" აკუნინი (თუ მის ნათქვამს დავუჯერებთ) ბევრს არ მუშაობს. ზარმაცი ვარ, ბევრი მუშაობა არ შემიძლიაო, - ამბობს, და იქვე განმარტავს, რომ მისი მუშაობის დღიური გეგმა 2-3 საათია, "ამის მერე ჩემს ტვინში ბატარეა ჯდება ხოლმე". ხოლო როდესაც ჟურნალისტებს აინტერესებთ, თუ როგორ მუშაობს ბორის აკუნინი, ასეთი პასუხი აქვს გამზადებული: "შთაგონება, ისევე როგორც შემოქმედებითი გასხივოსნება, ჩემთვის არ არსებობს. არის გეგმა, მოქმედ პერსონაჟთა სია და მათი ისტორიები. მერე კი უკვე მზა ტექსტს ვწერ. მე ყოველთვის მაქვს ნაწარმოების მკაცრი ჩონჩხი; ეს, ერთი მხრივ, აჩქარებს და უფრო რაციონალურს ხდის მუშაობის პროცესს, მეორე მხრივ კი, "ფიტავს" მას. და როცა მოგინდება, რომ გვერდზე გადაუხვიო, რომანის მთელი ნაგებობა ირყევა და ნგრევას იწყებს... ჩემი გმირების ბედი მაწუხებს. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ პერსონაჟს კი არ ვიგონებ, არამედ ის თვითონ მიამბობს თავის თავზე; მე კი დიდი ყურადღებით ვუსმენ. ზოგჯერ ვჩქარობ, წინ გავრბივარ, ვიწყებ წერას და ვხვდები, რომ კარგად ვერ გავიგე მონათხრობი. მაშინ უკან ვბრუნდები. ზოგჯერ მოთმინება არ მყოფნის და იმ სიჩქარეს, რაც, სამწუხაროდ, ჩემთვის დამახასიათებელია, იქამდე მივყავარ, რომ ჩემს რომანებში ზოგჯერ უზუსტობასაც იპოვის კაცი. ეს ის შემთხვევაა, როცა მთლად კარგად ვერ გავიგე, რა მიამბო ამა თუ იმ პერსონაჟმა..."

გუშინდელ საღამოზე "პარნასის" სტუმრები და მასპინძლები კარგა ხანს ლაპარაკობდნენ აკუნინის შემოქმედებაზე და მის ქართულ თარგმანზე. თარგმანზე საუბრისას პირველ რიგში აღნიშნავდნენ მთარგმნელის ოსტატობას, რომელმაც მოახერხა მწერლის ენობრივ შრეებში შეჭრა და მათი ქართულად გადმოთარგმანება.

თავად მთარგმნელმა კი გვიამბო, თუ როგორ გაიცნო ბორის აკუნინი. ეს იყო ჯერ კიდევ 1987 წელს. მიხო მოსულიშვილი, რომელმაც აკუტაგავას თარგმნა გადაწყვიტა, თურმე "ინოსტრანნაია ლიტერატურას" რედაქციას დაჰკავშირებია. იქიდან მიუღია ვრცელი მონოგრაფია იაპონელი მწერლის შესახებ და წერილი, ვინმე გ. ჩხარტიშვილის ხელმოწერით... გავიდა რამდენიმე წელი. მიხო მოსულიშვილს ისევ ჰქონდა მიმოწერა ინტერნეტით, ამჯერად უკვე ბორის აკუნინთან. თავიდან ის სხვა რომანის თარგმნას აპირებდა, მაგრამ მერე თვითონ მწერალს ურჩევია, "აზაზელით" დავიწყოთო. ჰოდა, ქართველმა მთარგმნელმაც აკუნინის თარგმნა "აზაზელით" დაიწყო.

ერთადერთი, რაზეც გამომცემლებს გული დასწყდათ, ის იყო, რომ აკუნინთან ინტერვიუ ვერ მოხერხდა (უფრო სწორად, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა). ბოლო რომანის დასრულებისა და ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ აკუნინმა თურმე, ცოტა არ იყოს, შორს დაიჭირა თავი მასმედიისგან.

დაბოლოს, საზაფხულო რჩევები მთარგმნელისაგან. ახლა ზაფხული მოდის, არ დაიზაროთ და როცა დასასვენებლად წახვალთ, ეს წიგნიც გააყოლეთ ხელს, არ შეგაწუხებთ, მძიმე არაა; რა უნდა გააკეთოთ, როცა ზღვიდან ამოხვალთ, ან როცა ხის ჩრდილში წამოწვებით? - წაიკითხეთ.

"მე ბელეტრისტი ვარ," - ამბობს აკუნინი ერთ-ერთ ინტერვიუში, და იქვე განმარტავს, თუ რა განსხვავებაა მწერალსა და ბელეტრისტს შორის: "მწერალი თავისთვის წერს, ბელეტრისტი კი - მკითხველისთვის." მაშ, წაიკითხეთ.

# ცხოვრება, როგორც სიყვარულის ძებნა

## მარლონ ბრანდო - პარადოქსი და მეოცე საუკუნის ლეგენდა

*ცნობა მარლონ ბრანდოს გარდაცვალების შესახებ გუშინ ერთბაშად მოედო მსოფლიო საინფორმაციო ქსელს. "ფოქს ნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ოჯახის მეგობარმა განაცხადა, რომ მსახიობი ხუთშაბათ საღამოს ლოს ანჯელესის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა. თუმცა, მან არ დაასახელა სიკვდილის მიზეზი. ამის შესახებ ჟურნალისტებთან არც ბრანდოს ადვოკატს დევიდ სილის უსაუბრია. მარლონ ბრანდო 80 წლის იყო.*



1953 წ. "გარეული"

"მსახიობობა ყველაზე ნაკლებად იდუმალი და საინტერესო ხელობაა. როდესაც ვილაცისგან რაღაც გვჭირდება, როცა რაღაცას ვმალავთ, ან ვინმეს თავს ვაჩვენებთ, ყველანი ვთამაშობთ. ადამიანთა უმრავლესობა მთელი დღის განმავლობაში მსახიობობს" - ეს ერთ-ერთი იმ ციტატათაგანია, რომლებშიც მარლონ ბრანდო თავის პროფესიას აბუჩად იგდებს. ასეთივე შინაარსის და მეტ-ნაკლები სიმწვავით გამორჩეული ფრაზების მოძიება ბრანდოს კარიერიდან კიდევ მრავლად შეიძლება.

არის ასეთი ციტატაც: "მსახიობობა ცარიელი და გამოუსადეგარი პროფესიაა". ანდა: "კინოსტუდიამ ოთახების დაგვაშიც იგივე ოდენობის ჰონორარი რომ შემომთავაზოს, ცოცხს მოვკიდებდი ხელს... ვის ადარდებს აპლოდისმენტები? რა საჭიროა აპლოდისმენტები იმისთვის, რომ საკუთარ თავზე წარმოდგენა აიმაღლო?".

ოდნავ პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ კაცი, რომელიც ასე ალმაცერად უყურებდა საკუთარ პროფესიას, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი და თაობების კერპი გახდა.

"მარლონ ბრანდო იყო მეამბოხე ჯადოქარი, რომელმაც დააელექტროვა მთელი თაობა და სამუდამოდ გარდაქმნა კინემატოგრაფის ხელოვნება", - წერდა გუშინ "ნიუ იორკ ტაიმსი".

"ბრანდოს კინემატოგრაფზე იგივე ეფექტი ჰქონდა, რასაც ორგანიზმში ახალი სისხლის გადასხმა იწვევს ხოლმე", - ამტკიცებდა სხვა კრიტიკოსი.

"თითქმის ყველა კარგი მსახიობი, რომელიც მარლონ ბრანდოს შემდეგ, ბოლო 50 წლის განმავლობაში მოვიდა კინოში, ჰბაძავდა მას. პოლ ნიუმენიდან უორენ ბიტიმდე, რობერტ დე ნიროდან ლეონარდო დი კაპრიომდე - მარლონ ბრანდოს გამოძახილი თითოეულ მათგანში იგრძნობოდა. ასეც კი შეიძლება დავყოთ დრო კინემატოგრაფში: ბრანდომდე და ბრანდოს შემდეგ - ეს ეპოქები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც პლანეტები", - ასკვნიდა კიდევ სხვა.



ფილმიდან "ტრამვაი სახელად სურვილი". მარლონ ბრანდო სტენლი კოვალსკის როლში.

ერთი სიტყვით, გუშინ თავზარდაცემული მსოფლიო კერპის გარდაცვალების შესახებ ცნობას თან ინელებდა და თან ვერც იჯერებდა ახალ ამბავს. მოულოდნელობის განცდით იყო გაჟღენთილი თითოეული საგაზეთო პუბლიკაცია, რომელიც ცნობილმა გამოცემებმა გასული საუკუნის უდიდეს მსახიობს მიუძღვნეს. ჟურნალისტები ცდილობდნენ, ამოეხსნათ ბრანდოს გაკერპების, მისი ლეგენდის შექმნის საიდუმლო; ლეგენდის, რომელსაც აქტუალობა და ქარიზმა არც მას შემდეგ დაუკარგავს, რაც ბრანდომ ტაიტის ერთ-ერთი კუნძული იყიდა, იქ გადასახლდა, საშინლად გასუქდა და ისედაც მიუღებელ ჰოლივუდურ საზოგადოებას, კიდევ უფრო გაუგარეულდა.

თუმცა, შოკისა და ბრანდოს ბიოგრაფიიდან ახალი სიმძლავრით წამოტივტივებული, ღიად დარჩენილი საკითხების მიუხედავად, რეალობა არ შეცვლილა - გუშინაც და გუშინწინაც კითხვაზე, თუ როგორ შეიქმნა მარლონ ბრანდოს ლეგენდა, კინოკრიტიკოსებს ერთადერთი პასუხი ჰქონდათ:

მიზეზი ბრანდოს თანდაყოლილი სამსახიობო ნიჭი იყო (ამბობდნენ, რომ "არ არსებობდა არც ერთი ადამიანური მდგომარეობა, რომელიც ბრანდოსთვის სისხლხორცეული არ ყოფილიყო"), და ასევე მისი უნიკალური იმიჯი. ბრანდო ხომ ელიტარულ წვეულებებზეც მოტკეცილ ლურჯ ჯინსსა და დახეულ მაისურში გამოცხადდებოდა ხოლმე, აბუჩად იგდებდა ჭორიკანა ჟურნალისტებს, აშკარად აფიქსირებდა სიმპათიას შავკანიანი ქალების მიმართ, ვერ იტანდა ჰოლივუდს და ძირძველი ამერიკელების - ინდიელების თანაგრძნობის მიზნით, უარს ამბობდა "ოსკარზე". ოფლისგან სახეაპრიალებული, დიდკუნთებიანი, მუდამ გამჭოლი ღიმილით, უხეში, ველური და, ამავე დროს, სექსუალური და ლამაზი - საოცარ მამაკაცურობას აფრქვევდა.

ასე რომ, შევთანხმდეთ, სწორედ ბრანდო იდგა 50-იანური, ტყავის ქურთუკში "გამოწყობილი" მამაკაცობის სათავეებთან. ამიტომაც ჟურნალი Atlantic Monthly 1966 წელს წერდა: "ბრანდო თავისი ქცევით გამოხატავდა პროტესტს იმ უსაფრთხოების მანიის წინააღმდეგ, რაზეც ომის შემდგომ პერიოდში მთელი ამერიკა ჩაიციკლა. ბრანდო გახლდათ 50-იანი წლების მთავარი მოქმედი გმირი, რომელიც არ ცნობდა კანონებს და ენდობოდა მხოლოდ ინსტინქტებს. ის განგსტერული, კანონგარეშე რეალობის გაგრძელება გახლდათ".

თუმცა, ეს გარეიმიჯი მარლონ ბრანდოს მითის შექმნის მხოლოდ ერთი მიზეზია. მეორე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მისი თანდაყოლილი არტისტიზმი, ან უფრო მარტივად, ადამიანობა გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი დასცინოდა კინოს და მსახიობობას ზოგადად, ის მაინც უდიდესი პასუხისმგებლობით უდგებოდა თითოეულ როლს. თავისი პირველი კინოგმირის შექმნისთვის ("კაცები", 1950 წ.) მარლონ ბრანდომ რამდენიმე კვირა გაატარა კლინიკაში - გარემოს რომ შეჩვეოდა.

მეტიც, კაცისთვის, რომელიც ასე აშკარად დასცინოდა თავის პროფესიას, მაინც საოცარი მჭერმეტყველებით და სერიოზულობით მსჯელობდა ამ თემაზე: "მსხვილი პლანი ყველაზე მრავლისმთქმელია... მსხვილი პლანის დროს პუბლიკასთან მსახიობს სანტიმეტრებიღა აშორებს და უკვე მთელი მისი სახე გარდაიქმნება სცენად".

მარლონ ბრანდოზე გუშინ ძალიან ბევრს წერდნენ. კინოკრიტიკოსები მხოლოდ მისი როლების განხილვას ვერ აუდიოდნენ ("ტრამვაი სახელად სურვილი", "ნათლიმამა", "გარეული", "უკანასკნელი ტანგო პარიზში"...), ყვითელი პრესა კი - მისი ბობოქარი ბიოგრაფიული ეპიზოდების გახსენებას (ნახევარდის შეყვარებულის მკვლელობაში ბრალდებული შვილის, კრისტიან ბრანდოს სასამართლო პროცესი, 25 წლის ქალიშვილის თვითმკვლელობა, უამრავი ცოლი, საყვარელი და 11 შვილი).

თავად ბრანდო კი საკუთარ ცხოვრებას ასეთ რეზიუმეს უკეთებდა: "ჩემი ისტორია, ალბათ, სიყვარულის ძებნა უფროა. თუმცა, პარალელურად, მე მუდამ ვეძებდი ხსნის გზას; გზას, რომელიც ადრეულ ასაკშივე მიღებულ ჭრილობებს დამავიწყებდა; გზას, რომელიც დამეხმარებოდა, განმესაზღვრა ჩემი ვალი (თუ ასეთი მქონდა) საკუთარი თავისა და საკუთარი მოდგმის წინაშე". როგორც ახლა ვრწმუნდებით, მარლონ ბრანდო - ეს მართლაც ერთი ჩვეულებრივი ადამიანური ისტორიაა, უკიდურესობების ზღვარზე მოსიარულე ადამიანის შესახებ.

# მინანქრად ქცეული ძველი თბილისი

თამარ ამაშუკელი

*იმ დღეს ძალიან ცხელოდა. ვიღაცის თუ რაღაცის ძიებაში შარდენის ქუჩას შევუყევი. ეს ერთი იმ ქუჩათაგანია, სადაც ყოველთვის ახალს ელი. ამ პატარა ქუჩაზე უამრავ გალერეას და სახელოსნოს მოუყრია თავი. თითქმის შეუმჩნეველია, სად მთავრდება ქუჩა და სად იწყება გალერეა. ქუჩა თითქოს ერთ დიდ გალერეად ქცეულა და ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში ჩამდგარა.*

მინანქრის ხელოვნებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. მინანქრული ხელოვნების ადრეული ნიმუშები, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება, VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრეული მინანქრის ძეგლები მთელ მსოფლიოში ძალიან ცოტაა შემორჩენილი, ქართული მასალა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამ ძეგლებს გულისხმობენ სპეციალისტები, როცა მიუთითებენ, რომ "მინანქრული ხელოვნების ანთროპომორფული ძეგლების პირველი მაგალითები საქართველოში გვხვდება". მუზეუმში დაცული ქართული მინანქრის უდიდესი ნაწილი X, XII და XIII საუკუნის ძეგლებია. სწორედ ამ პერიოდში ქართული მინანქრული ხელოვნება განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის. ქართული მინანქრის ძეგლები, რომელიც მრავალფეროვნებით, სინატიფითა და დახვეწილი ტექნიკით გამოირჩევა, მსოფლიო კულტურის საგანძურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კოლექციადაა აღიარებული.



ზაზა ლოდიას "ცოლი".

შუშის ვიტრინებში მოქცეული მინანქრის ნივთები ჩემს ყურადღებას იქცევს და გავარვარებულ თბილისს გალერეა "შარდენში" ვაფარებ თავს. იქ კი, სულ რაღაც 18-20 კვადრატულ მეტრზე ვაგრძელებ სეირნობას საოცრად ნატიფი, დახვეწილი ნივთების სამყაროში, სადაც თვალი სულ სადღაც გამირბის და ვერაფრით ვახერხებ ყურადღების კონცეტრაციას. მინანქრის მედალიონიდან დიდთვალება თამარი შემომცქერის და XII საუკუნეში გადავყავარ. წმინდა გიორგის ხატი კი ბავშვის ნახატს ჰგავს, საოცრად მარტივი და ამით თითქოს ამაღლებული. ვიღაცას მოდილიანის ტილოებიდან შიშველი ნატურები "მოუპარავს" და მინანქრად უქცევია. რაინდი კი თასად გადაქცეულა, ბარსელონას გამოფენაზე მაყურებელი გადაურევია და სიმპათიის პრიზიც მოუტაცია. მინანქრად ქცეული ძველი თბილისი ვერცხლის ბადეში გაბმულა და ყელზე ჩამოსაკიდებლად გამზადებულა. აქ ყველაფერი უძველესი ტრადიციებიდან მოდის და თანამედროვეობასთან ერთად საოცარ ტანდემს ქმნის, რომლის შემყურეს გეამაყება, რომ შენ იმ ქვეყნის შვილი ხარ, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე დიდი მინანქრის ძეგლი - ხახულის კარედი შექმნა; ქვეყნის, სადაც ძველს არავინ ივიწყებს, ახალი კი ისეთივე მშვენიერია, როგორიც საამაყო ძველი და ეს მაშინ, როცა ქვეყნის ბიუჯეტი ერთი ამერიკული შტატის ბიუჯეტს არ აღემატება და ისიც არ სრულდება.

XV საუკუნიდან ჩვენი ნაქები და საამაყო მინანქრის ტექნოლოგია თითქოს სადღაც გაქრა. შემდეგ მთელი ხუთი საუკუნე სიცარიელეა. XX საუკუნის 50-იანებში მინანქრის ტექნოლოგია ისევ აღმოუჩენიათ, მაგრამ მაშინ მას ისეთი პოპულარობა ვერ მოუპოვებია, როგორც 90-იან წლებში, თუმცა მას შემდეგ ის არსად დაკარგულა და მასზე მუშაობას ყოველთვის აგრძელებენ ცალკეული ავტორები.

გალერეა "შარდენი" ერთ-ერთი პირველი კერძო გალერეაა საქართველოში. მისმა დამფუძნებლებმა 1998 წლის მერე ნელა-ნელა, ტიხარ-ტიხარ თუ გამოფენა-გამოფენა იმას მიაღწიეს, რომ დღეს მინანქარი ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დარგია საქართველოში. მათ მოახერხეს მიექციათ საზოგადოების ყურადღება, საზღვარგარეთ გაეტანათ და ეჩვენებინათ ის, რაც იქმნება აქ და რაც არა მარტო ჩვენი, არამედ მსოფლიო კულტურის მონაპოვარია. მათ დააინტერესეს მნახველი იქაც და აქაც. მათ ვიღაცას მისცეს სტიმული, დაინტერესებულიყო მინანქრით და მასში ეპოვნა საკუთარი თავი. მათ შეძლეს, პოპულარული გაეხადათ ხელოვნების ის დარგი, რომელსაც მხოლოდ მუზეუმიდან ვიცნობდით. მერე მინანქარი თითქოს მუზეუმს გამოექცა და ჩვენს ყოფაში შემოიჭრა. ახლა კი მინანქრის საყურითა თუ ბეჭდით მეც ვიწონებ თავს და შენც. თუმცა, მაშინ როცა გალერეა "შარდენში" თუ სხვაგან მინანქრის ნივთს შეიძენ, მას თითქოს მთელი ჩვენი ისტორია, წარსული, უდიდესი ტრადიცია და ცოტა მისტიკაც სდევს თან.

მინანქრის ტექნიკა და მისი ვიზუალური მხარე, როგორც ჩანს, ძალიან ახლოა ქართულ მენტალიტეტთან. იქ ხომ პატარა მონაკვეთზე, პატარა ტიხრების, ათასი ფერის მეშვეობით შეგიძლია შექმნა ყველაფერი, რასაც კი ადამიანის ფანტაზია გასწვდება. საქართველოში მინანქარი რაღაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ხელოვნების ერთ-ერთი დარგი. მასში ყოველთვის ახორციელებდნენ და ახორციელებენ უზარმაზარ იდეებს, აზრებს, ვეებერთელა სამყაროს და მასზე უფრო დიდ რელიგიას. ჩვენ ხომ ასეთი ერი ვართ, ჩვენ ხომ პატარაში ყოველთვის დიდს ვგულისხმობთ, მარტივსა და პრიმიტიულში კი საოცრად რთულს. ჩვენ ხომ "ჩავუხტეთ მუხრან ბატონში" მთელი ფილოსოფია გვაქვს ჩადებული.

გალერეადან ისევ გავარვარებულ თბილისს ვუბრუნდები და შარდენის ქუჩას მივუყვები. გალერეაში ნანახი თითქოს სახლების სახურავებს, აივნებსა და მათზე გადმოკიდებულ ხალიჩებში მეორდება და ყველაფერი იკარგება თბილისის ხედებსა და ხმაურში. აქ, სადაც ევროპა და აზია ერთმანეთს ხვდება და საოცარ, განუმეორებელ სინთეზს ქმნის. შემდეგ ეს სინთეზი ჩვენს ტრადიციებს, ყოფასა და ხელოვნებაში იჭრება და ზუსტად ეს განუმეორებლობა თუ კოლორიტი მიგვაკუთვნებს აზიასაც და ევროპასაც.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ნესტან კვინიკაძე | "ასპასპანის ბულბულები" | "არეტე" | 35.2 |
| ალენ კარი | [illegible] | [illegible] | 7.6 |
| გ. მაღლაკელიძე | [illegible] | | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 2 |
| პაოლო კოელიო | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 2 |
| [illegible] | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 1.6 |
| ნოდარ დუმბაძე | "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" | "საარი" | 1.6 |
| პაოლო კოელიო | "ალქიმიკოსი" | | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |

### კვირის საუკეთესო სიმღერების ათეული ზრდასრულთათვის ჟურნალ "ბი ლბორდის" მიხედვით




| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
|---|---|---|---|
| მარტინა მაკბრაიდი | This One's For The Girls | 1 | 24 კვირა |
| "ფაივ ფორ ფაითინგი" | 100 Years | 2 | 28 კვირა |
| დაიდო | White Flag | 4 | 44 კვირა |
| სილი | Love's Divine | 3 | 22 კვირა |
| შერილ ქროუ | The First Cut Is The Deepest | 5 | 39 კვირა |
| მაიკლ მაკდონალდი | Ain't No Mountain High Enough | 6 | 36 კვირა |
| ლაიონელ რიჩი | Just For You | 9 | 17 კვირა |
| ჯოშ გროუბანი | You Raise Me Up | 10 | 37 კვირა |
| "ტრეინი" | Calling All Angels | 7 | 52 კვირა |
| ანკლ კრაკერი და დობი გრეი | Drift Away | 8 | 69 კვირა |




### ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "ფარენჰაიტი 9/11" | მაიკლ მური | მაიკლ მური, ჯორჯ ბუში (არქივის კადრები) | 23,920,637 | 24,078,959 |
| "თეთრი გოგონები" | კინენ აივორი უეიანსი | [illegible] | 19,676,748 | 27,180,139 |
| "დოჯბოლი: ნამდვილი ამბავი" | როუსონ თურბერი | [illegible] | 18,787,419 | 67,408,145 |
| "დღიური" | ნიკ კასავეტესი | ჯეიმს გარნერი, ჯინა როულენდსი | 13,464,745 | 13,464,745 |
| "ტერმინალი" | სტივენ სპილბერგი | ტომ ჰენქსი, კეტრინ ზეტა ჯონსი, სტენლი ტუჩი, დიეგო ლუნა | 13,135,148 | 41,040,124 |
| "ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე" | ალფონსო კუარონი | [illegible] | 11,247,412 | 211,537,548 |
| "შრეკი-2" | ენდრიუ ადამსონი | [illegible] | 10,216,482 | 396,782,533 |
| "გარფილდი" | პიტერ ჰიუიტი | [illegible] | 7,526,987 | 56,297,265 |
| "ორი ძმა" | ჟან-ჟაკ ანო | [illegible] | 6,144,168 | 6,144,168 |
| "სტეპფორდელი ცოლები" | ფრენკ ოზი | [illegible] | 5,056,343 | 48,861,783 |



ჩოგბურთი

# მე - გაძლება, ბოსებს - ტვინი



წვიმს "უიმბლდონზე", მთელი თვეა წვიმს.

სანდრო ნავერიანი

ვიღაცამ ინგლისს ნისლიანი ალბიონი დაარქვა, მაგრამ დღეიდან მას ახალი სახელი ერქმევა: წვიმიანი ალბიონი. ამ სახელის ავტორი მე გახლავართ.

საშინელებაა ამდენი წვიმა. როგორ შეიძლება, მთელი დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდეს? ეს უკვე მეტისმეტია. ოთხ საათზე დავჯექი ტელევიზორთან, ფედერერისა და გროსჟანის დაპირისპირებას ვუყურებ-მეთქი. აგერ უკვე ცხრის ნახევარია და წვიმის გამო შეწყვეტილი მატჩი ჯერაც არ დაწყებულა. როდემდე ველოდო, აღარ ვიცი. რომ არ გადაიღოს, მაშინ რა ვქნა? და, საერთოდ, რამდენიმე დღე გადაუღებლად რომ იწვიმოს... აი, მე მგონი, უკვე გამოდიან. კი, ნამდვილად გამოვიდნენ, მაგრამ ეს მეოთხე გამოსვლაა და ყველაფერი ისევ ისე არ დამთავრდეს, როგორც წინა სამი გამოსვლის შემდეგ.

ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა და მატჩი გრძელდება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველი სეტი ოთხსაათნახევარს გაგრძელდა და ფედერერის გამარჯვებით დასრულდა.

მეორე სეტი ფრანგი ჩოგბურთელის მოწოდებით დაიწყო და გეიმი მოიგო კიდეც. თავის მხრივ ფედერერმაც გამოიყენა თავისი მოწოდება. ექვსი გეიმი ასე გაგრძელდა, ჩოგბურთელები თავიანთ მოწოდებებს ასი პროცენტით იყენებდნენ, თუმცა, მეშვიდე გეიმი, გროჟანის მოწოდებაზე ფედერერმა აიღო, რითიც საკმაოდ სოლიდური ფორა მოიპოვა. ამის შემდეგ შვეიცარიელს არ გასჭირვებია მეორე სეტის თავის სასარგებლოდ დასრულება და ანგარიშით 6:3 მოიგო.

ყოველთვის ძალიან რთულია შეწყვეტილი შეხვედრის შემდეგ ისევ იმ ფსიქოლოგიური კონდიციების აღდგენა რაც მატჩის დაწყების წინ გქონდა. როგორც მოგახსენეთ, კონკრეტული შეხვედრა სამჯერ შეწყდა, რამაც ორივე ჩოგბურთელზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა. გროჟანი წინასამატჩო პრესკონფერენციაზე აცხადებდა, რომ ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი ფედერერთან შეხვედრის წინ და, რომ მას შესწევს ძალა შვეიცარიელი დაამარცხოს. ფედერერს კი არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია გარდა ერთისა-სებასტიანი ძალიან ძლიერი ჩოგბურთელია, ვფიქრობ, მას შეუძლია ნებისმიერი ჩოგბურთელის დამარცხება, თუმცა, მე ყველანაირად შევეცდები ხელი შევუშალო მას მიზნის მიღწევაში.

დაიწყო მესამე სეტი, ჩოგბურთელებმა ითამაშეს შვიდი გეიმი და... რა და? რა და ისევ ის წვიმა დაიწყო მაგის დედაც...

ვფიქრობ ამ შეხვედრას დასრულება არ უწერია, მე კი ღამის გათევას არ ვაპირებ არც ფედერერის, არც გროჟანის და არც მეორე ნახევარფინალური წყვილის მონაწილე ენდი როდიკის და მარიო ანჩიჩის გულისთვის, ისედაც მეყოფა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მატჩების ყურების დროს გათენებული ღამეები.

ღმერთმა ხელი მოუმართოს "უიმბლდონის" ნახევარფინალისტებს, მე კი წავალ ახლა სახლში და ისე დავიძინებ, ისე, ისე, რომ აღარც "უიმბლდონი" მეხსომება და საერთოდ არაფერი, ხვალ კი ვნახავ თუ ისევ იგივე მატჩებზე მომიწევს წერა დიდი სიამოვნებით მოგაწვდით უახლეს ინფორმაციას თუ არა და რამეს მოვიფიქრებ.

ფედერერი-გროჟანი 6:2, 6:3, 4:3 (წვიმის გამო შეწყდა)

როდიკი-ანჩიჩი 6:4, 4:3 (წვიმის გამო შეწყდა)

P.S. მე- გაძლება, "უიმბლდონის" ბოსებს-ტვინი, იმისათვის, რომ მომავალი წლისთვის მაინც გადახურონ კორტები და მილიონობით გულშემატკივარს ნერვები არ დააწყვიტონ.

ფეხბურთი

# ზღაპარი გრძელდება

## ოტო რეჰაგელი ფინალისთვის ემზადება

*ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე საბერძნეთის ნაკრები ლამის ყველაზე უიმედო აუტსაიდერად მონათლეს. ტურნირის პირველ მატჩში ამ გუნდის მიერ მასპინძელი პორტუგალიის დამარცხება დიდ სენსაციას, ხოლო ზოგიერთისთვის თანამედროვე ფეხბურთზე ტოტალიზატორის უდიდესი ზეგავლენის კიდევ ერთ გამოვლინებას ნიშნავდა. ასეა თუ ისე, საბერძნეთი ჯგუფიდან გავიდა და მეოთხედფინალში ევროპის ახლანდელი ჩემპიონი საფრანგეთი დაამარცხა. სენსაცია! შემდეგ კი ბერძნებმა ჩეხეთი გაისტუმრეს შინ.*
*ოტო რეჰაგელის, უფრო სწორად, "ოტო რეჰაკლესის" გუნდი ფინალშია და ხვალ მეორედ შეხვდება მასპინძელ პორტუგალიას. კარგა ხანია, რაც რეჰაგელი და მისი ბიჭები საბერძნეთის ეროვნულ გმირებად შერაცხეს, თუმცა, ისინი უკვე ევროპის ჩემპიონობაზე ფიქრობენ.*
*ოტო რეჰაგელი ფინალისთვის ემზადება და სრულიად არ ახსოვს მშობლიური გერმანია, ხოლო რაც შეეხება კითხვას საკუთარი ეროვნული ნაკრების შესაძლო მწვრთნელობის შესახებ, მან არც კი უპასუხა.*



"მეფე ოტო" თავის ქვეშევრდომებს ემადლიერება.

**- საბერძნეთის ნაკრებთან ერთად თქვენ ევროპის ჩემპიონატის ფინალში გააღწიეთ. როგორ შეაფასებთ ამ წარმატებას?**

- მე ჯერ კიდევ გასახდელში ვუთხარი ჩემს ფეხბურთელებს, რომ ზღაპარი არ დასრულებულა, რომ ის გრძელდება. ჩვენ სამი წლის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით წინ და მომავალ წარმატებებს ვუყრიდით საფუძველს. ეს გუნდი თავისი ჟინითა და თავდადებით გამოირჩევა. სწორედ ამის წყალობით მოიპოვეს მათ ეს გამარჯვება. ჩემი გამოცდილების საგანძურიდან ფეხბურთელებს ზოგიერთი რამ გავუმხილე, მათ კი ჩემი რჩევები ჩინებულად გამოიყენეს. ახლა მათ უფლება აქვთ, თავიანთი ოჯახის წევრები სასტუმროში შეიყვანონ. ისინი თითო ჭიქა ღვინოსაც შესვამენ, შემდეგ კი ზეიმს დავასრულებთ და პორტუგალიის წინააღმდეგ უმძიმესი მატჩისთვის დავიწყებთ მზადებას.

**- იყო თუ არა ეს თქვენი ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერის უდიდესი წარმატება?**

- ცხადია, რაღაც განსაკუთრებული რამაა, როდესაც ეროვნულ ნაკრებ გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაშობ. ჩემს ყველა წარმატებას თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა, ის, რაც ახლა ხდება, მართლაც, უდიდესი რამაა.

**- ჩეხეთთან მატჩში თქვენმა მოთამაშემ გეორგიოს კარაგუნისმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ამის გამო ფინალურ შეხვედრას გამოტოვებს. გყავთ თუ არა კარაგუნისის სრულფასოვანი შემცვლელი?**

- თითოეული ფეხბურთელი, რომელიც სათადარიგოთა სკამზე ზის, უაღრესად მნიშვნელოვანია ჩემთვის. ისინი ჩვენი ჯგუფის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და დიდ მონაწილეობას იღებენ ჩვენს წარმატებებში. ხანდახან სათადარიგო მოთამაშეებს ვეუბნები: ვინ იცის, შესაძლოა, მოედანზე შესვლა მოგიხდეს და გადამწყვეტი გოლი გაიტანო...

**- ექსპერტები ამბობენ, რომ პორტუგალია-ჩეხეთის ფინალი უფრო ლამაზი იქნებოდა, ვიდრე პორტუგალიისა და საბერძნეთის დაპირისპირება.**

- მე თითქმის მხოლოდ ჩემი გუნდის თამაშს ვადევნებდი თვალს. ცხადია, ბურთით თამაშის მხრივ ჩეხები ჩვენზე მაღლა იდგნენ, მაგრამ ფეხბურთში გადამწყვეტ როლს სხვა რამეები წყვეტენ და სწორედ ამ სხვა კომპონენტებით შევძელით ჩვენ გამარჯვება.

**- ხედავთ თუ არა პრობლემას იმაში, რომ მარკუს მერკის სახით ფინალურ მატჩს გერმანელი მსაჯი განსჯის?**

- მარკუს მერკს ვიცნობ იმ დროიდან, როცა ის 15 წლის იყო, მე კი "კაიზერსლაუტერნში" ვთამაშობდი. ის შესანიშნავი მსაჯია. მიხარია, რომ მას ფინალური მატჩის განსჯის საშუალება მიეცა. ჩემთან დამოკიდებულებაში მერკი ყოველთვის განსაკუთრებით მკაცრი იყო. ერთხელ მწვრთნელის სკამიდან ტრიბუნაზეც კი გამაძევა. არა მგონია, მარკუს მერკის მსაჯობამ რაიმე პრობლემა შექმნას.

**- რა აზრის ხართ "ვერცხლის გოლზე", რომლის წყალობით თქვენი გუნდი ფინალში გავიდა?**

- მე მხოლოდ წესებს ვემორჩილები და მათზე არავითარი ზეგავლენა არა მაქვს. არც კარის შავი ბადეები იყო ჩემი გამოგონება...

**- ოტმარ ჰიცფელდმა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას ზურგი აქცია და ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე უარი განაცხადა. როგორია თქვენი პოზიცია?**

- მე ჩემს მოთამაშეებს მათ პრობლემებზე უნდა ვესაუბრო. ახლა სასტუმროში მივდივარ და ჩემს გუნდთან ერთად გამარჯვებას ვიზეიმებ.

ფორმულა 1

# ნაბიჯი კატასტროფამდე, ნაბიჯი სავარძლიდან

გიგა გურასაშვილი



რალფი კოკპიტამდე სამ რბოლას გამოტოვებს.

მანი-კურის ტრასაზე, გუშინდელი დღიდან მოყოლებული, საჯინიბოთა ბოლიდები საკვირაო დიდი პრიზისთვის ემზადებიან. მაგრამ სანამ უმთავრესი რბოლა გაიმართებოდეს, ფორმულა 1-ის სამყაროს ვნებათღელვა არც ახლა აკლია. გავლენიანთა შორის მხცოვანი იმპრესარიოს, ბერნი ეკლსტოუნის შემდეგ რანგით მეორე პირი, ბრიტანელი მაქს მოსლი დროზე ადრე ტოვებს FIA-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) პრეზიდენტის სავარძელს. მეორე ამბავი კი ინდიანაპოლისში რალფ შუმახერის ავარიას უკავშირდება. ირკვევა, რომ ამერიკელი ექიმების წყალობით სავსებით შესაძლებელი იყო "უილიამსის" გერმანელი პილოტი სამუდამოდ დახეიბრებულიყო. ახლა ამ საქმის ირგვლივ იწყება სკანდალი, სახელად "ექიმთა საქმე". ვიდრე რალფ შუმახერისგან აღებულ ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, ცოტა რამ FIA-ს ჩინოვნიკზე.

64 წლის ბრიტანელმა მაქს მოსლიმ ფორმულა 1-ის სამყარო სახტად დატოვა, როდესაც საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ პარიზში, გენერალურ ასამბლეაზე განაცხადა. ცნობა მისი გადადგომის შესახებ, შესაძლოა, ბევრისთვის სიურპრიზი არც ყოფილიყო, რომ არა პოსტის დროზე ადრე დატოვების სურვილი. მართალია, საპრეზიდენტო სავარძლიდან ბრიტანელი ოქტომბერში აპირებს გადმობრძანებას, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ მოსლი მანდატის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე აპირებს ამის გაკეთებას.

არც ისე დიდი ხნის წინათ მან თქვა, რომ FIA-ში მუშაობის ვადის ამოწურვის შემდეგ (ვადა კი 2005 წლის ბოლოს იწურება) პრეზიდენტის თანამდებობაზე ხელმეორედ აღარ წარმოვადგენ საკუთარ კანდიდატურასო. საგულისხმოა მოსლის კიდევ ერთი განცხადება, რომლის მიხედვითაც მოსლის მემკვიდრის ვინაობას ვიგებთ. FIA-ს პრეზიდენტის პოსტზე მას "ფერარის" ახლანდელი ხელმძღვანელის ჟან ტოდტის ხილვა სურს.

მოსლის თანამდებობიდან წასვლის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ისე კი, ეროვნულ ავტოკლუბებს ის არაერთხელ გაუკრიტიკებიათ "დიქტატორული გამოხდომების" გამო. ახლანდელ განცხადებას კი საჯინიბოთა მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ერთნი კმაყოფილნი არიან მისი ქმედებით, მეორენი კი ამ გადადგომაში ღალატს ხედავენ.

ბოლო ოფიციალური ქმედება, რომელიც მოსლის პრეზიდენტობას უკავშირდება, ეს ფორმულა 1-ის ტექნიკური რეგლამენტის გადახედვას ითვალისწინებს, ამასთან, საფუძვლიანს. კერძოდ, გადადგომისთვის შემზადებულ მოსლის სურს, ბოლიდების სიჩქარეს აღვირი ამოსდონ, ანუ ცოტათი დაამუხრუჭონ, რადგან "მანქანები ძლიან სწრაფები გახდნენ".

სამეფო რბოლების ახალი რეგლამენტი გამოქვეყნდება ოქტომბერში, სწორედ მაშინ, როდესაც პრეზიდენტის სავარძელს დატოვებს გავლენიანი ბრიტანელი. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსლიმ საავტომობილო სამყარო სულ მიატოვოს. ფიქრობენ, რომ იგი FIA-ს ფარგლებში პროექტებზე იმუშავებს. პროექტები კი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისკენ იქნება მიმართული.

ახლა კი იმაზე, თუ რა მოხდა აშშ-ის დიდ პრიზზე. აქ ავარიის დეტალებს არ ვგულისხმობთ, არამედ მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, რაშიც თავად რალფ შუმახერი დაგვეხმარება. ირკვევა, რომ ავარიის შემდეგ ჩატარებული გამოკვლევისას ამერიკელ ექიმებს გამოჰპარვიათ დამტვრეული მალები. ფრანკფურტში, ხელმეორედ ჩატარებული გამოკვლევისას, გერმანელ ექიმებს ამერიკელი კოლეგების შეცდომა აღმოუჩენიათ და განგაშის ზარიც შემოუკრავთ. არადა, სავსებით შესაძლებელი იყო, რალფს საკუთარი თავისთვის ისე ევნო, რომ ფეხზე დადგომაც კი სანატრელი გახდომოდა. საქმე ისაა, რომ შუმახერი ტრასაზე დაბრუნებას აპირებდა! ახლა კი შეპირებული ინტერვიუ.

**- როგორი რეაქცია გქონდათ, როდესაც დიაგნოზი შეიტყვეთ?**

- შოკირებული დავრჩი. კიდევ იმიტომ, რომ ინდიანაპოლისში თავით ფეხებამდე გამომიკვლიეს. ვერ გამიგია, რას აკეთებდნენ იქაური ექიმები. მათი ქმედებები გარკვეულ შედეგებს მოიმკის.

**- ტრასაზე როდის დაბრუნდებით?**

- ვფიქრობ, წლეულსვე. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად გამთელდება ბზარები. საფრანგეთში, სილვერსტოუნზე და ჰოკენჰაიმში ვერ გამოვალ. სანამ დავბრუნდები, ძალიან უნდა მოვმაგრდე, რომ ძლიერ ავარიას გავუძლო.

**- ტკივილს ისევ გრძნობთ?**

- ძლივს ვადგამ ნაბიჯებს. ვატარებ კორსეტს, რათა ხერხემალი დამიფიქსირდეს. მხოლოდ იმ მოძრაობებს ვაკეთებ, რომლიც ტკივილს არ მაყენებს.

**- ნიკი ლაუდა ამბობს, რომ ავარიის შემდეგ მალე უნდა დაუბრუნდეთ რბოლებს, თორემ შიში არასდროს დაგტოვებთ...**

- ოჰ, როგორ ნერვებს მიშლიან ეს ყოვლისმცოდნე ექსპერტები! მართალი გითხრათ, ერთი ნაბიჯი მაშორებდა კატასტროფისგან. ექიმი ამბობს, რომ ძალიან გამიმართლა.

**- ვთქვათ, შუბლით შეჯახებოდით...**

- მაშინ ჩვენი საუბარი არ შედგებოდა. უბრალოდ, არ ვიქნებოდი და მორჩა.

**- ძმას თუ ელაპარაკეთ?**

- მიხაელი სულ მირეკავს, აინტერესებს ჩემი მდგომარეობა.

**- თქვენი ბოსი?**

- ფრენკ უილიამსმა მითხრა: "უნდა გამოჯანმრთელდე და ღმერთს მადლობა გადაუხადო იმისთვის, რომ ასე გაგიმართლა". დარწმუნებული ვარ, იცის რასაც ამბობს.

TV-სპორტი

### შაბათი. 3 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - დღიური
06:30 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "LOS ANGELES SPARKS" - "SAN ANTONIO SILVER". პირდაპირი ტრანსლაცია
08:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მანჩესტერ სიტი"
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/01. "ლიდსი" - "რეალი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:30 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "მილანი"
18:15 ბრაზილიის თასი. ფინალი. "ფლამენგო" - "სანტე ანდრე". საპასუხო მატჩი
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/01. "არსენალი" - "ბავარია"
22:05 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "მალიორკა" - "რეალი"
23:50 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" - "ლივერპული"
01:35 01:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. სტრითბოლი. Entertainers Basketball Classic
04:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "INDIANA FEVER" - "PHOENIX MERCURY". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

09:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:00, 13:00, 16:40, 20:00 პრესცენტრი
10:20, 20:15 "ოლიმპის შვილები"
10:25 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ვაჟები. ნახევარფინალი
12:30 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
13:15 მძლეოსნობა. IAAF Golden League რომში
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
19:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
22:30 "სპორტის შემდგომი სილამაზე"
23:20 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship". შესვენებისას (00:00) - ახალი ამბები
00:50 როდეო. "Bull Riders"

**EUROSPORT**

09:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
11:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური გერმანიაში
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
14:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
15:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
15:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
15:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი - ბიანჩის გუნდი
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
18:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
22:00 ფეხბურთის სიახლენი
22:15 კრივი
00:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
03:45 ახალი ამბები

კრივი

# სასექტემბრო მუქარა ოსკარისგან




*ოსკარი ტიტულებს სექტემბერში ელოდება.*

"გპირდებით, რომ საუკეთესო ფორმაში ვიქნები. ვიქნები სწრაფი და გამოვიყენებ ხელებით მუშაობის სისწრაფეს, რათა 18 სექტემბერს ჰოპკინსი დავამარცხო", - აი, ასე დაიქადნა "ოქროს ბიჭუნად" წოდებულმა ოსკარ დე ლა ჰოიამ 25 ივნისს სან-ხუანში, როდესაც კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) საჩემპიონო სარტყელს საზეიმო ვითარებაში გადასცემდნენ.

რა თქმა უნდა, დე ლა ჰოიას არც ჰოპკინსი დარჩენია ვალში. "გილოცავ, ოსკარ. შენ მოიგე WBO-ს ქამარი, მაგრამ მას მხოლოდ 90 დღე ატარებ, მერე კი მე გადმომცემ, რათა 18 სექტემბერს რინგი ოთხივე საჩემპიონო ქამრით დავტოვო". მიხვდებოდით, რომ 18 სექტემბრის ორთაბრძოლისთვის ოსკარ დე ლა ჰოია სამი საჩემპიონო ქამრის - WBC (საბჭოს), WBA (ასოციაცია) და IBF (ფედერაცია) მატარებელ ბერნარდ ჰოპკინსს უნდა შეერკინოს. მათ მატჩს ლას ვეგასის MGM Grand არენა უმასპინძლებს. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სატიტულო დაპირისპირების მოლოდინში კრივის მოყვარულები აქედანვე იფშვნეტენ ხელებს. თუმცა, ამ ორთაბრძოლას აქედანვე სჭირდება შეხურება, რათა მან გავლენა მოახდინოს კომერციულ სარგებლიანობაზე, რის გარეშეც დღეს კრივი წარმოუდგენელია. ერთი სიტყვით, ორთაბრძოლა სარფიანად უნდა გაიყიდოს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ახლახან ბევერლი-ჰილზში ადრეული წინასამტჩო პრეზენტაცია შედგა. თუმცა, ეს უფრო სპექტაკლი იყო. ნაირგვარი განათებებისა და ფილმის - "კოსმოსური ოდისეა 2001 წელი", საუნდტრეკის ფონზე, რასაც თან ერთვოდა მაყურებლის ოვაცია, მოკრივეთა მოღერებული და მერე ერთმანეთს მიბჯენილი მუშტები. ამ წარმოდგენის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა, თუმცა, ახალი არაფერი თქმულა. მიუხედავად ამისა, ყველა ყურებდაცქვეტილი უსმენდა.

ოსკარ დე ლა ჰოია: "ეს ჩემი ცხოვრების ბრძოლა იქნება, რადგან საკმარისია, ოდნავ მოვდუნდე, რომ ჩემთვის ყველაფერი დასრულდება. თუ რამე გაუთვალისწინებელი მოხდება, მაშინ იძულებული ვიქნები, დაგემშვიდობოთ".

რაც შეეხება "ოქროს ბიჭუნას" შანსს სასექტემბრო ორთაბრძოლაში, ამის თაობაზე ოსკარი ამბობს, რომ, რა თქმა უნდა, გმარჯვება რეალურია. მინდა, თითოეულ ადამიანს დავუმტკიცო, რომ ამის გაკეთება შემიძლიაო.

ამ ორთაბრძოლის შემდეგ 31 წლის დე ლა ჰოია ჰონორარის სახით 17 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიიღებს, ხოლო 39 წლის ჰოპკინსი - დაახლოებით 6 მილიონს.

ბოულინგი

# ბოულინგური ამბები




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ბოულინგის თამაში ნებისმიერი ასაკის ადამიანს გაახალისებს.*

ნამდვილად კარგი რამ ყოფილა ბოულინგი. ამაში გართობამაც დამარწმუნა და იმ კურიოზულმა სიტუაციებმაც, რაც ასე მრავლად ხდება კლუბის ისტორიაში. აბა, ის რა გართობაა, თუ სერიოზული სახით დადექი და აგორავე ბურთი. ასე პროფესიონალები მოიქცნენ, თამაშის ტექნიკის დახვეწასა და სროლის ნიუანსების გაუმჯობესებას რომ ცდილობენ. ჩვენ ხომ განსაკუთრებული სპორტული მიღწევებისკენ არ მივილტვით, უბრალოდ, დაღლილობის მოსახსნელად და განსატვირთავად გვინდა, სასიამოვნო გარემოში გავერთოთ.

ჰოდა, დროის გატარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ბოულინგი აღმოჩნდა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თუ პირველად მიხვედით სათამაშოდ, შეგიძლიათ, ინსტრუქტორისგან მიიღოთ სასარგებლო რჩევები თამაშის ელემენტარული წესების შესახებ. ეს არც მაშინ არის მოსარიდებელი, თუ ხშირად სტუმრობთ ბოულინგცენტრს, მაგრამ ბურთის გაგორებაში მაინცდამაინც დიდი ოსტატი არ ხართ. პირიქით, კლუბის შინაურული ატმოსფერო სრულ გარანტიას იძლევა, რომ გაუცხოებისგან დაგიცვათ, მაქსიმალური ყურადღებითა და თავაზიანობით მოგეგებონ.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, დამწყები მოთამაშე პროფესიონალ ბოულერად ჩამოყალიბდეთ. ოღონდ თქვენ მოინდომეთ და, რა პრობლემაა. გართობითაც კარგად იხალისებთ და, რაც მთავარია, სარეიტინგო მაჩვენებელს აიმაღლებთ. არც ის არის გამორიცხული, რომ თქვენი შედეგი სარეკორდო და სხვებისთვის მისაბაძი გახდეს.

მოკლედ, არა აქვს მნიშვნელობა, გასართობად მოხვედით, სტრესებისგან დასაცლელად თუ სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად, თამაშს თავისი წესები აქვს და მისი დაცვით თქვენ ადვილად მოახერხებთ განტვირთვას, სპორტულ დაოსტატებას და, რაც მთავარია, გაჯანსაღებას.

სხვათა შორის, გაჯანსაღებაზე გაგვახსენდა. ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები, მაგალითად, ფეხბურთელები, ხშირად დადიან ბოულინგის სათამაშოდ. ეტყობა კარგი თამაშია ბოულინგი, არ უნდა იყოს ცუდი. ამას წინათ სამოდელო სააგენტოს წარმომადგენლებმა სანახაობრივი წარმოდგენა გამართეს ბოულინგცენტრში და მერე ბოულინგში შეჯიბრების მოწყობის სურვილიც გამოთქვეს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, სულ მალე ბოულინგური შოუს მომსწრე გავხდეთ. ალბათ, თქვენც სიამოვნებით შემოგვიერთდებით. რატომაც არა!

მანამდე კი, ვიდრე ასეთი სახალისო ტურნირი გაჩაღდება, ზაფხულის სეზონი რომ უფრო შინაარსიანი გახდეს, შეგახსენებთ, რომ ბოულინგცენტრი სიურპრიზებს არ მოგაკლებთ და ივლის-აგვისტოში მინიკონკურსებს მოაწყობს როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი მოთამაშეებისთვის. პრიზები, იცოცხლე, ნაირგვარი იქნება. დანარჩენი კი თქვენზეა. გაერთეთ და გახალისდით.

ველოსპორტი

# თავდაპირველად იყო ტური




ირაკლი ბერიაშვილი

ნება მიბოძეთ, წუთით გაგარიდოთ პოლიტიკასა და ფეხბურთს და თქვენი ყურადღება არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენას - დიდ ფრანგულ მარყუჟს მივაპყრო.

როგორ, პირველად გესმით, რომ ასე ეძახიან "ტურ დე ფრანსს"?

არა, ძვირფასო, არც ფრანგი ვარ და არც მაგათი სპორტსმენობისა მჯერა. სად ფრანგი და სად ეგეთი ოფლის ღვრა. მაგათი საქმე ბუნტი და ბოზობაა.

რაო? კამიუს ვიმეორებ? არც კამიუს თავგადაკლული მკითხველი ვარ, მაგრამ ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ რაღაც გეშლებათ. საშუალო სტატისტიკური ფრანგის საფლავის ქვაზე კამიუ ასეთ წარწერას გულისხმობდა: "მრუშობდა და გაზეთს კითხულობდაო". რა თქმა უნდა, სავსებით მართალი ბრძანდებით. ეს ფრაზა, როგორ ვთქვა, გაცილებით რაფინირებულია. მაგრამ საქმე ის არის, რომ კამიუს, სულ ცოტა, სორბონაში მაინც ექნებოდა განათლება მიღებული. მე კი, ჩემი დიდი პაპა თბილისში რომ არ გადმოსულიყო, ქიზიყის რომელიმე სოფლის, ვთქვათ, ასანურის ან, უკეთეს შემთხვევაში, წნორის საშუალო სკოლის ატესტატი შემრჩებოდა ხელში. მართალია, არც თბილისია ოქსფორდი, ოღონდ ერთი კია. არ ვიცი და არც შეიძლება ვიცოდე, რა დროს უთმობს ფრანგი გაზეთის კითხვას, მაგრამ ბუნტისთავი რომ არის და თავისი დაუდევრობის წყალობით ჯერ რუსი რომ გარყვნა, მერე კი მთელ დუნიას მოსდო ეს სენი, ნაღდია და ჩემს ქიზიყურ ფრაზაშიც ეს რევოლუციური პათოსი უფრო ალალად, მართლა ქიზიყურად იგრძნობა.

თუმცა, ალბათ, გვეყოფა ამ საჩოთირო თემაზე საუბარი, მე პოლიტიკისა და ფეხბურთისგან გათავისუფლება შემოგთავაზეთ და თუ მოთმინებით დამიგდებთ ყურს, ცოტა ხნით მაინც მოგგვრით შვებას. გაგარიდებთ მაგ ჭაობს. მერე კი თქვენი ნებაა. უკან მობრუნებას ხომ არაფერი უდგას წინ. მთავარია, არ გაღიზიანდეთ და არ დამძრახოთ, კარგი იქნება, თუ ამ ყველაფერს მეგობრულ რჩევად მიიღებთ. ეს არის და ეს.

თქვენ მთხოვთ, რომ აი, ასე, ზეზეურად აგიხსნათ, ასეთი რა ხიბლი აქვს ამ სამკვირიან რბოლას, მართლა მარყუჟივით რომ შემოევლება ხოლმე მთელ საფრანგეთს ხან საათის ისრის, ხან კი საწინააღმდეგო მიმართულებით?

მართალი გითხრათ, ძნელი ამოცანაა. როგორც ამბობენ, ათჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს, მაგრამ მაინც ვეცდები.

1903 წლიდან მოყოლებული, თუ ომის წლებს არ ჩავთვლით, ეს საოცარი შეჯიბრება ყოველწლიურად ეწყობა. ყოველი წლის ივლისის პირველ შაბათს მსოფლიოს ორასამდე საუკეთესო ველომრბოლი იმედით სავსე დაადგება ოთხიათასკილომეტრიან გზას, რომლის ბოლოს ელისეს მინდვრები, ტრიუმფალური თაღი და სამუდამო დიდება ელოდება იმ ბედნიერს, ვინც ყველაზე ნაკლებ დროს დაახარჯავს ამ ურთულეს სავალს.

არა, ცხადია, სულ ეს არ არის. არის ეგრეთ წოდებული წვრილმანები, ურომლისოდაც "ტური" დაემსგავსებოდა პლასტმასის ვარდს ან ლამაზ ქალს, რომელიც მხოლოდ გპირდება და არაფერს იძლევა.

თქვენი სულწასულობა მაოცებს. გინდათ, რომ ათ წუთში ლანგარზე დადებული მოგართვათ ის, რისი ასე მორთმევაც ნამდვილად შეუძლებელია. გასაგებია, რომ საგანგებოდ "ტურისთვის" საფრანგეთში გამგზავრებას არ აპირებთ, მაგრამ სამი კვირის მანძილზე ჩემი წერილების კითხვა კი მოგიწევთ.

როგორ თქვით? მეტისმეტი პატივია ჩემთვის? ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, მე ხომ საკუთარი თავგადასავლების მოყოლას არ ვაპირებ. აი, იმ ორას მართლა სპორტსმენს უნდა გავყვე და ვწერო ის, რასაც დავინახავ. სულ ეს არის. და თუ დღეგამოშვებით მაინც ასიოდე სტრიქონის კითხვის დრო არა გაქვთ და მაინც გინდათ გაიგოთ, რა არის ეს "ტურ დე ფრანსი", მთის ერთი, ერთადერთი ეტაპი მაინც უნდა ნახოთ. რამდენიმე ფავორიტს მაინც უნდა სცნობდეთ ან სახით, ან რბოლის მანერით. მთის ერთი ეტაპის ნახვა კი აუცილებლად მოგიწევთ, თავიდან ბოლომდე.

არც ეს შეგიძლიათ? აბა, თქვენ სპორტი არ გყვარებიათ. მახარაშვილისა არ იყოს, "Вы только виноград кушать любите", ტოტოსარდაფების მუსუსი იქნებით და მანდ იწყება და, ალბათ, მანდვე მთავრდება თქვენი სპორტული ფანობაც.

როგორ თქვით? არც ეგრეაო საქმე? კეთილი და პატიოსანი. მაშინ იქნებ მოვრიგდეთ კიდეც.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ გაზეთის ერთადერთი მკითხველი არა ხართ. ამ ათასობით მკითხველში კი ბევრმა იმაზე მეტი იცის, ვიდრე მე შემიძლია შემოგთავაზოთ. ამიტომ, მოსაწყენი რომ არ გავხდე, - ამაზე დიდი უბედურება კი არც ჩემთვის და არც გაზეთისთვის არ არსებობს, - იმ ზემოხსენებულ "წვრილმანებს" აქა-იქ, ჩაროზივით შემოგთავაზებთ. მოგეწონებათ, ხომ კარგი, არ მოგეწონებათ და, კაციშვილისგან არ მსმენია, უდესერტოდ ვინმეს ფეხები გაეფშიკოს.

თქვენი დუმილი უთუოდ იმას ნიშნავს, რომ როგორღაც ეთანხმებით ჩემს წინადადებას. ძალიან კარგი. მაშინ ის, რასაც ახლა გეტყვით, აუცილებლად აგაცილებთ ნაადრევ იმედგაცრუებას. ნუ ამოიჭრით გულში იმათ სახელებს, ვინც პირველი ცხრა ეტაპის მანძილზე თავს გამოიჩენენ. ეს დროებითი ხალხია, ეგრეთ წოდებული "პეპლები". მეათე ეტაპზე, ესე იგი, პირველივე მთის ეტაპზე, ყველა მათგანი საბოლოოდ ჩამოშორდება ლიდერთა ათეულს. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ როგორმე უნდა გაძლოთ ამ მეათე ეტაპამდე. ცხადია, გასაძლებად არ გექნებათ საქმე, თუ სპრინტერული ორთაბრძოლები ოდნავ მაინც გახალისებთ. მოკლედ, ვერ დავამტკიცებ, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ "ტურ დე ფრანსი" მეათე ეტაპიდან იწყება.

როგორ თქვით, ეგ ცხრა რაღა საჭიროაო? აი, იმ უამრავ წვრილმანს სწორედ იმ ცხრა ეტაპზე უნდა ელოდოთ. მერე, მერე კი ყველაფერი თავისი რიგით წავა - აღმართები, გიჟი ფანები, ტონობით ოფლი და ნეპტუნის სამოსელში გამოწყობილი ფიწლიანი კაციც... ეს ყველაფერი გარანტირებულად იქნება. გარანტირებული იქნება თქვენი დაინტერესებაც და, ღმერთმა ქნას, ფეხბურთსა და პოლიტიკას ერთი გულისგასახარი საქმე თუ ჰობიც შეჰმატოს.

ახლა, თუ ნებას დამრთავთ, ორიოდე სიტყვას ჩემს ძველ მკითხველებსაც შევაწევ.

ველოსამყაროს ყურადღება ლანს არმსტრონგზეა კონცენტრირებული. ხუთგზის ჩემპიონს "ტურის" მეექვსედ მოგება და ყველა დროის №1 ველომრბოლად სურს გახდომა. რა თქმა უნდა, არმსტრონგი დიდი სპორტსმენია, მაგრამ მის ამ არითმეტიკას ვირეშმაკური სუნი ასდის. მე, მაგალითად, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გახდე ედი მერქსზე მეტი, როცა შენ "ტურ დე ფრანსის" გარდა არაფერი გაქვს მოგებული, ედის კი "ტურზე" ხუთი გამარჯვების გარდა, რამდენიმე ათეული შეჯიბრების გარდა, ხუთჯერ "ჯირო დ`იტალიაც" აქვს მოგებული. ამასთან, სამჯერ ერთ სეზონში - "ჯიროც" და "ტურიც". შემთხვევითი არ არის, რომ არმსტრონგი სათოფეზე არ ეკარება არც "ჯიროსა" და არც "ვუელტას". თუ ძალიან დელიკატურად ვიტყვი, ამის თავი არა აქვს. თუმცა, მერქსის, ინდურაინის, ანკეტილისა და ინოს გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. ჩემი ვარაუდით, არმსტრონგს "ტურის" მოგება ძალიან უნდა გაუჭირდეს. ვფიქრობ, მეტი შანსი აქვს გერმანელ იან ულრიხს. ისე, არც ბასკი იბან მაიოსა და ამერიკელი ტაილერ ჰამილტონის ამოგდება ღირს სათვალავიდან. უკვე დაკაცებული სევილა, მერკადო და ბასოც ბევრს გაუმწარებენ ცხოვრებას.

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ძალიან, ძალიან დაცხება "ტურ დე ფრანსის" ეტაპებზე.

### "ტურ დე ფრანსის" პრიზიორები

### 1993 - 2003

| | მონაწილე | ნაჩვენები დრო | სტარტიორი ფინიშიორი |
|---|---|---|---|
| 1993 | 1. მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) | 95 სთ. 57 წთ. 09 წმ. | 180/136 |
| | 2. ტონი რომინგერი (შვეიცარია) | +4 წთ. 59 წმ. | |
| | 3. ზენონ იასკულა (პოლონეთი) | | |
| 1994 | 1. მიგელ ინდურაინი | 103. 38. 38 | 189/117 |
| | 2. პიოტრ უგრიუმოვი (რუსეთი) | +5 წთ. 39 წმ. | |
| | 3. მარკო პანტანი (იტალია) | | |
| 1995 | 1. მიგელ ინდურაინი | 92. 44. 59. | 189/115 |
| | 2. ალექს ძულე (შვეიცარია) | +4 წთ. 35 წმ. | |
| | 3. ბაირნე რიისი (დანია) | | |
| 1996 | 1. ბიარნე რიისი | 95. 57. 16. | 189/139 |
| | 2. იან ულრიხი (გერმანია) | +1 წთ. 41 წმ. | |
| | 3. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი) | | |
| 1997 | 1. იან ულრიხი | 100. 30. 35. | 219/129 |
| | 2. რიშარ ვირანკი | +9 წთ. 09 წმ. | |
| | 3. მარკო პანტანი | +14 წთ. 03 წმ. | |
| 1998 | 1. მარკო პანტანი | 92. 50. 17. | 189/96 |
| | 2. იან ულრიხი | +3 წთ. 21 წმ. | |
| | 3. ბობი ჯულიჩი (აშშ) | +4 წთ. 08 წმ. | |
| 1999 | 1. ლანს არმსტრონგი (აშშ) | 91. 32. 16. | 180/141 |
| | 2. ალექს ძულე | +7 წთ. 37 წმ. | |
| | 3. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) | +10 წთ. 36 წმ. | |
| 2000 | 1. ლანს არმსტრონგი | 92. 33. 08. | 180/128 |
| | 2. იან ულრიხი | +6 წთ. 02 წმ. | |
| | 3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი) | +10 წთ. 36 წმ. | |
| 2001 | 1. ლანს არმსტრონგი | 86. 17. 28. | 189/144 |
| | 2. იან ულრიხი | +6 წთ. 44 წმ. | |
| | 3. ხოსება ბელოკი | +9 წთ. 05 წმ. | |
| 2002 | 1. ლანს არმსტრონგი | 82. 05. 12 | 189/153 |
| | 2. ხოსება ბელოკი | +7 წთ. 17 წმ. | |
| | 3. რაიმონდას რუმსასი (ლიტვა) | +8 წთ. 17 წმ. | |
| 2003 | 1. ლანს არმსტრონგი | 86. 17. 25 | 189/148 |
| | 2. იან ულრიხი | +1 წთ. 16 წმ. | |
| | 3. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი) | +4 წთ. 29 წმ. | |



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# აპლოდისმენტების მოლოდინში







ალბათ არ არსებობს თბილისელი, რუსთაველის თეატრთან საკუთარი, ინდივიდუალური მოგონება რომ არ აკავშირებდეს, ერთი რომელიმე საყვარელი სპექტაკლი რომ არ ჰქონდეს, დასის რომელიმე მსახიობი არ უყვარდეს და სახეზე არ ცნობდეს. რუსთაველის თეატრთან დაკავშირებული ჩემი პირველი მოგონება მცირე დარბაზის სცენაზე გენიალურ "ჭინჭრაქას" უკავშირდება. ამ სპექტაკლზე მამამ წამიყვანა, წარმოდგენის შემდეგ კულისებში შევედით და სერგო ზაქარიაძე გავიცანი. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ რუსთაველის თეატრში შესვლისას, ყოველ ჯერზე, ზუსტად ისევე, როგორც ბავშვობაში, განსაკუთრებულად ვღელავ, მიხარია და უდიდესი მოკრძალებისა და აღფრთოვანების გრძნობა მიჩნდება.

რუსთაველის თეატრის სარემონტოდ დახურვის შემდეგ ქართული კულტურული ცხოვრება, თითქოს, დაობლდა, გაღარიბდა. საზოგადოება მოთმინებით ელის იმ წუთს, როდესაც თეატრის ულამაზესი ხის კარები კვლავ გაიღება, ფოიე გაცოცხლდება და სცენაზე კი წარმოდგენა გაიმართება. დღეს რუსთაველის თეატრში მუშაობა მიმდინარეობს, რომელსაც ბოლო უკვე გამოუჩნდა. რესტავრირებულ-აღდგენილია თეატრის მთავარი, დიდი ფოიე, უნიკალური ორნამენტის მქონე კიბეები, სარკეები, ჭაღები. საოცარი სიმყუდროვითა და დახვეწილი სილამაზით ოდითგან გამორჩეული მცირე დარბაზი და მასთან მიმდებარე მცირე ფოიე მაყურებლის მისაღებად თითქმის მზად არის. იქვე, მეორე სართულზე მდებარე უზარმაზარი სარეპეტიციო, საგრიმიოროები აღდგენილია და მსახიობებს ელოდება. ნებისმიერი და განსაკუთრებით კი ასეთი თეატრის მაყურებლის დარბაზი სულიერებითა და მისტიკით არის სავსე. მაყურებლით გადაჭედილ და სრულებით ცარიელ, სპექტაკლის ანშლაგით მსვლელობის და რეპეტიციის დროს თეატრის დარბაზს სულ სხვადასხვა აურა აქვს, მაგრამ დამიჯერეთ, სულ სხვა, უცხო, ენით აღუწერელ ემოციას იწვევს რემონტში მყოფი რუსთაველის თეატრის მთავარი დარბაზი, რომელშიც სიურეალისტური, მონუმენტური პოპ-არტის მსგავსი სურათი გვხვდება - ერთი მხრივ, დასრულებული მოოქროვილ-მოხატული, ანგელოზებითა და ბარელიეფებით დეკორირებული, გემოვნებითა და პომპეზურობით შესრულებული ჭერი, ულამაზესი, დახვეწილი ჭაღი, მოოქროვილი ლოჟები და, მეორე მხრივ, გათბობის გაყვანის მიზნით აყრილი იატაკი, ხარაჩოები, ცელოფანები, რომლებშიც ლოჟებია შეფუთული და მაყურებლის ფუსფუსის მაგივრად, წელს ზემოთ ტიტველი მუშების ხმაურიანი გადაძახილები, ინჟინრების, არქიტექტორების, კონსტრუქტორების ინსტრუქტაჟები და ინსტრუმენტების მუშაობის ხმა ისმის.

რუსთაველის თეატრის ქვედა ფოიეც, სადაც ადრე უდიდესი მხატვრების - სუდეიკინის, გუდიაშვილის, ზდანევიჩის, თოიძის - მიერ კედლებმოხატული რესტორანი "ქიმერიონი" იყო, თითქმის დასრულებულია. სწორედ ამ ფოიეს აღდგენით სამუშაოებზე მინდა, მოკრძალებით გავამახვილო სპეციალისტების ყურადღება. ფოიეს ბოძების ქვედა ნაწილში შემორჩენილი უნიკალური ფრესკები რამდენადაც დელიკატურად, გემოვნებით არის შენარჩუნებული, იმდენად, პირადად ჩემთვის, თვალშისაცემი და გაუგებარია ის სრული დისონანსი, რომელიც ფოიეს ქვედა ნაწილსა და ჭერს შორის მენიშნა. შემორჩენილი, შავთეთრი "ქიმერიონის" ფოტოების მიხედვით, თითქოსდა ზუსტად თავიდან მოხატულმა ფოიეს გუმბათოვანმა, საკმაოდ დაბალმა ჭერმა რუსული ზღაპრის ეკრანიზაციის დეკორაცია მომაგონა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რომელიმე კოლონის უკნიდან რუსულ სარაფანში, გვირგვინით თავზე Василиса Прекрасная და Конек Горбунок-ზე შემომხტარი Иванушка дурачок-ი გამოჩნდება. შეიძლება არაფერი გამეგება, მეშლება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ჭერის მოხატულობის პირველად ვარიანტში რუსული ლუბოკის ამგვარი კიტჩი ნაკლებად მყვირალა, კონტრასტული იქნებოდა. შემორჩენილი მცირე ნაწილებით თუ ვიმსჯელებთ, ჭერის მოხატულობაზე მომუშავე მხატვრებისა თუ უბრალო მღებავების (უფრო ბოლო) მიერ ნახატის მოხაზულობა ზუსტად არის დაცული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ფერი და, მით უმეტეს, ტონალობა, რომელიც რადიკალურად ცვლის მიღებულ სურათს. კიდევ ერთხელ დიდი მოკრძალებით მინდა ვიკითხო, რატომ არ შეიძლება ჭერის მთლიანი თეთრი ფონის თუნდაც სულ ოდნავ განაცრისფრება, ჩაქრობა, განეიტრალება? ეს არც ისე ძვირადღირებული სამუშაოა და ეგება მისადმი უფრო მეტი სკრუპულოზურობითა და პასუხისმგებლობით მიდგომაა შესაძლებელი. ამ ყველაფრის შედეგად კი რუსთაველის თეატრის ქვედა ფოიეს ჭერი შესანიშნავი შესრულების, უზარმაზარი შრომის საერთო შედეგიდან უზუსტობის, ხაზგასმული კიტჩის ხარჯზე ამოვარდნილი არ იქნება.

იქნებ შესაძლებელია, რომ ქვედა და ზედა ფოიეებს შორის დამაკავშირებელ კიბესთან მდებარე დავით კაკაბაძის უნიკალურ კედლის მოხატულობას, რომელიც სწორედ მხატვრის ავტოპორტრეტის ნაწილში მოგვიანებით აშენებული კიბით საკმაოდ უხეშად არის გადაჭრილი, რამე ეშველოს, თანაც ისე, რომ არც კიბე დაზიანდეს, გაუქმდეს, ნახატიც ბოლომდე გამოჩნდეს და რუსთაველის თეატრის შენობას კი მხატვრული ღირებულება კიდევ უფრო შეემატოს.

არ იფიქროთ, რომ მე ვინმეს შენიშვნებს ვაძლევ, ან სხვის საქმეში ვერევი, უბრალოდ, ჩემი ცნობისმოყვარეობის ხარჯზე თავი ვერ შევიკავე, რემონტში მყოფ რუსთაველის თეატრში შევედი და ნანახისგან აღფრთოვანებულმა, ბოლომდე რაც არ მომეწონა, ვერ გავიგე, მოკრძალებით იმაზე მივუთითებ. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ სუდეიკინს ან გუდიაშვილს თეატრის ქვედა ფოიეს ახალი ჭერი რომ ენახათ, აუცილებლად დამეთანხმებოდნენ, თუმცა, ისევე როგორც საკუთარი გადაჭრილი ავტოპორტრეტის შემხედვარე დავით კაკაბაძე.

რა ვქნა, ძალიან მინდა, რომ მაშინ, როდესაც რუსთაველის თეატრის რემონტი საბოლოოდ დასრულდება და საზოგადოება უზარმაზარ, ურთულეს შესრულებულ სამუშაოს შეაფასებს, აღდგენილ თეატრს იხილავს, მის ულამაზეს დარბაზებსა და ფოიეებს შეავსებს, საერთო აღფრთოვანების გარდა, არავითარი "კი, კარგია, მაგრამ..." არ ისმოდეს. მინდა, რომ ერთი მდიდარი კაცის მეცენატობითა და უამრავი პროფესიონალი ადამიანის დაუღალავი შრომით ასე შთამბეჭდავად გარემონტებულ-რესტავრირებულ-აღდგენილი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა - რუსთაველის თეატრი, ყველა ნიუანსით გემოვნებისა და კულტურის უმაღლეს საფეხურზე იდგეს და მქუხარე აპლოდისმენტებს არა მარტო მის სცენაზე შესრულებული სპექტაკლები, არამედ მთლიანად თეატრი იმსახურებდეს.

# გვქონდა და აღარ გვაქვს

ძალიან გამიხარდა, როდესაც ჩემი და კახა ბენდუქიძის აზრები თბილისის ფილარმონიის თაობაზე დაემთხვა. არც ისეთი სულელი ვყოფილვარ, თუ მე და ასეთი ჭკვიანი კაცი ერთნაირად ვფიქრობთ.

თბილისის ფილარმონია დღეს კონცერტების მოსაწყობ და სიამოვნების მისაღებ კი არა, კონცერტების არმოსაწყობ და ყოველგვარი სიამოვნების გამქარწყლებელ ადგილად გადაიქცა. არც ვიცი, როგორი ვირტუოზი უნდა გამოდიოდეს სცენაზე, სკამების სირბილეამოცლილ საჯდომ ნაწილზე ამოსული და შენი სხეულის რბილ ნაწილში უმოწყალოდ ღრმად შესული ლურსმნები, სახელურებზე მოგლეჯილი ყოფილი მიკროფონების ჩხვლეტია-კაწრია ბასრი ნაწილები და კოსმიური უჟანგბადობა რომ დაგავიწყოს. ამ კვირაში თბილისის ჯაზფესტივალის შესანიშნავ ორ კონცერტს დავესწარი, მაგრამ პირველმა - John Mclaughlin-ის ინდური მუსიკის თემებით გაჯერებულმა ჯაზმა და ჰაერში იდაყვებით ლურსმნებზე ჯდომამ ჩემი თავი იოგად წარმოადგენინა. Michael Franks-ის კონცერტზე კი მივხვდი, რომ იოგა არაფერ შუაშია და ფილარმონია მუსიკის კი არა, სადომაზოხიზმის ცენტრი უფროა.

იოგის და მაზოხიზმის მუსიკალურ ფონზე მიმდინარე სეანსების შემდეგ, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ფილარმონიის არქონა გმირულად უნდა ვაღიაროთ. ამასაც ვერ მოვუარეთ. არა უშავს, ძალიან ნუ შეგვრცხვება, ეგეთებისთვის არ მოგვივლია? ასეთ პირობებში კონცერტების მოწყობა, მუსიკოსების მოწვევა, ბილეთების გაყიდვა და ხალხის გაგუდვა-წამება ბევრად უფრო დიდი სირცხვილია.

ფილარმონია გვქონდა და აღარ გვაქვს. ეგება, როდისმე ისევ გვქონდეს.

# "ოქრომრავალი კოლხეთის" ვერნანახი ოქრო

არასდროს ვიცოდი, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უკან, ლადო გუდიაშვილის ქუჩის მხრიდან, როდისმე ბაღი იყო, რომელიც გაასუფთავეს, აღადგინეს და ვანში ახალაღმოჩენილი ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშების გამოფენით ამ ბაღის პრეზენტაცია-გახსნა მოეწყო. ივლისის თვისთვისაც კი უჩვეულოდ ცხელ, დახუთულ საღამოს ახლადაღდგენილ ბაღში წარმოუდგენლად ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, რომელიც მხოლოდ ბაღის ტერიტორიაზე ვერაფრით დაეტეოდა და ამიტომ მიმდებარე ეზოც საკმაოდ ჭრელი, მრავალფეროვანი საზოგადოებით გაივსო - დიპ-კორპუსი, პრესა, ტელევიზია, მთავრობა, დეპუტატები, არქეოლოგები, ხელოვნების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობები, ბევრი ლამაზი, მომხიბვლელი, საზაფხულოდ მოხდილ, ყვავილებიან ფერად კაბებში გამოპრანჭული ქალები და კაცები, რომელთა უმრავლესობა ქართული საზოგადოების ინტელექტუალურ, შემოქმედებით, ფინანსურ, პოლიტიკურ ბირთვს წარმოადგენს. ბაღის პატარა, ლამაზი, ყვავილებით გარშემორტყმულ-დეკორირებული შადრევანიც კი საკმარის სიგრილეს ვერ ჰმატებდა, ხალხი მარაოებს, მოსაწვევ ბარათებს, უბრალოდ, ცხვირსახოცებს ამაოდ ინიავებდა, შემოთავაზებულ ღვინოზე მეტად, სიცხის გამო, ცივ წყალს სვამდა და უნიკალური ოქროს ნიმუშების ნახვას ცდილობდა. სტენდებთან, რომლებშიც ექსპონატები იყო გამოფენილი, მისასვლელად უზარმაზარ რიგში მოთმინებით უნდა მდგარიყავი, თუ, რა თქმა უნდა, მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენელი არ იყავი, მაგალითად პრემიერ-მინისტრი, რომელმაც გამოფენილი ნაკეთობები სრულიად უპრობლემოდ, პრივილეგირებულად ურიგოდ და ჩვენთვის შესაშურად იოლად, ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე დაათვალიერა. ჩვენ, უბრალო მოკვდავები კი, ასეთი საზოგადოებრივი ღონისძიებისთვის დამახასიათებელი ურთიერთკომპლიმენტებითა და ხუმრობებით აღსავსე ზედაპირული საუბრით ვიჯერებდით გულს, ზრდილობიანად ვიღიმოდით და არ ვიმჩნევდით, რომ სიცხისგან, ფეხზე დიდი ხნის დგომისგან, ხალხის რაოდენობისგან და ლოდინისგან ცოტა გული მიგვდიოდა. გამოფენის ორგანიზატორების წინდახედულებით ბაღში, საკმაო ამაღლებაზე დიდი ეკრანი იყო დამაგრებული, რომელზედაც გამოფენილი ექსპონატების სლაიდები იცვლებოდა და ჩვენს ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებდა. ბაღში, უფრო სწორად კი მის მიმდებარე ეზოში ორი საათის დგომის, ჯგუფიდან ჯგუფთან გადასვლის, საუბრის, ღიმილის, ალბათ, ერთი ლიტრი წყლის დალევის შემდეგ, უნიკალური ოქროს ნახვის იმედი დამეკარგა, სლაიდებით დავკმაყოფილდი და გადავწყვიტე, უმჯობესი იქნება, სახელმწიფო მუზეუმში მერე, როდისმე მივიდე და ყოველგვარი რიგების, პრივილეგიების უქონლობის პრობლემის, სიცხის გარეშე, სრულ მარტოობაში ვანის ოქრო წესიერად დავათვალიერო, მით უმეტეს, რომ ეკრანზე ნანახმა სრულიად მომნუსხა და ქართული კულტურის უნიკალურ ტრადიციებზე კიდევ ერთხელ დამაფიქრა. მთლიანობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახლად აღდგენილ მშვენიერ ბაღში ამ კვირაში გატარებულ საღამოზე კი, ვერნანახი ოქროს მიუხედავად, ქართული, თუნდაც ძალიან ჭრელი, შერეული საზოგადოების ზოგადი კოლორიტულობით, სილამაზით, ეფექტურობით კიდევ ერთხელ მოვიხიბლე და ვისიამოვნე.













# ეთიკას ნუ შეველევით

ამ ბოლო დროს ქართულ მასმედიაზე და მასში არსებულ პრობლემებზე საუბრობს ყველა და ყველგან. ვისაც არ ეზარება, რაიმე გაეგება თუ არაფერი ესმის, ტრანსპორტში თუ სახლში, პირად საუბრებში თუ იგივე მედიის საშუალებით ამ თემას არჩევს იმაზე, რომ ქართულმა მასმედიამ ბოლო თვეების პოლიტიკურ მოვლენებში ლომის წილი შეიტანა, წარმოუდგენელი ოპერატიულობითა და სულისკვეთებით იმუშავა, არავინ დავობს, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციებს მუშაობის სპეციალური რიტმი აქვს, დღეს კი ქვეყანაში საკმაოდ რთული, მაგრამ ყოველდღიური, სკანდალებს მოკლებული მუშაობა მიდის, რომელმაც ნაბიჯ-ნაბიჯ უფსკრულიდან უნდა ამოგვიყვანოს. სახელმწიფოს ცხოვრების ამ ეტაპს კი მასმედიის მხრიდანაც, ეტყობა, სულ სხვაგვარი მუშაობის სტილი, საუბრის ინტონაცია ესაჭიროება, რომელიც შეიძლება ნაკლებად ეფექტური, მაგრამ, ამავე დროს, ნაკლებად გამაღიზიანებელი და გულის დამწყვეტი იქნება. ზოგადად ქართული მედია, განსაკუთრებით კი ტელევიზიის ყველა არხის საინფორმაციო გადაცემები, რომელთა დანიშნულებაა ინფორმაციის ზუსტი, დროული მიწოდება და არავითარ შემთხვევაში თვით ყვითელი პრესისთვის შესაშური ჭორაობა, ცნობილი სახელებისა და გვარების, სადღაც ყურმოკრული და ბოლომდე ვერგაგებული მეტსახელების ისტერიამ მოიცვა და თუ რომელიმე News-ში, ასე ვთქვათ, ცნობილი გვარის, თუნდაც სრულიად უტაქტოდ, უადგილოდ, ვიღაცისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფასად, მტკივნეულად ხსენების საშუალება მიეცათ, ამ შანსს არც ერთი, ყველაზე წამყვანი გაზეთი თუ ტელეკომპანიაც კი, ხელიდან არ გაუშვებს. ჟურნალისტების მხრიდან ნუთუ ასეთი ძნელი წარმოსადგენია, რომ ნებისმიერი დაკავებულის, აყვანილის, ეჭვმიტანილის, გარდაცვლილის უკან მათი უდანაშაულო ოჯახები დგას, რომელთათვისაც ეს ფაქტი სუბიექტური, პირადი უბედურებაა და, შესაბამისად, შეიძლება მეტ სიფრთხილესა და დელიკატურობას მოითხოვდეს. ჩემთვის პირადად სრულებით აუხსნელად, დღის უმნიშვნელოვანეს თემად, საინფორმაციო გადაცემის პირველ სიუჟეტად რიგითი, გაუბედურებული, დაინვალიდებული, მწოლიარე ნარკომანის ასაყვანად ჩატარებულ სპეცოპერაციას გვაჩვენებენ. კი ბატონო, მაგრამ არც ერთი ჟურნალისტი რატომ არ უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ მართალია, ამ ადამიანს, რომელსაც თავისი უბედურება და დანაშაულიც ეყოფა, პოპულარული შვილი ჰყავს, მაგრამ მისი ასე ხაზგასმულად დასახელება მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტების არადელიკატურობაზე მეტყველებს. ნებისმიერ, თუნდაც ნიჭიერ, ცნობილ ბავშვს მეგობრები, კლასელები, ეზოელები ჰყავს, რომლებიც ტელევიზიის უტაქტობის მეშვეობით, ნარკომანიის მიუხედავად მისთვის ასეთ საყვარელ მამას იცნობენ. არც ერთმა ჟურნალისტმა რატომ არ უნდა იფიქროს იმაზე, რომ ნებისმიერი ბავშვის ფსიქიკა ისეთი ფაქიზია, თავმოყვარეობა კი გასაფრთხილებელი, რომ კრიმინალთან, დანაშაულთან ბრძოლა, თუნდაც დამნაშავეების შვილების, დისშვილებისა ან შვილიშვილებისკენ თითის გაშვერას არ გულისხმობს.

ვიღაცის ბიძამ ტრაგიკულად თავი მოიკლა და ქართული ტელემედია მთელი დღე სახლის გარშემო მისწრებაზე დარბის, მიცვალებულს ვინ პირველი გადაიღებს და რომელი კორესპონდენტის მიკროფონი გაუბედურებული, შოკში მყოფი ცოლის ან შვილის კივილს უკეთ აიღებს! და რა? ვისთვის რისი მომცემია ამგვარი ოპერატიულობა? ეს ხომ რევოლუცია არ არის, არამედ ერთი კონკრეტული ოჯახის ტრაგედიაა. თბილისში ყოველდღიურად ელემენტარული გაჭირვებისგან ან ავადმყოფობისგან რამდენი ადამიანი იკლავს თავს, ნეტავი იციან, თუ იმათი დასისხლიანებული გვამის ან დატირების ჩვენება საინტერესოც არ არის, რადგან მათი ოჯახის გენეალოგიაში მედიისთვის ღირსშესანიშნავი, ყურადღების ღირსი სახელები და გვარები არ ურევია. ეგებ აჯობებს, ჟურნალისტებმა მეტი დელიკატურობა, ადამიანობა და ელემენტარული ზრდილობა გამოიჩინონ და თუნდაც ავადხსენებული "პოპულარული" ადამიანის ოჯახში მომხდარი ტრაგედიიდან შოუ არ მოაწყონ, ოჯახის გაუბედურებულ წევრებს კი ქმრის, მამის ან ბაბუის დატირება აცალონ.

რამდენიმე წლის წინ თბილისში საზარელი მკვლელობა მოხდა, რომელიც ქვეყანაში არსებული განუკითხაობის, კორუფციის გამო არ გახსნილა და მკვლელიც არ დასჯილა. თუმცა, საზოგადოებისთვის, ისევე როგორც სამართალდამცავი ორგანოებისთვის, მისი ვინაობა ცნობილი იყო. დღეს, კრიმინალთან ბრძოლის განახლებულ ტალღაზე იჭერენ მკვლელს, საქმის თავიდან გამოძიებას იწყებენ და სრულიად ბუნებრივად, მასმედია ამ ფაქტით ინტერესდება, მაგრამ ჟურნალისტური გაგებით ამბავს მარილის მოყრა ესაჭიროება და ეს ისე უხეშად ხდება, რომ შენში, ძალაუნებურად, გაღიზიანებას იწვევს. ჩვიდმეტი წლის არაორდინალური, ალბათ, დიდი მომავლის მქონე ბიჭის მკვლელობა საკმარისი არ არის, თუ მოკლულის ოჯახში რაიმე სკანდარული არ მოიძებნება და, მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილს დედაც და მამაც (ყველასათვის პატივსაცემი ეკლესიის მსახური) ცოცხალი ჰყავს, მის ერთადერთ ნათესავად ასევე მოკლული ბიძა მოიხსენიება. ამიხსენით, რატომ? ამით რას აზვიადებენ? ერთი ახალგაზრდის მიერ მეორის მკვლელობას ნუთუ კიდევ რაიმე გაზვიადება სჭირდება? რა საჭიროა შვილის სიკვდილითა და სახელმწიფოს უსუსურობით გაუბედურებული მშობლების იგნორირება-შეურაცხყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ ჭორაობაში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერო. საათიდან საათამდე მთელი საქართველოს მოსახლეობა ტელევიზორთან ახალი, ზუსტი, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოლოდინში ზის, საინფორმაციო გადაცემებს უყურებს და სანაცვლოდ ისეთ ამბავს იგებს, თითქოს მეზობელთან მარილზე გადავიდა, ჩამოჯდა და წაიჭორავა.

ნამდვილად სასიკეთოს მომასწავებელია ყველაფერი, რაც დღეს საქართველოში ხდება, მაგრამ ზღვარი თუნდაც განახლებულ, კანონისკენ პირველ ნაბიჯებგადადგმულ სახელმწიფოსა და ნებისმიერი მოქალაქის კერძო ცხოვრებას შორის მკაცრად დაცული უნდა იქნეს.

ამ წერილში არც ერთ სახელსა და გვარს მიზანმიმართულად არ ვასახელებ. არ მინდა, კიდევ ერთხელ ვინმეს ვატკინო, ან რომელიმე კონკრეტული ტელეარხი, გადაცემა ან ჟურნალისტი გამოვყო. უბრალოდ, საზოგადოების ერთი ნაწილის სახელით ყველა ჟურნალისტს მინდა ვთხოვო, საკუთარ თავში ჩაიხედოს და თუ ოდნავ მაინც მეთანხმება, მუშაობის სტილი, შემდგომში, შეეცადოს, შეცვალოს. ამით მეოთხე ხელისუფლება, ანუ მასმედია, თუმცა ისევე, როგორც საზოგადოება, მხოლოდ მოგებული დარჩება და ქართული ჟურნალისტიკა კი ნებისმიერი ჟურნალისტისთვის აუცილებელი ეთიკის ფარგლებში ჩაჯდება.

# დრეზდენს, ელბას და ქვის როლანდს

## იმისთვის, რომ ცოტა შეგვრცხვეს და ცოტა შეგვშურდეს

ანა კორძაია-სამადაშვილი

იუნესკოს (United Nations Educational, Scientific and Cultural Organisation) მიერ გამოცხადებულ მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციას 1972 წლიდან 160-ზე მეტმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. საპატიო სიაშია შეტანილი ამერიკის შეერთებული შტატების ბუნების საოცრება - დიდი კანიონიც და ინდოეთის სიამაყე, ხუროთმოძღვრების შედევრი ტაჯ მაჰალიც.

იუნესკოს მიზანია, მთელს მსოფლიოში არსებული კულტურული ფასეულობები და ბუნება მოიცვას და ისინი მთელი კაცობრიობის მემკვიდრეობად გამოაცხადოს, რათა ყოველი ადამიანი გრძნობდეს პასუხისმგებლობას - და სიამაყეს, რომ ასეთი დედამიწის და ასეთი კაცობრიობის შვილია. სიაში ის ობიექტებია შეტანილი, რომლებიც ერთადერთია და განუმეორებელი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია (ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი): მათი წარდგენისას უნდა არსებობდეს დასაბუთებული კონცეფცია იმისა, რომ როგორ იქნება ისინი მომავალი თაობებისთვის და მათ მიერ დაცულ-მოვლილი. როგორც ჩანს, ჩვენ ამდენი არ შეგვიძლია.

ამიტომაცაა, რომ ევროპა საუკეთესოდაა წარმოდგენილი (დაცული ობიექტების რაოდენობით აქ პირველ ოთხ ადგილზე იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი და გერმანია დგანან), აფრიკა კი - თითქმის არანაირად, და არა იმის გამო, რომ იქ არაფერია საინტერესო და მნიშვნელოვანი, არამედ იმიტომ, რომ პატრონი არავინაა - მაგრამ ეს ცალკე თემაა.

სადღეისოდ ამ სიაში 780 ობიექტია ჩამოთვლილი. გუშინ სია კვლავ შეივსო, და გერმანელი ხალხის სადიდებლად უნდა ითქვას, რომ სამი ობიექტი სწორედ გერმანიისაა. აქამდე ეს სახელმწიფო 27 ძეგლითა თუ მიდამოთი იყო წარმოდგენილი, დღეს კი კვლავ მისალოცად აქვს საქმე - სავსებით დამსახურებულად.

პარასკევს, დილით, ჩინეთის ქალაქ სუჭოუში გამართული სხდომის დროს გამოცხადდა, რომ გერმანიის კულტურული ლანდშაფტი - დრეზდენის ელბას ჭალა და ბაროკოს საუკეთესო ნიმუში, ძველი დრეზდენი, ისევე, როგორც ბად მუსკაუს პარკი, ბრემენის ისტორიული რატუშა და "ქვის როლანდი" ამიერიდან მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილადაა აღიარებული და ორგანიზაციის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფება.

დრეზდენის შესახებ ყველას ბევრი გვსმენია, მისი ჭალის მშვენებას კი ნაკლებად ვიცნობთ. არადა, საოცარი მხარეა: 19,3 კვადრატული კილომეტრის ფართობზე განლაგებული სოფლები და მთელი ბუნება მართლაც თვალწარმტაცია. ელბის ნაპირის გასწვრივ უძველესი დასახლებების ნაშთები და ბრინჯაოს და რკინის ხანის ნასახლარები და სამარხებია შემორჩენილი, ისევე, როგორც შუა საუკუნეების სოფლები, რენესანსული ციხე-სიმაგრეები, ბაროკოს დიდებული ნიმუშები და სხვა და სხვა. და ეს ყველაფერი დიდებული ლანდშაფტების ფონზე - თავად ქალაქ დრეზდენის არქიტექტურაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.




ბრემენელი მუსიკოსების ძეგლი.



დრეზდენი - იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.



ბრემენელებს შანსი აქვთ, რომ ევროპის კულტურული დედაქალაქის სტატუსი მოიპოვონ.

აქაური მმართველის, კურფიურსტ აუგუსტ ძლიერისთვის, რომელიც მე-17 - მე-18 საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა, ელბა ერთგვარი დიდი არხი იყო, რომლის ნაპირებზეც მას, კვლავ ვენეციის მიბაძვით, ციხე-სიმაგრეებისა და სასახლეების აშენება უნდოდა. ძველი დრეზდენის ყველაზე მშვენიერი შენობები სწორედ მისი მმართველობის დროს აიგო: სასახლე, კარის ეკლესია და სხვა და სხვა - ძველ ქალაქში ყოველი ნაგებობა ძეგლია, ყოველი შენობა - ღირსშესანიშნაობა. ამ ზღაპრულ ქალაქს 2006 წელს 600 წელი უსრულდება.

ბრემენის ქვის როლანდი კი 600 წლისა წელს ხდება - ის 1404 წლიდან დგას ქალაქ ბრემენის სადარაჯოზე, ბაზრის მოედანზე, სწორედ რატუშის წინ. ძველი თქმულების თანახმად, ბრემენის თავისუფლებას საფრთხე არ ემუქრება, სანამ 9,61 მეტრის სიმაღლის გმირი შეუდრეკელი იქნება. ამაზე მის ფარზე დაწერილი სიტყვებიც მეტყველებს: - "თავისუფლება, რომელიც თქვენთვის მომაქვს". რატუშაც და როლანდიც დიდი ხანია, გერმანიის ძეგლთა დაცვის უწყების საზრუნავია.

რატუშა ექვსასისა მხოლოდ მომავალ წელს გახდება. ის 1609 წელს გაულამაზებიათ: ხუროთმოძღვარმა ლიუდერ ფონ ბენთჰაიმმა რენესანსული ფასადით შეამკო. რატუშის სარდაფებში, კასრებში, გერმანიის უძველესი ღვინოები ინახება, მათ შორის 1653 წლის წითელი ღვინოც.

იუნესკოს კომისიის გადაწყვეტილებამ ბრემენელთა დიდი სიხარული გამოიწვია. "ეს შესანიშნავი ამბავია, მთელი ქალაქისთვის დიდი აღიარება. ჩვენ, ბრემენელები, ძალიან ვამაყობთ," განაცხადა ქალაქის თავმა. "ჩვენს ბრემენს, ჩვენს რატუშას და როლანდს ამიერიდან ვენასთან, ფლორენციასთან და ვენეციასთან ერთად მოიხსენებენ ხოლმე".

ბრემენელებს ისიც უხარიათ, რომ ამის შემდეგ მეტი შანსი ექნებათ, ევროპის კულტურული დედაქალაქის სტატუსიც მოიპოვონ - ცხადია, ერთი წლით. "ახლა ნამდვილად ველარავინ უარყოფს, რომ ბრემენი ევროპული კულტურისთვის მნიშვნელოვანი ქალაქია," - ამბობენ ისინი.

არანაკლებ ფასეულია საქსონიის და პოლონეთის საზღვარზე, ბად მუსკაუში, ფიურსტ (თავად) პიუკლერის მიერ გაშენებული ინგლისური პარკიც - თავადმა პიუკლერმა ამ პარკს მთელი თავისი ქონება და 1815 წლიდან მოყოლებული, 30 წლის სიცოცხლე შესწირა. საბოლოოდ მას ისე გაუჭირდა, რომ მამულის გაყიდვა მოუწია.

ეს პარკი პოლიტიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. მისი 750 ჰექტარის ფართობის მიწის ნაკვეთის ორი მესამედი ამჟამად პოლონეთის ტერიტორიაზეა, და მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც გერმანელმა და პოლონელებმა მის ირგვლივ მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყეს. ამჟამად მუსკაუს პარკს განსაკუთრებული მისია აკისრია: გერმანელი და პოლონელი ხალხის შერიგების სამსახურში დგას. გაერთიანების შემდეგ გერმანიამ ამ პროექტისთვის 25 მილიონი ევრო გამოყო.

ყოველწლიურად პარკს 200 ათასი დამთვალიერებელი ჰყავს. ოქტომბრის თვიდან პარკის ორ ნაწილს კვლავ ფეხით მოსიარულეთა ხიდი შეაერთებს - ზედ ყველა ივლის, პოლონელებიც, გერმანელებიც და, რამე რომ იყოს, ჩვენც.

■ ■ ■

ცხადია, იუნესკო სიაში მოსახვედრად ბრძოლა მხოლოდ პატრიოტული სულისკვეთების ამბავი არაა. ამას ძალიან კონკრეტული ეკონომიკური შედეგიც მოჰყვება ხოლმე - ძეგლის დათვალიერების თუ მიდამოში გასეირნების მსურველთა რიცხვი იზრდება, თან იმდენად, რომ ზოგჯერ გაუსაძლისიც კი ხდება და პრობლემებს ჰქმნის. ეს გამოცდილება გერმანიას უკვე ჰქონია: მაულბრონის მონასტერსა თუ ბოდენაუს მონასტრების კუნძულს იმდენი ტურისტი ესევა, რომ გადაადგილება ჭირს, და კიოლნის საკათედრო ტაძრის გულშემატკივრებიც თვლიან, რომ ყოველწლიურად 5,5 მილიონი ადამიანი ერთი ტაძრისთვის, თუნდაც ასეთისთვის, მეტისმეტია. მაგრამ მასობრივი ტურიზმის საფრთხე ამ შემთხვევაში მაინც გამორიცხულია, და იქ არც კედლებზე წერენ თავიანთ სახელებს და არც ქვები მიაქვთ სამახსოვროდ.

მთავარი ისაა, რომ ეს ძეგლები მთელი მსოფლიოს კულტურულ საზოგადოებას იზიდავს - ამ ბოლო დროს დიდი კულტურის მქონე ჩინელებიც კი, რომლებიც, მოგეხსენებათ, ძალიან ბევრნი არიან, საგანგებოდ სასახლე სანსუსის სანახავად ჩადიან პოტსდამში. ეს მათთვისაც ხეირია, ქალაქისთვისაც და სასახლისთვისაც.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

3 ივლისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "ჯადოქარი" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ოქროს ვარდის გამოქვაბული **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "შავი თვალები" (გ) **15.15** მხ. ფილმი "ძვირფასო ბავშვები დავაპატარავე" (გ) **17.00** უიმბლდონის ფინალი ქალთა შორის **18.00, 21.00, 00.50** კურიერი **18.20** უიმბლდონის ფინალი ქალთა შორის **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **22.00** მხ. ფილმი "მატრიცა: რევოლუცია". მთ. რ-ში: კიანუ რივზი (15). **01.00** "ფსიქო"- "უთხარით ჩემს მეგობრებს რომ მკვდარი ვარ". რეჟ. ნინო კირთაძე (15).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.35(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ჩაი თუ ყავა. **08.35** ღია ბარათი გურმანი. **09.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" 3-5 წლის ბავშვებისთვის. გადაცემის მეორე ნაწილი განკუთვნილია 6-10 წლის ბავშვებისთვის, ხოლო მესამე ნაწილი მოუხმობს მოზარდებს 10 წლის ზევით. **13.15** კოლეტი. თავისუფალი ქალი. მხ.ფილმი. **22.20 H** ჩემი საუკეთესო მეგობარი. მხ.ფილმი. **05.20** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 14.35, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.15** ქართ. ფილმი "თემო" **13.40** სერიალი "სანდრა და მისი გუნდი" **14.55** ფორმულა-1 **17.00** დოკ. სერიალი "ცხოველთა სამყარო" **18.00** ცირკის საერთაშორისო ფესტივალი **18.40** იმღერე რამე **19.15** ტელეზღაპარი **19.30** ისტორიანი **20.35** ცაიტნოტი **21.50** ფორტუნა **22.30** "საღამოს საუბარი" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.15** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.35** მხ. ფილმი "შერეკილები გამოცდებზე" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "გლადიატორი" (რასელ ქროუ) (12) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "არმაგედონი" (ბ. უილისი) (15) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ამერიკის უკანასკნელი უმანკო" (18)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "საოცარი მითები და ლეგენდები" **10.00** მულტფილმი "პიტერ პენი" **11.30** საბ. სერიალი "თოვლის დედოფალი" **12.30** მხ. ფილმი "კაცები შავებში" (გ) (უილ სმიტი) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "სანამ წახვალ სადმე, მოაგვარე საქმე" (გ) (ჟ.ბელუში) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "ლარედოს ქუჩები" **18.05** სერიალი "მიწა არსად ჩანს" **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** მხ. ფილმი "ბრუსტერის მოლოდინში" (გ) (პერშელ ვეინგროდი) **23.00** მხ. ფილმი "ბუმი" (15) (სოფი მარსო)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** მუსიკალური ოქტაგონი **22.00** მხ. ფილმი "გაალე პოლიციაა" (12)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მარტის კატები" **17.00** მხ. ფილმი "გამოუსწორებელი თაღლითები" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.00** მხ. ფილმი "გულთამყრობელნი" **00.20** მუსიკა

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05, 18.00, 02.40** იმედის მელოდიები **10.15** ანიმაც. ფილმი "მეზღაპრე ფაიფერი" **10.30** დილის ფოსტა **11.00** "იმედითა შენითა" **11.15, 01.50** ტვ-მარკეტი **12.00** "პირველები" **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი "საუკეთესო მეგობარი" (გ) **17.05** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **20.00** სერიალი "ყავა და ლუდი" **21.00** სერიალი "მართლმსაჯულების 18 ბორბალი" **22.00, 02.20** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "მხიარულებათა ქალაქი" (პ. სუეიზი) (გ)

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "ლიფტი ეშაფოტზე" **19.40** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.20** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.20** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** მულტსერიალი **10.00** სათავგადასავლო ფილმი "პინოქიო" **11.50** "სტარტი" **12.05** მუსიკა **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "მე იქ ვიქნები" **14.25** მუსიკა **14.40** თრილერი "მერია" **16.45** მულტფილმი "იმპერატორის თავგადასავალი" **18.00** მუსიკა **18.10** მელოდრამა "შემოდგომის ლეგენდები" **20.15** "სტარტი" **21.00** კომედია "სასიამოვნო წყვილი" **23.00** მხ.ფილმი "ჩვენ ჯარისკაცები ვიყავით" **01.50** თრილერი "დაუნდობელი ლუკი" **03.55** მუსიკა **04.15** მელოდრამა "ყველა ნამდვილი გოგონა"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Под вечными льдами". **06.40** Павел Кадочников в фильме **"САМЫЙ МЕДЛЕННЫЙ ПОЕЗД"** **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** "Смак" **10.30** "Пестрая лента". Аркадий Райкин. **11.20** "Возвращение домой". Олег Газманов. Калининград. **12.10** Владимир Ивашов в комедии **"СЕМЬ НЯНЕК"** **13.40** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **14.10** Умницы и умники. **14.50** "Спасатели. Экстренный вызов". **15.20** История с географией. "Братья по крови: Жизнь на деревьях". **16.20** Полнометражный мультфильм "Титан после гибели Земли". **17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.20** Комедия **"САМАЯ ОБАЯТЕЛЬНАЯ И ПРИВЛЕКАТЕЛЬНАЯ"** **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** "Золотой Граммофон". **23.40** Синди Кроуфорд в боевике **"ЧЕСТНАЯ ИГРА"** **01.20** Уиллем Дефо в фильме **"КИТАЙСКИЙ ВАРИАНТ"** **03.30** Ли Мэйджорс в триллере **"УБИЙСТВО ДЕВУШКИ С ОБЛОЖКИ"** **05.00** Сериал **"ПАТРУЛЬ ВРЕМЕНИ"**.

### НТВ

**06.15** Орнела Мути в фильме **"ВО ВСЕМ ВИНОВАТ РАЙ"** **08.00** Сегодня. **08.20** "Улица Сезам". **08.45** "Та-ра-рам!" **09.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.30** Обозреватель. **10.00** Кулинарный поединок: Юлия Бордовских - Яков Бранд. **11.00** "Квартирный вопрос": "Хамелеон вместо бабочек". **12.00** "Сегодня" с Ольгой Беловой. **12.20** Криминальная Россия: похищение Страдивари. **12.50** Вкусные истории. **13.00** Дэрил Ханна в комедии **"РОКСАНА"** **15.05** Коллекция Национального географического общества. "Лошади". **16.00** "Сегодня" с Ольгой Беловой. **16.20** "Женский взгляд". Николай Басков. **16.55** Мария Шукшина в сериале **"ПРИКЛЮЧЕНИЯ МАГА: РЕИНКАРНАЦИЯ"**. Часть 1-я. **18.00** Своя игра. **19.00** "Личный вклад". **20.00** Красная стрела. Спецвагон. **20.15** Евгения Крюкова в фильме **"УПАСТЬ ВВЕРХ"** **22.15** Премьера. "Наполним музыкой сердца". Песни Юрия Визбора. **00.10** Теннис. Уимблдонский турнир. Женщины. Финал. **01.45** Двое в городе.

# მონსტრის წარმატება



REUTERS

"...და ისინი ერთად ცხოვრობდნენ და სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერნი და კმაყოფილნი იყვნენ." - ისევე, როგორც ნებისმიერი ნორმალური ლიტერატურული ზღაპარი (ჩახოცილი მეგობრებისა და დევის მიერ შეჭმული შვილების ამბებს არ ვგულისხმობ), 2001 წელს გადაღებული "შრეკიც" კეთილად მთავრდება. უბრალოდ, ამ ზღაპარმა თავის დროზე მეტისმეტად დიდი ფული მიიზიდა საიმისოდ, რომ ჰოლივუდს შეყვარებული მონსტრისა და მისი საყვარელი პრინცესასთვის მშობლიურ ჭაობში მშვიდად ცხოვრება დაენებებინათ. ამიტომ 75 მილიონ ამერიკულ დოლარად ღირებულ ახალ ფილმში მათ ურთიერთობას დიდი საფრთხე ემუქრება.

საქორწილო მოგზაურობიდან დაბრუნებული წყვილი შრეკის საყვარელი ფიონას მშობლებმა თავიანთ სამეფოში დაპატიჟეს, "შორს, შორს აქედან". იქ მცხოვრებ ფიონას მშობლებს ულამაზო და ცუდად გაზრდილი შრეკი სულ არ მოეწონათ. ისე, აღარც ფიონა აღმოჩნდა ისეთი, როგორიც ახსოვდათ - ოდესღაც ის მართლაც მშვენიერი იყო, ნამდვილი კემერონ დიასი. იქვე ერთ ჯადოქარს ფიონა თავისი ვაჟისთვის უნდა - მოკლედ, დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი.

სხვათა შორის, შეერთებულ შტატებში ფილმი PG-თია აღნიშნული - Parental Guidance, "მშობლების თანხლებით". ალბათ იმიტომ, რომ "შრეკი 2" მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის მეტისმეტად რეალურ სურათს იძლევა, არა იმიტომ რომ სექსია ნაჩვენები (რას ბრძანებთ!), არამედ... ისე, ნაამბობს ნანახი სჯობს.

■ ■ ■

სტატიაში, რომელიც დიდი, პოლიტიკურად არაკორექტული და ძალიან საყვარელი არსების, შრეკის მეორე თავგადასავლის ეკრანებზე გამოსვლასთან დაკავშირებით გერმანულ "შტერნში" გამოქვეყნდა, მოთხრობილია სან ფერნანდო ველიში, ლოს ანჯელესიდან ჩრდილოეთით მცხოვრები ერთი კაცის ამბავი, რომელსაც მარკი ერქვა და რომელიც 49 წლისა იყო. თურმე, სამი წლის წინათ მისმა მეუღლემ ის გამთენიისას სახელოსნოში აღმოაჩინა, ჩამომხრჩვალი. ძალიან ცოდოა, მაგრამ რა კავშირი აქვს საბრალო თვითმკვლელს მელოტ და ღიპიან შრეკთან, რომელიც ახალ ფილმში თავის მეგობრებთან, ვირთან და ჩექმებიან კატასთან ერთად, კვლავ პრინცესა ფიონასთვის იბრძვის?

ეს მარკი ნიჭიერი კაცი ყოფილა, მხატვარი, ერთ-ერთი იმ შესანიშნავ ხელოვანთაგან, რომლებიც დისნეის სტუდიაში მუშაობდნენ და მთელი მსოფლიოს ბავშვების მრავალი თაობისთვის საყვარელ ნახატ ფილმებს ქმნიდნენ. მარკმა ვერ გადაიტანა, რომ 25-წლიანი ერთგული მსახურების შემდეგ ფირმამ ის უბრალოდ დაითხოვა. "შტერნი" წერს, რომ "იმ დროს, როცა მარკი გარდაიცვალა, შრეკი დაიბადა, ყურიდან რაღაცა გამოაძვრინა (ყურის ჭუჭყი), სანთელი გააკეთა და ამით მაყურებელი აღაფრთოვანა" - სხვათა შორის, გერმანელიც, ასე რომ აქ საქირქილო არაფერია.

"მარკს დისნეი უყვარდა, ის მისთვის სიცოცხლის აზრი იყო," ჰყვებოდა თურმე გარდაცვლილის საუკეთესო მეგობარი. "დისნეის მხატვრები მეფეები იყვნენ, ხელშეუხებლები, ისინი დაუჯერებელ ძალაუფლებას ფლობდნენ. მაგრამ ერთ დღეს ისინი დაიბარეს და უთხრეს: ორშაბათი თქვენთვის უკანასკნელი სამუშაო დღეა".

ფანქრისა და ფერის ხანა დასასრულს უახლოვდება. უკანასკნელი ათი წლის ათი ყველაზე წარმატებული ანიმაციური ფილმიდან ხელით დახატული მხოლოდ სამია (სამივე დისნეისა, მათ შორის 1994 წელს შექმნილი "ლომების მეფეც").

ოთხი წლის წინათ კონცერნმა პირველი კომპიუტერიზებული პროდუქცია შექმნა, "დისნეის დინოზავრები", მაგრამ თავად დღემდე ვერ შეძლო ახალი ტექნიკით სრულად აღჭურვა. მას Pixar ჩრდილავს, რომელთანაც მსგავსი ფილმების გასაკეთებლად ხელშეკრულება აქვს დადებული, და თვითონ კვლავ ფანქრითა და საღებავით უწევს მუშაობა და, შესაბამისად, საქმე ცუდად მისდის.

თავად განსაჯეთ: გასული წლის დასაწყისამდე დისნეის სტუდიის 1750 თანამშრომლიდან 750-მა სამსახური დაკარგა, დღეს კი კიდევ უფრო სავალალო მონაცემებზე ლაპარაკობენ.

ყველაფერი ეს რევოლუციას ჰგავს. სამგანზომილებიანი კომპიუტერული ქმნილებები წინა თაობებისთვის საყვარელ ნახატებს დევნიან. ასეთია შრეკიც, რომელიც პირველი წარმატების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ეკრანს: "შრეკი 2 - მამაცი გმირი ბრუნდება". Pixar კიდევ სამ ფილმს გვპირდება - პატარა თევზების ამბავს, საბავშვო წიგნის, "პოლარული ექსპრესის" ეკრანიზაციას და სუპერგმირების პაროდიას Incredibles. როგორც ამბობენ, ამათ წინააღმდეგ ბრძოლაში დისნეის სტუდიის ხელით დახატულ ფილმს "ძროხები წავიდნენ" ძალიან ცოტა შანსი აქვს.

"შრეკი 2" შეერთებულ შტატებში უკვე დიდი აღიარებით სარგებლობს - მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში მან თავის მესვეურებს 267 მილიონი დოლარი მოუტანა! 18 დღის შემდეგ ეს თანხა 300 მილიონს შეადგენდა. ასე სწრაფად ამერიკის შეერთებულ შტატებში არც ერთი ფილმი არ "გამდიდრებულა", ეს ყველა დროის ყველაზე წარმატებულმა "ტიტანიკმაც" კი ვერ მოახერხა.

რა სჭირს ამისთანა ამ მწვანე გმირს? უამრავი რამ. პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ ეს საბავშვო ფილმი არაა, თუმცა ბავშვებისთვისაცაა. ამ თვალსაზრისით ის "ჰარი პოტერს" ჰგავს, ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის საინტერესოა, უბრალოდ, პატარები სხვა ეპიზოდებზე იცინიან, უფროსებს სხვა ეპიზოდები ახალისებთ.

შრეკს ფეხი უცდება, თვალებს აბრიალებს, მისი თანდასწრებით ცხოველები ლაპარაკს იწყებენ - და ბავშვები უკვე თვალს ვერ აშორებენ. უფროსებს ის ახალისებთ, რაც ბავშვებისთვის მიუწვდომელიცაა და უინტერესოც: პოპ-კულტურაში უნდა იყო გარკვეული, რომ ფილმის შემქმნელთა ირონიას მიხვდე.

პინოქიო აშკარად ტომ კრუზია, ფილმიდან "შეუსრულებელი დავალება", ხაფი ხმით მომღერალ პიანისტში ტომ ვეითსს ამოიცნობთ, ჯასტინ ტიმპერლეიკიც შემოგეყრებათ და "ადამიანი-ობობაც". ხოლო სამეფო, რომელშიც მთელი ეს ამბები ვითარდება, "შორს, შორს აქედან" (რომელშიც ზოგიერთებმა უმალვე ელიტარული ბევერლი ჰილზი ამოიცნეს), თავისი ციხე-კოშკებითა და სასახლეებით, შორიდან ძალიან ჰგავს დისნეის ლოგოს - ნიშნად იმისა, რომ "შრეკთან" ნახატი ფილმი ველარაფერს გააწყობს.


ლაგუნა - შეკვეთილი



დასასვენებელი კომპლექსი ოზურგეთის რაიონი, დაბა შეკვეთილი
2004 წლის ზაფხულის ფასები

სასტუმრო
1 პერსონა 1 დღე 22 USD
7 დღე და მეტი 20 USD

პანსიონატი
1 დღე 1 პერსონა 9 USD
3-4 პერსონა 1 ოთახში 7,5 USD
ბავშვი (4-10) 6 USD

ფასი შეიცავს
■ ცხოვრებას სასტუმროში
■ სამჯერად კვებას
■ კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის მოედანს



ფასი არ შეიცავს
სასმელის ღირებულებას ■
მასაჟს ■
სამრეცხაო მომსახურებას ■

ანგარიშსწორება ლარებში გამოქვეყნებული კურსის მიხედვით. ფასები გამოქვეყნებულია 2004 წლის მაისში. ცვლილება შესაძლებელია.

ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ: 8 99 507 606, 8 93 174 464



საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.ჯანაშიას N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge



სასკოლო მეთოდიკური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთავი 2 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდიკურ გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდიკური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდიკებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაკვეთილო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებზე ხელმოწერა ჩატარდება 2004 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე. გაზეთებს მიიღებთ ადგილზე 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.



მისამართი: თბილისი, რუსთაველის 42, მე-3 სართული,
ტელ.:93-50-84, (899) 55-15-84



შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!
ფირმა "ფენიქსი"
ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება "საოჯახო ლოტოს" გათამაშება.
დაწვრილებითი ინფორმაცია და კოეფიციენტების სხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათში"



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24


## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.